

წიგნაკრები საქართველო

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

28 ივლისი 2023წ. №12 (4072) გამომცემის 92-ე წელი ფასი 2 ლარი



იძირება!

არ ახალია, ძველია: იყიდება საქართველო! თურმე იძირება კიდევ!
ანდა ერთმანეთისგან რამ გაყო – რაც აღარ გეკუთვნის, გასხვისდა, ძალით ნაგვილივეს თუ შენი ბედოვლათობით წაიღეს, ჩაძირულიც არის და უფრო მეტიც, მაგრამ რაღაც მაინც რომ არსებობს, ფეხზე დგას, თუნდაც მიტაცებულ საზღვარს იქით, ისევ გვიმედება – იქნებ... იქნებ... ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ხომ ღვთის ნებაა. თურმე არ უნდა თქვა, ამაზე უარესი რა უნდა მოხდესო!

ვინ იფიქრებდა, „ახალ-მოსტუმრებული“ თუ გასტუმრებული ჩრდილოელი მეზობელი კავკასიონს ხელახლა რომ გადმოაღაჯებდა და სალიახვოში თუ ქსნის ხეობაში ღონიერი ქართული სოფლები ძირისძირობამდე მოილოპრებოდა.

ჩვენი სახადივით მოუცილებელი, „მაოხრებელი გზირი“ კი სულში ჩაგვაფურთხებდა. ომში რამდენიმე უმინშენელო ქვალორლიანი ადგილი დაეკარგეთო.

იყიდება საქართველო! – ალბათ საფლავშიც აღმოხდა მწერალს.

არა მარტო იყიდება, თურმე იძირება კიდევ-მეთქი. ტაო-კლარჯეთში, ართვინის პროვინციაში, დაგუ-

ბებული მდინარის ალყაში მოქცეული, საუკუნეების ქართველებგამოვლილი, სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი შემომტკიცებელი, კავკასიელების ისტორიული ციხე-ტაძარი იძირება, მორევმა უნდა ჩაყლაპოს – თუმცა, რა ვიცით, ვიდრე ამ სიტყვებს ვწერ, ეგებ ჩაყლაპა კიდევ!

კავკასიელების ციხე-ტაძარიც მოწყვეტილი თოვლის გუნდაა, რომლის ნაშლა-განადგურების ტკივილსაც ხვალინდელი საქართველო უფრო მეტად იგრძნობს. დღესდღეობით გაუცხოვებულ მხარეში კიდევ ერთი სათელი ქრება, რომელიც ჩვენ აღარ გვეკუთვნოდა, მაგრამ იმის უფლება მაინც გვქონდა, რომ ხანდახან, ტურისტის „სტატუსით“ თვალი შეგვევლო.

მოკლედ, ეს „გუნდა“ თხემით თერფამდე შემძვრელ ზვავად თუ არ იქცევა, ჩვენი მოდუნებული სიფიზლის ზარები მაინც უნდა ჩამოირეკოს!..

მერამდენე წელიწადია, მივდგები-მოვდგები, მაგრამ რაც უნდა ვაკეთო, ხშირად ფიქრით მაინც ისევ იქ ვარ:

– ქვა-ლორლიო, კაცო, ქვა-ლორლიო, იმ უღმერთოს რამ ათქმევინა!

პანო ჩხიკვაძე



ბუბაზ მებრალიძე

ოზურგეთის თეატრალურ ფესვივალზე

ნოდარ დუმბაძის სახელობის მეოთხე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ნოდარ დუმბაძის 95 და ოზურგეთის თეატრის 155 წლის იუბილეებს მიეძღვნა.

საფესტივალო წარმოდგენებს ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი 5 ივლისიდან 15 ივლისამდე მასპინძლობდა. ფესტივალი გამოირჩეოდა განსაკუთრებულად მრავალფეროვანი პროგრამით. წარმოდგენილი იყო ქართული მწერლობის არაერთი ნიმუშის სცენური ვერსია. ათი დღის განმავლობაში თეატრის სამი სცენა შეიძინა უცხოური თეატრის რვა სპექტაკლსა და ქართული თეატრის 18 სპექტაკლს მასპინძლობდა. მაყურებელმა ნახა ნოდარ დუმბაძისა და ქართველი კლასიკოსი მწერლების პროზაული ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი 27 სპექტაკლი. ფესტივალის დევიზი გახლდათ „ნოდარ დუმბაძე – ქართული მწერლობა“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფესტივალს

დასასრული. 82-2 გვ.

რას სჩადი, კაბეხისწყალო!

ვისაც ახსოვს „ლიტერატურული საქართველოს“ 1980-იანი წლების რედაქცია, მას უთუოდ გაახსენდება შუა ხანს გადაცილებული, ღიმილიანი ქალბატონი, რომელიც ყველა ავტორს, განურჩევლად ასაკისა და ცენზისა, ისე ხვდებოდა, როგორც დედა შვილს. დიხს, ეს გახლდათ ეთერ სახვაძე-პოეზიის განყოფილების გამგე.

ვისაც პირადად არ ახსოვს ქალბატონი ეთერი, მან შეიძლება იცოდეს, რომ ის იყო შესანიშნავი პოეტი და ლიტერატორი.

ხოლო ვისაც არ გაუგია მისი სახელი, მათთვის ვიტყვოდი, რომ ეთერ სახვაძე არის ის პოეტი, რომელიც ანა კალანდაძესთან ერთად იწყებდა შემოქმედებით ცხოვრებას, მაგრამ ქალბატონი ეთერი დიდხანს მალავდა ლექსებს, იმიტომ, რომ ძალიან მომთხოვნი იყო საკუთარი თავის მიმართ, საერთოდ, მეტისმეტად მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა ლიტერატურულ საქმიანობას. ამის გამო საკმაოდ გვიან, 1961 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნდა მისი ლექსები და, მოდი, ნუ ვიქნებით ტრაფარეტული, საზოგადოებამ მართლაც დაინახა, რომ ქართულ მწერლობას ჰყოლია არაჩვეულებრივი, თვითმყოფადი, მაღალი დონის პოეტი...
დაიბადა 1923 წლის 10 აგვისტოს თბილისში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის 29-ე საშუალო სკოლა, 1945 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ღუშეთის რაიონის სოფლებში მასწავლებლობდა, იმავედროულად ამზადებდა საკანდიდატო დისერტაციას ენათმეცნიერებაში ვარლამ თოფურის ხელმძღვანელობით, მაგრამ სამოღვაწეო ასპარეზად ჟურნალისტიკა აირჩია. წაყოფიერად მუშაობდა მხატვრული ნარკვევის თანხაში. გარდაიცვალა 1988 წლის 19 თებერვალს.

ეთერ სახვაძე – 100



როგორი ადამიანი იყო ეთერ სახვაძე? მწერალ თამაზ ბიბილურს აქვს მოხაზული შესანიშნავი აბრისი: „იყო ჩუმი, ალერსიანი, კრძალული და უაღრესად ზომიერი... შეუპოვარი ქალი გახლდათ... უშიშარი და მშვიდი. ძალზე მოკრძალებულად იცხოვრა და ერთი ბუნოც არაფერი მოუთხოვია იქიდან, რაც ნამდვილად ეკუთვნოდა... უკომპრომისო იყო, უსამართლობასთან შეურეგებელი. ვერავითარი ძალა ვერ მოისყიდდა, თუ საკუთარ სინდისთან თავს მართლად გრძნობდა... ამგვარი იყო ეთერ სახვაძე, ჩრდილში მდგომი, მაგრამ ძლიერი და თავისთავადი“.

1966 წელს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოსცა ეთერ სახვაძის პირველი წიგნი. კრებულის მე-18 გვერდზე არის ერთი ლექსი, სათაურად „საინგილოს გზაზე“, რომელიც რამდენჯერაც უნდა წაიკითხო, იმდენჯერ აღგაფრთოვანებს და ავამლერებს:

*რას სჩადი, კატეხისწყალო,
რალა დროს ეგებებია,
არც მე ვარ ოცი წლის ქალი,
შენც თმები შეგთეთრებია,
რა დროს ხევენა და კოცნაა,
ქვეყანა მოგვჩერებია.*

ასეთი იყო და ასეთად დარჩება ქართული პოეზიის ისტორიაში პოეტი ეთერ სახვაძე – სათნო, სანდო, საინტერესო და სანატრელი ლირიკოსი.

ინანე

ამირხანაშვილი

ორი მწერლის გახსენება

ალქასარა ჯაპარიძე

83. 4

ნინო ჟუთათიალის შემოქმედებაზე

ნ. არსენაშვილის წერილი

83. 5

ქართული ფენტეზი

მარიამ ხოტივირიძის წიგნი

83. 9

კალისტრატე სამუშია – კულტურის მოაზრება

თენგიზ პაჭკორიას სტატია

83.13

ზუტენარები და მუშარები

თამაზ გვიანათაძე

83. 15

პირველი გვერდი

700-ზე მეტი სტუმარი დაესწრო და გადაჭედილი დარბაზი მაყურებლის ინტერესზე მეტყველებდა. ფესტივალზე ოზურგეთის თეატრმა წარმოდგინა პორტუგალიის ქ. ბრაგის თეატრალურ კომპანიასთან ერთად შექმნილი სპექტაკლი „ცის კარი“ ხოლო ნოდარ დუმბაძის მშობლიური ჩოხატაურის კულტურის სასახლეში კი ნაჩვენები იყო მწერლის ნაწარმოებების მიხედვით დადგმული ხუთი სპექტაკლი.

მნიშვნელოვანია, რომ წელსაც ფესტივალში სპექტაკლ „იუდათი“ მონაწილეობდა საომარ ვითარებაში მყოფი ხერსონის (უკრაინა) აკადემიური მუსიკალურ-დრამატული თეატრი, ასევე – თეატრალური დასები აზერბაიჯანიდან, ესპანეთიდან, უზბეკეთიდან, პორტუგალიიდან, ორი თეატრი ყაზახეთიდან. გაიმართა ევრაზიის თეატრალური ასოციაციის (ETA) დამფუძნებელი ქვეყნების სამიტი.

ფესტივალის ფიური წელს საერთაშორისო წარმომადგენლობით დაკომპლექტდა და, წინა ფესტივალისგან განსხვავებით, მისი წევრები იყვნენ მწერლები, თეატრმცოდნეები, რეჟისორები, მსახიობები: ნინო სადლობელაშვილი (თავმჯდომარე), მარინა ბუზუკაშვილი, გუბაზ მეგრელიძე, ნერმან ატიკი (ევრაზიის თეატრალური ასოციაციის წარმომადგენელი ჩრდილოეთ კვიპროსიდან), კუბილაი ერდელიძე-ქარა (ევრაზიის თეატრალური კავშირის გენერალური მდივანი, ქ. სტამბული, მალთაფეს მუნიციპალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი), იუსუფ ჯაფაროვი (ევრაზიის თეატრალური ასოციაციის წარმომადგენელი აზერბაიჯანიდან, მსახიობი და პროდიუსერი), რუი მადეირა (ევრაზიის თეატრალური ასოციაციის წარმომადგენელი პორტუგალიიდან, რეჟისორი, ბრაგის თეატრალური კომპანიის დირექტორი).

საგულისხმოა, რომ მასპინძელი თეატრი კონკურსში ტრადიციულად არ მონაწილეობდა.

ფესტივალის მიმდინარეობისას, ტრადიციულად, 14 ივლისს, ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეს, მის მშობლიურ მხარეში გაიმართა მწერლის 95 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და წიგნების პრეზენტაცია „ნოდარ დუმბაძე“ (საიუბილეო კრებულის შემდგენლები ქეთევან დუმბაძე და გიორგი კაკაბაძე) და „ნოდარ დუმბაძე ქართულ სცენაზე“ (შემდგენელი დიმიტრი ხვთისიაშვილი). ფესტივალის საზეიმოდ დაიხურა 15 ივლისს. თეატრის ფოიეში გაიმართა პრეზენტაცია წიგნ-ალბომებისა: „ბეჟან ნაკაიძე“, „ამირან ქადაგიშვილი“ (შემდგენელი ლია კილაძე), „ჰონ კიხოტი ოზურგეთიდან - ვასილ ჩიგოგიძე“ (ავტორი ლამა ჩხარტიშვილი).

ფესტივალის შესახებ აზრი გამოთქვას სტუმრებმა: გერმან ატიკი (ევრაზიის თეატრალური ასოციაციის კვიპროსის წარმომადგენელი): ათ დღეში 27 სპექტაკლის ნახვა დიდი ქრონომეტრაჟია. საერთოდ, ევროსტანდარტად მიღებულია 60-1.20 წუთიანი სპექტაკლები. ვფიქრობ, მონვეული თეატრების სპექტაკლები წინასწარ აუცილებლად უნდა ინახოს, ვინაიდან შარშან უკეთესი შთაბეჭდილება დამრჩა. მნიშვნელოვანია, რომ ვეცნობით სხვადასხვა თეატრების, რეჟისორების, მწერლების შემოქმედებას და ვამყარებთ პირად ურთიერთობებს, რაც სამომავლოდ ერთობლივი დადგმების პერსპექტივას ქმნის. კუბილაი ერდელი ქარა (ევრაზიის თეატრალური ასოციაციის გე-

ნერალური მდივანი): ქართული თეატრი საინტერესო თეატრია. ვფიქრობ, იგი მესამე ადგილზეა მსოფლიოში. ბევრი თეატრი მინახავს და მოხიბლული ვარ. კარგია, რომ ვნახეთ აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და პორტუგალიის თეატრების დადგმები, რაც მეტ ინფორმაციას გვაძლევს. მეც ვფიქრობ, რომ სპექტაკლები წინასწარ უნდა შეირჩეს.



მარინა ხარატიშვილი (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი): სტატისტიკას თუ გადავავლებთ თვალს, ფესტივალის დიპაზონი თვისობრივად გაიზარდა. ამისათვის დიდი ძალისხმევა გამოყენებული, სადაც ჩანს ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის ვასილ ჩიგოგიძის, ასევე დამფუძნებელთა ინიციატივა. ძალიან სასიხარულოა, რომ ფესტივალს ასეთ მხარდაჭერას უცხადებენ. ეს კი ზრდის ფესტივალის მონაწილეთა პასუხისმგებლობას და სწრაფვას პროფესიული დაოსტატების ზრდისკენ. სტუმრები ეცნობიან ქართულ თეატრს, მათ ცნეს ფესტივალის რანგი და სიამოვნებით მონაწილეობენ.

დავით ბუხრიკიძე (არტ კრიტიკოსი): ფესტივალი წელს უკვე მეოთხედ ჩატარდა. კარგია, რომ, პირველ რიგში, გეოგრაფიულად გაიზარდა მონაწილე თეატრების რაოდენობა. ერთის მხრივ ეს კარგია და მიუთითებს თეატრისადმი მძლავრ ინტერესზე, ასევე, ვასილ ჩიგოგიძისა და მისი გუნდის მიერ განეულ კარგ სამუშაოზე. სამწუხაროდ, მეორე მხრივ, მოიკლო სპექტაკლების ხარისხმა. წინა წლებში უფრო საინტერესო დადგმები ვიხილეთ. ფესტივალის ორგანიზატორებმა ყოველთვის უნდა ეძიონ რაიმე ახალი კონცეფცია ამ ფორუმის განვითარებისთვის. ასევე კარგი იქნება გაბედული, ახალგაზრდული თეატრების თუ სპექტაკლების მოწვევა, რაც ახალ სახელებს წარმოაჩენს.

უცხოური სპექტაკლებიდან აღვნიშნავ აზერბაიჯანის სახელმწიფო თეატრის დადგმას გ. ჩოხელის ნაწარმოების მიხედვით „ნერილი ნაძვებს“. რეჟისორმა ნ. გულაშვილმა გარემო გაათანაგმდროვა და გადაიტანა დაძაბულ მილიტარისტულ გარემოში. აქ ვხედავთ, ომიდან დემოილიზებული ადამიანს, რომელიც საკუთარი სულიერი ტრავმების მოშუშებას მთის გარემოშია და ნაძვების პარმონიულ სამყაროში ცდილობს.

კამკადარინის თეატრის მიერ დადგმული ნ. დუმბაძის „ჰელადოს“ რეჟისორ კ. გოგიძის დადგმით სცენოგრაფიითა და წარმოსახული გარემოთი გამოირჩეოდა.

ფესტივალზე რეჟისორ ელ. მაცხოვრავლის ხამი სპექტაკლი ვიხილეთ, რაც მის შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს, მაგრამ დადგმის ხერხები და მიგნებები ხში-

რად მეორდება, რაც სპექტაკლებს ხარისხს უკარგავს.

თელავის თეატრის სპექტაკლი „ჩუმაღ, რეპეტიცია!“ არ იყო ბოლომდე დამთავრებული. რეჟისორმა პ. გულიაშვილმა სათანადო ფორმას ვერ მიაგნო.

უდავოდ ფავორიტი გახლდათ თავისუფალი თეატრის სპექტაკლი დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის

დედი(ს)ნაცვალი“, რომელიც გამოირჩეოდა გ. მარგველაშვილის რეჟისორული მიგნებებით. მაგრამ, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დადგმა დიდი ხნის განმავლობაში არ გათამაშებულა. ეს განსაკუთრებით პირველ მოქმედებას ეტყობოდა...

გოგო ყაჯრიშვილი (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი): ეს ფესტივალი ყველაზე გრანდიოზული აღმოჩნდა ბოლო დროს ჩატარებულ ფესტივალს შორის. მასში მონაწილეობდნენ აზიის, ევროპისა და ქართული თეატრები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნის თეატრალური კოლექტივები ერთმანეთის სპექტაკლებს ესწრებოდნენ, იზიარებდნენ გამოცდილებას, მეტ ინფორმაციას იძენდნენ. პროგრამა შეესაბამებოდა ფესტივალის ძირითად მიმართულებას სცენაზე პროზაული ნაწარმოების ინსცენირებასა და ნ. დუმბაძის შემოქმედების ინტერპრეტაციას.

გურამ ბათიაშვილი (დრამატურგი): ოზურგეთის საერთაშორისო თეატრალურმა ფესტივალმა უკვე თავი დაიმკვიდრა და საინტერესო რეალობად იქცა. იგი წარმოაჩენს ბოლო სეზონის განმავლობაში თეატრის ცხოვრების შემოქმედებითი ზრდისა თუ პრობლემების დათმობის კარდოგრამას – უმეტესწილად კი შემოქმედებითი ზრდისა, რადგან ფესტივალის ფაქტორი რეჟისორთა, მსახიობთა მობილიზებას განაპირობებს. ეს

ერთი გარემოებაა. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ქართული თეატრის მდგომარეობით დაინტერესებულ პირთ, საშუალება გვეძლევა ვიცოდეთ, თუ რა ხდება, რა პრობლემებით ცხოვრობს ჩვენი დროის ქართული თეატრი. არის, თუ არა იგი დღევანდელი, თანამედროვე, როგორია სამეცნიერო-ტექნოლოგიური და მხატვრობის დონე, სცენოგრაფია. ეს კი თეატრალურ კრიტიკას მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს.

ფესტივალის მასშტაბმა გზა გაუხსნა ქართულ მწერლობას საზღვარგარეთის თეატრალური სცენისკენ, უცხოელი ხელოვანნი დაინტერესდნენ თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებით. ვფიქრობ, სამომავლოდ გულდასამით უნდა შეირჩეს საფესტივალო პროგრამა, რომ ზედმეტად არ გადაიტვიტოს და მაყურებლისთვისაც ადვილად აღქმადი იყოს. ამ ფესტივალში მონაწილეობა თეატრებისთვის გამარჯვების ტოლფასად უნდა აღიქმებოდეს.

თანაპედროვე ქართული ჟურნალისტიკის ყინულაქრელი

გადაჭარბებად ნუ ჩავითვლით! ქართულ სასიტყვეთში ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი, გენიალური კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ჟამს საუკუნოვანი ქართული მწერლობის დიდი ოჯახის თავკაცი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ წლების განმავლობაში (სიცოცხლის ბოლომდე) უცვლელი მთავარი რედაქტორი თამაზ ნივნივაძე იყო (სამწუხაროდ, იყო და ზეციურ საქართველოში დაივიწყა), თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ეპოქალური „ყინულაქრელი“. ამის უტყუარი დასტურია თუნდაც სამზეროზე გამოსული მისი სუსხიანი წერილების ციკლი – „დამარცხი, მაგრამ მომისმინე!“ ეს ხომ „დიდი საბჭოეთის“ ზეობისას, მწერლური და პატრიოტული გამბედაობის ნიმუშია.

ასევე, თამაზ ნივნივაძისადმი მიძღვნილ ლექსში „ველი სასწაულს“, პოეტი გივი შეყილაძე სწორად დასძენს:

„შენი „დამარცხი...“ ათიან ხვდება, თუმცა გაძლავდა მოსმენა მისი, მჯერა, სულ ძალე განიკითხება და მიუზღვება ბოლოს საკადრისი.“

საგულისხმოა, რომ იუბილარი გაზეთის „ცხინვალის მაცნეს“ მთავარი რედაქტორის ერთ-ერთ სამაგიდო წიგნს – „აილე შენთვის, შენც ხომ შევარდნაზე არა ხარ! – ციკლიდან: „დამარცხი, მაგრამ მომისმინე!“ – მისი უფროსი მეგობრის

ავტოგრაფი ამშვენებს: „ძვირფას რობერტ ოდიკაძეს! – ნიშნად უღრმესი პატივისცემისა!

თამაზ ნივნივაძე, 22. 07.98 წელი.“


„ძვირფასო კოლეგებო! ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან დევნილი ჟურნალისტები, მივესალმებთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მწერალთა ხელიხელ საგოგმანებელ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის მიმართვას, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, ბატონ გიორგი კეკელიძისადმი, რათა ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეიქმნას თამაზ ნივნივაძის კაბინეტი.

კარგად გვახსოვს, საკუთარ სამშობლოში ბუდეშობილი ინტელიგენციისადმი ხმაღმართული რაინდის თანადგომა. ამასთან, ცხინვალის გორში დევნილი უმაღლესი სასწავლებლის ამოქმედებაში, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტად რომ იწოდებოდა (შემდგომ, ვიღაც უგუნურთა მავნებლური გადაწყვეტილებით რომ გაუქმდა), ფასდაუდებელია სულმნათი მამულიშვილის უშურველი წვლილი...

ჩვენო თანამოკალმეებო, მხარს ვუჭერთ თქვენს საქმრო და აუცილებელ მიმართვას.

აღსრულებოდეც!!

გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“ რედაქცია



ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2023 წლის II ნომერი იხსნება რუბრიკით „შეხვედრები ღვანდომოსი პოეტთან“, რომელშიც მოთხრობილია პოეტ თანაზ რანას შეხვედრების შესახებ ფელაის იაკო გოგვაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თელავის მე-4 საჯარო სკოლაში.

რუბრიკაში „სამშობლოსავით საყვარელი ადამიანები“ მაყვალა მიქელაძე მოგვითხრობს ცნობილ ჟურნალისტზე მერი ზაალიშვილზე. მხატვრული ლიტერატურის რუბრიკით ქვეყნდება ნუნუ ძამუკაშვილის, გიორგი გიგაურის, მიხეილ ჯავახიშვილის ლექსები; ლანა მანველის რომანის „სად არის ბედნიერება“ გაგრძელება, მაია კაკაურიძის „მეორედ მოსვლის ჟამს“ დასასრული, ზურაბ არსენიშვილის და მარიამ ძამუკაშვილის მოთხრობები.

რუბრიკით „სახალხო მთქმელი“ იბეჭდება ფირუზ კოჭლამაზაშვილის ლექსები.

„ბავშვების საკითხავის“ რუბრიკაში წაიკითხავთ ნუნუ ძამუკაშვილის საბავშვო ლექსებს და აკაკი დაუშვილის საბავშვო პიესას „კეთილი თეთრა“.

თარგმანის რუბრიკაში გაეცნობით რობერტო პიუმინის ზღაპარს. მთარგმნელი მაია ტურაბელიძე.

კრიტიკა-პუბლიცისტიკის რუბრიკაში წაიკითხავთ იკა ქადაგიძის, ქეთევან ჯერვალიძის, ნინო გიორგაძის და ნინო კოჭლოშვილის წერილებს.

ჟურნალში იბეჭდება მხატვარ უშანგი ხუმარაშვილის ნამუშევრები.

ტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი თენგიზ მთავრელიშვილი) მხარდაჭერით.



ლიტერატურულ ჟურნალ „ოლეს“ 2023 წლის III ნომერი იხსნება ფარნა რანას კატრენების ახალი ციკლით.

„მხატვრული ლიტერატურის“ რუბრიკით ქვეყნდება ლიკა კორძიას, თინათინ თელაველის, გიორგი ზუბიტაშვილის ლექსები; ლანა მანველის რომანის „სად არის ბედნიერება“ გაგრძელება, მაია კაკაურიძის „მეორედ მოსვლის ჟამს“ დასასრული, ზურაბ არსენიშვილის და მარიამ ძამუკაშვილის მოთხრობები.

რუბრიკით „სახალხო მთქმელი“ იბეჭდება ფირუზ კოჭლამაზაშვილის ლექსები.

„ბავშვების საკითხავის“ რუბრიკაში წაიკითხავთ ნუნუ ძამუკაშვილის საბავშვო ლექსებს და აკაკი დაუშვილის საბავშვო პიესას „კეთილი თეთრა“.

თარგმანის რუბრიკაში გაეცნობით რობერტო პიუმინის ზღაპარს. მთარგმნელი მაია ტურაბელიძე.

კრიტიკა-პუბლიცისტიკის რუბრიკაში წაიკითხავთ იკა ქადაგიძის, ქეთევან ჯერვალიძის, ნინო გიორგაძის და ნინო კოჭლოშვილის წერილებს.

ჟურნალში იბეჭდება მხატვარ უშანგი ხუმარაშვილის ნამუშევრები.

ჟურნალ „ოლეს“ ეს ნომერი გამოიცემა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.



ნათია ნაცვილი (ნათო) კოტეტიშვილი:

„სამყაროს ისევ სიყვარული გადაარჩენს“

ფსიქოლოგ ნათო კოტეტიშვილის უპანასკნელი საუბარი

– რამდენიმე სიტყვით როგორ წარუდგენდით თავს მათ, ვინც არ გიცნობთ. ვინ არის ნათო კოტეტიშვილი?

– თუ ნებას მომცემთ, ვახტანგ კოტეტიშვილის სიტყვებით გიპასუხებთ. ამაზე კარგად და ამაზე მეტს ვერაფერს ვიტყვი: „მე გააკეთეთ ის, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა... რადგან მორიგი მუშა ვარ ჩვენი განათლების მომცდარ ყანაში... და თუ მკითხველი არ დაკმაყოფილებდა, ეს იქნება ჩემთვის სასიხარულო, სწავლა, რომ ჩვენი სული მომწიფებულა და მომავალი გააკეთებს იმას, რისი გაკეთებაც ამ წიგნის ავტორმა ვერ შესძლო.“

– რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქოლოგია მომავალი პიროვნების ჩამოყალიბებაში?

– მე მინდა გავისხვიო ცნობილი მწერლის სენტ ეგვიპტის სიტყვები: „ჩვენ ჩვენი ბავშვობიდან მოვიდვართ“. ამით ყველაფერი ნათქვამია და მეტი განვრცობა არ სჭირდება.

– თქვენ დიდი ხნის განმავლობაში სკოლებში ექსპერიმენტს ატარებდით. ხომ არ გიფიქრიათ, რომ დამწყები კლასის სწავლების მეთოდში რაც შეიძლება მეტი მოძრაობა ჩაგეროთ, რადგან ბავშვს უჭირს დიდხანს გაუნძრევლად ჯდომა?

– კითხვა ძალიან საჭირო და აქტუალურია. თქვენ სწორად მიუთითებთ, რომ მოძრაობა ბავშვისთვის საჭიროა, მაგრამ, როგორი მოძრაობაა საჭირო, მინდა დავაზუსტო. ბავშვისთვის ძალიან მიმზიდველია რიტმული მოძრაობა, მუსიკის თანხლებით. საერთოდ, კოსმოსი რიტმულად მოძრაობს, ასეთია: მზის ამოსვლა და ჩასვლა, განათება და დაბნელება, სეზონური მონაცვლეობა, დღე და ღამე და ა.შ. ჩვენც ამ სამყაროს ნაწილი ვართ...

– დიდი ხანია ერთი საკითხი მაინტერესებს და პასუხი ვერ ვიპოვე. რატომ ხდება, რომ ადამიანს დაბადებიდანვე დაჰყვება აგრესია. თვეების ბავშვი, რომელმაც ჯერ ავ-კარგის გარჩევა კი არა, არსებობაც არ იცის, აგრესიას გამოხატავს. იმიტომ ხომ არ ხდება ეს, რომ მასში ცხოველური ინსტინქტი მეტია, ვიდრე გონიერება?

– მუცლის გარემო და ის გარემო, რომელშიც ბავშვი მოხვდება გარეთ, ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. სიბნელიდან გადადის ძლიერ სინათლეში, რომელიც უდიდეს სტრესს იწვევს. ამას ემატება ხმაური, ტკივილი, უამრავი უცხო სახე... და ა. შ. ასეთი დიდი სხვაობა ამ ორ გარემოს შორის იწვევს სტრესს და, აქედან გამომდინარე, მის შედეგს – აგრესიას, როგორც თავდაცვის საშუალებას.

– თქვენ როგორი ბავშვი იყავით?

– ძალიან ცელქი, მოძრავი ბავშვი ვიყავი, კარგი მეხსიერებით. ქართული ფოლკლორის უროულეს ლექსებს თავიდან ბოლომდე

იათამზე (იათო) კოტეტიშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დაიბადა 1929 წლის 14 სექტემბერს, თბილისში.

დაწყებითი სწავლა-განათლება მიიღო სახლში, მონწილეობდა პედაგოგებთან, რადგან მამა – ლადო კოტეტიშვილი წინააღმდეგი იყო საბჭოთა სკოლაში სწავლების. მამის გარდაცვალების შემდეგ სწავლა განაგრძო სკოლაში, რომელიც ოქროს მედალზე დაამთავრა. შემდეგ დაამთავრა ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, ბავშვთა ფსიქოლოგიის განხრით, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, სადაც წარმატებული სწავლისათვის დაენიშნა უზნაძის სახელობის სტიპენდია. შემდეგ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში, სადაც სტალინური სტიპენდია დაენიშნა.

დამთავრების შემდეგ მუშაობდა უზნაძის სახელობის ინსტიტუტში. როგორც ბავშვისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე. შეთავსებით მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტში ლექტორად 20 წლის განმავლობაში.

ასევე ლექციებს კითხულობდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში.

ლექციების ნასაკითხად მიწვეული იყო მოსკოვში, ფსიქოლოგიის ინსტიტუტში.

იგი იყო ფსიქოლოგთა მსოფლიო მნიშვნელობის კონგრესის მონაწილე, რომელიც გერმანიაში გაიმართა და დააჯილდოვეს კიდევც.

„უშეცდომოდ ვამბობდი, ოთხი წლიდან დაწყებული. ვინმე როცა მოვიდოდა სტუმრად, მამა შემაყენებდა სკამზე და უნდა მეთქვა: „ჯარჯი ჩახედავს ჯიხვებსა, რა მშვენიერი წიგნანო, რქა რქაზე გადაუხვევავ, ანგელოზებსა ჰგვანანო.“

მიუხედავად იმისა, რომ დიდ ენერჯიას ვხარჯავდი, უჭმელი ბავშვი ვიყავი. როცა დედა მეკითხებოდა, ქათმის ხორციდან რა ნაჭერი მოგცეო, ვპასუხობდი – კისერი და ფრთა, სადაც ხორცი თითქმის არ იყო.

წერა-კითხვაც ადრე დაიწყე. ვკითხულობდი ყველაფერს, მესმოდა თუ არა, ასაკისთვის შეუფერებელ, სერიოზულ წიგნებს, როგორებიც იყო: შექსპირის „ჰამლეტი“, ელინური მითები, უოლტერ სკოტის „აივინგო“ და სხვ. მუსიკა მიყვარდა, თუმცა სმენით არ გამოვიჩინე. ზოგჯერ ჩუმად ვიპარებოდი ნაყინის „ესკიმოს“ საყიდლად, რის გამოც მსაყვედურობდნენ მშობლები. აი, ეს არის მოკლე, რისი გახსენებაც შემიძლია.

– თქვენ გამორჩეულად ღირსეული მშობლები გყავდათ. ლადო კოტეტიშვილი, ქართული მედიცინის ისტორიის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი და ნინო მაყაშვილი, თავადის ქალი.

რა მსგავსებას ხედავთ თქვენში თითოეულ მათგანთან?

– მამა ძალიან შრომისმოყვარე იყო, მრავალმხრივი ტალანტით დაჯილდოებული. წერის ნიჭითა და შრომისმოყვარეობით მას დავესგავსე. X კლასის გამოსაშვებ გამოცდაზე დაწერილი თემა ხელიდან ხელში გადადიოდა და აღფრთოვანებას იწვევდა. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე.

დედა ძალიან მხიარული იყო, მსახიობური ნიჭითა და იუმორით გამოირჩეოდა და სწორედ ეს უნარები, რომლებიც მისგან გამომყვა, გამომადგა ლექციების კითხვის დროს. ჩემს ლექციებს სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ. ამ საკითხში მარტო შალვა ნუცუბიძე მჯობნიდა, ეს ხუმრობით, თუ ნებას მომცემთ.

– რომ შეგეძლოთ, თქვენი ცხოვრება, როგორც ფირზე აღბეჭდილი ფილმი, უკან დააბრუნოთ, რომელ მომენტზე შეაჩერებდით...

– შევაჩერებდი სტუდენტობის პერიოდზე. არასოდეს დამავინებდა შესანიშნავი პროფესორები, რომლებიც მასწავლიდნენ: რევაზ ნათაძე, ვასო ფრანგიშვილი, კოტე ბაქრაძე, სავლე წერეთელი, პეტრე შარია... იყო ბევრი და ძალიან საინტერესო დისკუსია, ამით გვასწავლიდნენ კრიტიკულ აზროვნებას. ამ დროისათვის შეიქმნა საბჭოთა კავშირის მსოფლმხედველობა, გაჩნდა ბზარები, აღარ იყო ისეთი ზენოლა, როგორც წინათ, ამიტომ თავისუფლად შეიძლებოდა დისკუსიები, შეხედულებათა სხვადასხვაობა. ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი და საინტერესო პერიოდი და, რომ შემეძლოს, ამ პერიოდში სიამოვნებით დავბრუნდებოდი.

– უამრავი მცდელობაა ბედნიერების განსაზღვრის. მე კი ვიტყვი, რომ ბედნიერება არის ის, რაც სიხარულს აღემატება. ჩვეულებრივ, კმაყოფილების გამოსახატავად ითქმის – მიხარია, მოხარული ვარ, დიდი სიხარულის დროს კი – ბედნიერი ვარ. ერთი სიტყვით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბედნიერება არის სიხარულის აღმატებითი ხარისხი. თქვენ რას იტყვით?

– დიას, შეიძლება ასე ითქვას და, მე ვფიქრობ, კარგად არის გამოხატული ეს აზრი. ჩემთვის ბედნიერება ბავშვებთან ურთიერთობაა. ეს მანიჭებს დიდ სიხარულს. ადრე ასეთი ტესტები შემოვიდა ევროპიდან, ერთი შეკითხვა იყო, გიყვართ თუ არა 1 წლამდე ბავშვები. ვისაც უყვარს, ითვლება, რომ იმას ნამდვილად უყვარს ბავშვები. რასაკვირველია, დადებითად ვუპასუხე.

– ჩვენი სულიერი განწყობა ხშირად სიზმარში აისახება. მეცნიერული აზრის მიხედვით, პირველყოფილი ადამიანი სიზმარს ვერ ასხვავებდა სინამდვილისაგან, ამიტომ, თუ სიზმარში ვინმე აწყენინებდა, ცხადში უხდიდა სამაგიეროს.

იუნგის აზრით, მას წინასწარმეტყველური მნიშვნელობა აქვს.

თქვენი თვალთახედვით, როგორ აისხნება ყოველივე ეს?

– სიზმრის ფენომენი ბოლომდე არ არის გამოკვლეული. ჩემი აზრით, სიზმარს წინასწარმეტყველური მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ხშირად გადმოსცემს ჩვენს არაცნობიერ სამყაროს.

– რა არის მშვენიერება და რაზეა დამოკიდებული მშვენიერების აღქმა?

– ყოველი აღქმა არის სუბიექტის აქტივობა, სუბიექტის შექმნილია და ერთგვარი შემოქმედებაა. დღეს ეს აზრია გავრცელებული.

– თქვენი აზრით, ბუნებაში ყველაფერი შეიძლება მეცნიერულად აიხსნას, თუ არის უამრავი მისტერია, რომელიც არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება და მიუწვდომელია ადამიანის ცნობიერებისათვის. სიყვარულიც ხომ, ირაციონალური გრძნობაა, ლოგიკას მოკლებული, არაფერ იცის, საიდან მოდის და სად მიდის. მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მთელ არსებას მოიცავს და იმორჩილებს გონებას... სიყვარული ღვთიური ძალაა, რომელიც სულის სიღრმეში აღწევს და შენთვის საყვარელ ადამიანს შენი სულის ნაწილად აქცევს.

როგორც არისტოტელემ თქვა, „სიყვარული არის ორი ადამიანის სულიერი და ფიზიკური შერწყმა“...

გვითხარით თქვენი აზრი ამის შესახებ.

– მე, როგორც მეცნიერების წარმომადგენელს, მისტიციზმის ნაკლებად მჯერა. მრავალი კვლევისა და დაკვირვების შედეგად გამოჩნდა, რომ არაცნობიერი არის წარმართველი ძალა ბევრი მოვლენის და სწორედ ის ითვლება მისტიციზმის წყაროდ.

ჩემი აზრით, მისტიციზმის ადგილი არის მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მეცნიერებაში კი მთავარია ლოგიკური აზროვნება.

სიყვარული ისეთი მიუწვდომელი მოვლენაა, რომელიც მეცნიერებისათვის დღემდე ამოუცნობია...

– ლაზარევის აზრით, „სიკეთე საკუთარი ეგოიზმისა და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებაა“.

თქვენთვის რა არის სიკეთე?

როგორ უნდა გაიღო სიკეთე, რომ მადლიერების ნაცვლად შეურაცხყოფილი არ დარჩეს ვინმე? თქვენი პასუხი საინტერესოა, რადგან სიკეთეა თქვენი ცხოვრების წესი.

– ესეც ერთგვარი თანაგრძნობაა სხვის მიმართ. თუ არა გაქვს საშუალება, რომ დაეხმარო, უნდა შეგეძლოს, თანაგრძნობა მანც, პატივისცემა და თანაგრძნობა გამოხატო სხვის მიმართ.

– 50-იანი წლების თაობა აღსანიშნავია სახელოვან ადამიანთა მთელი თანაგრძნობით. მათ შორის თქვენც ხართ, როგორც არაორდინარული, ნიჭიერებით გამორჩეული, ნოვატორი ფსიქოლოგი. მანც რატომ იყო თქვენი თაობა ასეთი განსაკუთრებული?

– ჩვენი თაობა იყო მკითხველი თაობა. რიგი იყო ჩამოწერილი წიგნებზე, ვინ წაიკითხავდა. ენებს სწავლობდნენ. უაღრესად განათლებული თაობა ვიყავით. ალბათ ეს იყო მიზეზი ამ დიდი ინტელექტის.

– თუ იცხოვრებთ ისე, როგორც გინდოდათ?

– არა, სამუხაროდ. ბევრ რამეს ვნანობ, მაგრამ უკვე გვიან არის ამაზე ფიქრი.

– თუ გრძნობთ თავს თავისუფალ ადამიანად?

– არა, რასაკვირველია. ჩემს თაობაში არ გვექონდა საშუალება, თავისუფლად გამოგვევლინა ჩვენი შესაძლებლობები. ამიტომ ვერ ჩავთვლი თავს თავისუფალ ადამიანად.

– გნამთ თუ არა ღვთიური ძალის?

– დიას, მნამს.


– ნათქვამია, რომ სილამაზე გადაარჩენს სამყაროს. რატომ არის სილამაზე ასეთი მნიშვნელოვანი?

თქვენ როგორ ფიქრობთ, რა გადაარჩენს კაცობრიობას?

– ჩემი აზრით, სამყაროს გადაარჩენს ადამიანების ურთიერთსიყვარული, ნდობა და გულწრფელი თანაგრძნობა, ემპათია... ეს გადაარჩენს კაცობრიობას, რაც ასე გვაკლია დღეს, სამუხაროდ...

იმედი მაქვს, მომავალში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება...

ესაუბრა ნათია სორნაული



ალექსანდრე ეპანოიძე

არც ისე დიდი დრო გავიდა მას აქეთ, რაც ქართულმა ლიტერატურამ აუნაზღაურებელი დანაკარგი განიცადა – ორმა დიდმა მწერალმა მიგვატოვა. ჯერ მძიმე სენმა ოთარ ჭილაძე წავართხა, მერე კი მოულოდნელად რეზო ჭეიშვილი გარდაიცვალა თავის აია-ქუთაისში. ორივე იმხელა მასშტაბის მწერალი იყო, რომ მათთან დაკავშირებული მცირე ლიტერატურული შემთხვევაც კი ქართული ლიტერატურის ისტორიას მიეკუთვნება. ერთ ასეთ ფაქტს გავუზიარებ მკითხველს.

ორივეს კარგად ვიცნობდი – პირადად, უფრო კი შემოქმედებით. ორივეს თავიანთ ვეცემდო, როგორც ახალი ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ნარმომადგენელს. ერთმა შემთხვევამ, თითქოს მცირემ და უმნიშვნელომ, საფიქრალი გამიჩინა.

მაგრამ ჯერ მოკლე წინასიტყვაობა. ოთარ ჭილაძის ხუთი რომანიდან ყველაზე მეტად პირველ, ანტიკურ რომანს ვაფასებ – „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. მისი ძლიერი შთაბეჭდილება, ნატოფი და დახვეწილი დამოკიდებულება დღემდე შემრჩა.

ჩემი აზრით, ჭილაძის პროზის „დიაგრამა“ შემდეგ ნელ-ნელა ქვემოთ დაეშვა. „ყოველმან ჩემმან მოგწოდებდა...“ შესანიშნავი რომანია; „რკინის თეატრი“ ივარგა – ბოლო კარის გარდა, რომელიც ლაბორატორიული ფსიქოლოგიის შთაბეჭდილებას ტოვებს. „მარტის მამულმა“ შედარებით მოისუსტა, „აველუმის“ გამო კი მე და ოთარს არასასიამოვნო შელაპარაკებაც კი მოგვიბოძა.

იმ დროისთვის მოსკოვის ცნობილი ჟურნალის „დრუჟბას ნაროდოვის“ მთავარი რედაქტორი გავხდი. 90-იანი წლების დასაწყისში „დრუჟბას“ ტირაჟი თითქმის ორ მილიონს აღწევდა და, სხვადასხვა ფაქტორის გამო, რეპუტაციის ურყევი მატარებელი „ნოვი მირი“ უკან მოიტოვა. შევიტყვე თუ არა, რომ ჭილაძემ ახალი რომანი გამოაქვეყნა, ჟურნალის მეოთხე ყდაზე ანონსი ავაკრეფინე, თავად კი ოთარს დაფურეკე, რათა გამერკვია, რას ნიშნავს სიტყვა – „აველუმ“. ყურმილი ზაზამ აიღო და ამისხნა, რომ „აველუმ“ — შუამერული სიტყვაა და თავისუფალ მოქალაქეს ნიშნავსო. ვიფიქრე – თავის დროზე „თიხის სამი ფიროფიტო“ აღტაცებულმა ოთარმა ისევე მითს შეუერთა შთაგონებითი ენერგია, თან თანამედროვეობას დაუკავშირა – „თავისუფალი მოქალაქე“ ხომ იმ წლების ლოზუნგი იყო. ვთხოვე, რაც შეიძლება სწრაფად გამოეგზავნათ ტექსტი. „დრუჟბამ“ მანამდე „ყოველმან ჩემმან მოგწოდებდა...“ და „რკინის თეატრი“ გაცნო რუსულენოვან მკითხველს და ბევრი თავიანთსმცემელი გაუჩინა ავტორს. ამის გამო რედაქციამაც მოუთმენლად ელოდა რომანს.

მიღებისთანავე ელიზბარ ანანიასვილს გადავეცი, თარგმანის ოსტატს, რომელსაც ჭილაძის სამი რომანი ჰქონდა ნათარგმნი. ერთ თვეში დამირეკა და, ცოტა არ იყოს, უცნაური, ეჭვმეპარული ინტონაციით მკითხა: „კი მაგრამ, საშა, თქვენ დაბეჭდავთ ამ რომანს?“ მის ინტონაციას ვერ მივუხვდი და ვუპასუხე: „არ ვიცი, ჯერ არ ნამიკითხავს-მეთქი“ – „ჰო და ნაკითხეთ. ამხელა წიგნის თარგმანს უხელმეკრულეობდ ვერ შეუდგებიო...“

ოთხჯერ ჩავუჯექი „აველუმს“ და ვერ დავძლიე. რომანის კითხვა ისეთ შთაბეჭდილებას მიქმნიდა, როგორსაც ჭაობში მოხვედრილი ავტომობილი: მოტორი წივის, რეზინა იწვის, მანქანა კი ადგილიდან არ იძვრის.

აქვე მოგახსენებთ, რომ ნაკითხული მაქვს გერმანული რეცენზია, რომელშიც რეცენზენტი „აველუმს“ ბეთჰოვენის სიმფონიას ადარებს. რომანის რეცენზია მას მერე ნაკითხეთ, რაც გერმანული თარგმანი გამოიცა, მაგრამ ჩემი აზრი არ შეცვლილა.

ოთარს თბილისში შევხვედი შემთხვევით. გადაფსკენილი მეგობრები მანამდეც არ ვიყავით, უფრო კი ნაცნობობა გვაკავშირებდა. ნელთბილი დიალოგიც ბოლოს მთლად გავიცვივდა. ოთარმა მითხრა: „იქნებ დაბეჭდო და მკითხველმა განსაჯოს რომანის აკარგიანობაო...“ „კი მაგრამ, ყველაფერი თუ მკითხველს მივანდე, მე რისი მაქნისი ვარ“, – ვუპასუხე. მაშინ მოულოდნელი წინადადება მივიღე: „იქნებ შემოკლებული ვარიანტი დაბეჭდო...“ ასეთი რამ ოთარისგან არავის სმენია. „დრუჟბას“ ვეტერანებმა მიაშვეს, რომ „რკინის თეატრის“ ბეჭდვისას რედაქციამ გაუბედავად შესთავაზა სამიოდე მცირე შემოკლება და ჭილაძისეული პასუხი მიიღო: „არც ერთი სიტყვა!“ ახლა კი რომანის შემოკლებულ ვარიანტს მთავაზობდა...

ამ ამბავს პატარა გავრძელება მოჰყვა. 2014-ში ქართულ ნომერს ვამზადებდით. ასეთი ჩემი რედაქტორობისას რამდენიმე გამოიცა. საკმაოდ მაღალხარისხიან პროზას, პოეზიას და პუბლიცისტიკას მოვუყარეთ თავი. მაგრამ ნომერი მაინც წაიშუბუქებდა და რედაქციისგან გამოითქვა აზრი, იქნებ დაწუნებული „აველუმისგან“ დავეშვათ

ორი მწერლის გახსენება და არათანადრული აზრები

ნანყვეტი, ჭილაძისეული პროზა უთუოდ ნოდობას შემატებსო. უყოყმანოდ დავთანხმდები: „კი, ბატონო, ამოარჩიეთ სამ თაბახამდე და ნაუკითხავად ყაბულსა ვარ“. დატრიალდნენ ოთარის თავყვანისმცემლები, ფურცელს მაია ბირიუკოვას მონდომებული თარგმანი, მაგრამ ხელცარიელები მენვიფინენ. აი უცნაურობა! გერმანული რეცენზენტის აღტაცებას მაინც ნუ დავივინებთ: „ეს წიგნი ბეთჰოვენის სიმფონიას გვაგონებსო...“

2002 წელს, ერთ მართლაც მშვენიერ დღეს რედაქციაში მენვია ჩვენს საელჩოში მომუშავე ნაცნობი ქალბატონი და „მნათობის“ ორი ნომერი მომანოვა. მათში „გოდორი“ იყო დაბეჭდილი. ჩვენი საელჩო ორ ნაბიჯზე მდებარეობდა რედაქციისგან და ამა-ნაც თუ შეუწყო ხელი საბედისწერო ვიზიტს.

„აველუმის“ შთაბეჭდილება არ მქონდა ბოლომდე მონელებული, რის გამო კითხვას ფრთხილად შევუდექი. მაგრამ „გოდორმა“ პირველივე გვერდიდან გამიტაცა, დამშანთა და ამავე დროს აღმაფრთოვანა. მხოლოდ ორი ლიტერატურული შთაბეჭდილება მაგონდება ესოდენ ვნებითა და ენერგიით დამუხტული – ახალგაზრდობაში ტოლსტოის „კაზაკები“ რომ ნაკითხეთ, მოგვიანებით კი ფოლკნერის „ხმაური და მძინვარება“.

როცა პირველი ემოციები დამიცხრა, ოთარს მივწერე. სიყვარულითა და მონივნებით მივულოცე დიდზე დიდი წარმატება და მადლობა გადავუხადე.

90-იან წლებში მოსკოვის გაზეთებში და რადიო „სვობოდა“-ში – კარა-მურზას პროგრამაში რუსეთს ვებრძოდი, საქართველოს პოზიციებს ვიცავდი. გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები ნიგნაბ დაფსტამბზე, მაგრამ სამშობლოდან ისეთი მძიმე და გულისამრევი ინფორმაცია მოდიოდა, რომ სირცხვილსა და ტკივილს ვგრძნობდი. თბილისში ჩასვლა არ მომიხერხდა და როცა ერთ კოლეგასთან ამის გამო გულისტკივილი გამოვთქვი ტელეფონით, მიპასუხა: „მადლობა ღმერთს, რომ ამ დღეში არ გვხვდებით!“

ეს ის დრო იყო, როცა თბილისის პოპულარული გაზეთი უტექსტოდ გამოვიდა, მის ცარიელ გვერდებზე დიაგონალით, მსხვილი ლათინური შრიფტით მხოლოდ ერთი სიტყვა-დიაგნოზი ეწერა: „AGONIA“. მაშინ ქათინაურებს შეჩვეული ქართული საზოგადოება პირველად გამოფხიზლდა და აღიარა: „ჩვენ არ ვვარგავართ“. ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ძალისმიერი უმეობა, ჩვენი უსუსურობა ჩემშიც უსუსურობას აღვივებდა და გულს მიკლავდა.

და ოთარის „გოდორმა“ სასწაული მოახდინა, სული მომატემევიანა, თავს ლაფი

ჩამომბანა და იმედიც კი დამიბრუნა. მართლაც, შეუძლებელი იყო, რომ „გოდორით“ სრულყოფილი და ძლიერი ნაყოფი ნაგვის გროვიდან ამოზრდილიყო. ცხელ გულზე ესეც კი დაწერე მოკლე წერილში: „გადაჭარბების რომ არ შემინოდეს, ვიტყვოდი, რომ შეიძლება ყველა ეს უბედურება იმისთვის დაგვატყდა თავს, რომ ასეთი წიგნი შექმნილიყო“.

წერილი კონვერტში ჩავდე და ძველებური ფოსტით ოთარს გავუგზავნე.

ხუთიოდე დღეში დამირეკა და თავისი ვაჟკაცური, თითქოს ოდნავ მოგუდული ხმით მითხრა: „მგონი, შენმა წერილმა მე ისე ამაღლევა, როგორც შენ ჩემმა რომანმაო“.

რალა თქმა უნდა, დაინტერესებული ვიყავი, დროის ღრმად ამსახველი ქმნილება ჩემი ჟურნალის ფურცლებზე მცხილა. „რასან ასე გაგიტაცა, იქნებ თვითონვე თარგმნო“, – მითხრა.

თარგმანმა ივარგა. თვით ოთარ ჭილაძემ – უსაშველოდ მომთხოვნმა ლიტერატურის ყველა წერილმანში, ძალზე მაღალი შეფასება მისცა ჩემს ნამუშევარს. რაც შეეხება რუსულ პრესას, მგონი, ზედმეტიც კი მოუვიდათ. პეტერბურგის „ნევა“ წერდა, „გოდორის“ თარგმანი XX საუკუნის კლასიკური რომანების პრესტის, ჯოსის და ფოლკნერის უმანკო თარგმანებს არ ჩამოუყარდებო. ამ შეფასებაში „გოდორის“ თავისებურება და დონეც ჩანდა. ლიტინსტიტუტის თარგმანის კათედრის გამგემ რეცენზიას „ოსტატის მარ-

ჯვენა“ უწოდა და რომანის აკარგიანობას თითქმის არ შეხებია, თარგმანს აქებდა და ჟუკოვსკის ცნობილი აფორიზმიც გაიხსენა: „პოეზიის მთარგმნელი მეტოქეა, პროზის მთარგმნელი კი მონააო“. თან დასძინა; „ვა-სილი ანდრეევიჩი, „გოდორის“ თარგმანი რომ წაგეკითხათ, აზრს შეიცვლიდითო“. კიდევ ერთმა რეცენზენტმა (შესანიშნავმა რუსმა მწერალმა), მთლად მიუშვა ალვირი: „ჩვენ მიერ ნაკითხული „გოდორი“ ისეთი სილაღით და ენერგიითაა მოთხრობილი, რომ შეგვიძლია ალექსანდრე ებანოიძე რუსული ვერსიის ავტორად ვაღიაროთ“. ბოლო შეფასება უფრო იმისათვის გავიხსენა, რათა ოთარის შესანიშნავ რეაქციას შევამჩნიო. ეტყობა რუსულ პრესას, თვალყურს ადევნებდა, მწერლის მოსაზრებაც არ გამორჩენია და ტელეფონით მორიგი საუბრისას მითხრა: „შეიძლება, როგორც თანაავტორმა, პატარა შენიშვნა მოგცეთ?“...

ამ ამბის მეორე მოქმედი პირი, როგორც მოგახსენებთ, რეზო ჭეიშვილია. მის შემოქმედებას – მოთხრობებსა და ნოველებს ძალზე ვაფასებ. ჩემი აზრით, რომანი არ იყო რეზოს უანრი, ვერც „ქალაქში დინოზავრები დადიან“, ვერც „ჩემი მეგობარი ნოდარი“ მის ნოველებს ვერ გაუტოლდება. ზოგიერთ მათგანს იმ ბრწყინვალე რიგში ვხედავ, სადაც მოპასანის, ჩეხოვის და ჯოსის „დუბლინელების“ მოთხრობები მეგულებოდა. რომელი ერთი გავიხსენო? „ლუკა პაჩიოლის უკანასკნელი დღეები“, „პზინანეთი“; „მესამე მგზავრი“ ნოველებიდან შედგენილი, „მუსიკა ქარში“... მის „ცისფერ მთებს“ კინოშიც გაუმართლა. შემთხვევით კი არ ნამოსცდა რევაზ ინანიშვილს „სამაგიდო რეველში“: „როგორი ოსტატობითაა დანერგული მისი „კვამლი“ (ციტატა მოსაძებნია და არ გავაგრძელებ); მთავარი ისაა, რა კითხვას სვამს ინანიშვილი: „ნუთუ ვეროპელი სახელმწიფოებები უკეთესად წერენ?“ და ცოტა არ იყოს, ბიჭური სიამაყით დასძინა – „ყოჩაღ, ჭეია!“

აი, კიდევ ერთი სახელი – ინანიშვილი! რა დიდებული მწერალი იყო, რა შესანიშნავ მოთხრობებს გვჩუქნიდა ჭარმაგებსა თუ პატარებს. იცოდა, რისი ნიჭი არგუნა უფალმა და ვრცელი ნაწარმოების დაწერა არც კი უცდია. რა დიდებულ ქართულს ფლობდა და ქართული ბუნების როგორი მცოდნე იყო! ჩვენ იმ ხუთის, მცენარეების თუ ფრინველების სახელები აღარც კი გვახსოვს...

ჭეიშვილის პროზას ახასიათებს დახვეწილი და ეკონომიური ოსტატობა, რომელიც მკითხველის ავტონომიაზე არავითარ აგრესიას არ ახდენს; თავის მხატვრულ სამყაროში ავტორს მკითხველი დელიკატურად შეჰყავს.

ამით მართლაც გვაგონებს ჩეხოვს, და, როგორც ექიმ ჩეხოვს ავადმყოფობის ყველა სირთულე ესმის, ეს კი მის გულში სევდას და თანაგრძნობას იწვევს.

ავტორის მიერ მოყოლილ ამბებში ყოფითობის აბსურდს მოულოდნელი ლირიზმი აბობობს, პოეზიას კი მწარე სარკაზმი გადაეღვრება ხოლმე. მიუხედავად თანდაყოლილი ქუთათური ირონიისა, მისი შემოქმედება გამსჭვალულია თანაგრძნობით ადამიანისადმი, რომელსაც შიშები და ვნებები არ ასვენებენ, ამიტომ, რომ რეზოს ძალზე სასაცილო მოთხრობებსაც კი სევდანარევი დაგემოვნება სდევს თან. გოგოლის თქმის არ იყოს: „ო, რა მოსაწყენია ამ ქვეყნად ცხოვრება, ბატონებო!“

90-იან წლებში კი რეზოს თითქოს გული გაეყინა, მისი დახვეწილი გრაფიურები ნაუცხბავად გადაღებულმა ფოტომ შეცვალა, პოეტური აურა მან კი არ დაკარგა, – განდევნა და მოგვივლინა „რუსს“, „მექქსს“ და „გივის“ ამაზრუნნი სიცარიელე...

ახლა კი, მოდით, გავიხსენოთ, რა დიდებული ლიტერატურა ხარობდა „წყეულ“ საბჭოეთში!

სადაა ახალი „ვარსკვლავთცვენა“, ახალი „ბორიასი“ გენიალურად დახატული ლექო თათაშელი! სადაა „სამოსელი პირველი“ შესანიშნავი პოსტმოდერნისტული მოთხრობების თანხლებით, ან „პაპა, მიწურა ზამთარი...“

„დათა თუთაშისა“ არც კი ვახსენებ; ასეთ წიგნს ერთ საუკუნეობით ელის!

რომელი ერთი გავიხსენო კიდევ – ვრცელი თუ მორჩილი, რამდენი ჩქერი ერთვოდა ქართული ლიტერატურის მდინარეს: ჯაფარიძის „ახლო არს ზაფხული“, გეგემიძის „მურისიძე“, აბაშიძის „აქეთ მამულები, კვაზიმოდო!“, ქარჩხაძის „მაგნოლის ყვავილი, ანუ ბებია ანას გარდაცვალება“, პაიჭაძის „იროდიონი“, „ბოტანიკური ბაღი“, ბეროშვილის „ლილი“, სიხარულიძის „მეათე მონმე“, ნულისკირის „თუთარჩელა“ და „აფთარი“, შემდგომ „მონანიებას“ რომ დაეყო საფუძვლად, იოსელიანის უშუალოდ უტყვი „ხარჯიხვი“, მიშველადის ირონიით სავსე მოთხრობები და მათ შორის მარგალიტივით მოკაფე ლირიკული შედეგები „დეპეშა“, ჩვენში გენდერული თემის ცნობილი დამფუძნებელი გელაშვილი „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“, შატაიძის გულში ჩამწვდომი მარტივი ამბები, დაგვირგვინებული „აფრიკაში მოგზაურობით“...

გასული ეპოქის მიღწევების ჩამოთვლას ახველდიანის საოცარი „ვანო და ნიკოთი“ განვარდობს. ერლომის იგავენი დამყნობი ბიბლიაზე და ჩაბლინზე, და ამავე დროს ეროვნულია, ვით ხალხური ორნამენტი; სტურუამ შემთხვევით კი არ მოისურვა, პატარა ვანო და ნიკო რუსთაველის დიდ სცენაზე გადაენერგა.

რახან „ვანო და ნიკო“ გავიხსენებ, სანყისსაც ნუ დავივინებთ – გურამ რჩეულიშვილის „ბათარეკა ჭინჭარაულს“ და „ალავერდობას“, ჩვენი ლიტერატურის ახალი აყვავება რომ გვამცნეს.

ბოლოს და ბოლოს, ზურიკელამ რალა დაამწვა თავისი საყვარელი ბებიით, ილიკოთი და ილარიონით! ისინიც ხომ 60-იანი წლების დასაწყისში მოგვევლინენ – ჯერ „ცისკარში“, მერე კინოში და სცენაზე. მაგრამ მარჯანიშვილი ნანახი სპექტაკლი, კინალამ სული რომ ამომხადა სიცოლით.

სიტყვამ მოიტანა და „წყვდიადის ეპოქის“ კინოს და თეატრსაც გადავავლოთ თვალი. სად გაქრა ქართული კინო, მსოფლიოს კულტურულ მოვლენად რომ იყო აღიარებული? ნუთუ შესახსენებელია ჩხეიძის და ზაქარიაძის „ჯარისკაცის მამა“, იოსელიანის „გიორგობისთვე“ და „იყო შაშვი მგალობელი“, კვირიკაძის „მოცურავე“, ესაძის „ნეილონის ნაძვის ხე“, რეზიაშვილის „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“ და „გზა შინისაკენ“, ჩოხელის მოკლემეტრაჟიანი და სრულმეტრაჟიანი ფილმები, ბაბლუანის „ბელურების გადაფრენა“ და „უძინართა მზე“, გიორგი შენგელაიას „ფიროსმანი“ და „ვერის უბნის მელოდიები“, ელდარ შენგელაიას „არაჩვეულებრივი გამოფენა“ და „შერეკილები“, ფარაჯანოვის „სურამის ციხე“ და „აშული ქერიბი“. ამ კინოშედეგების ჩამოთვლას დავასრულებ ოთხეულით, რომლის ნებისმიერ ჰოლივუდს თუ ჩინეიტას შემურდება – „არ დაიდარდო“, „მიმინო“, „ნატურის ხე“ და „მონანიება“...



პარკალიზები ნიქარაში

ორიოდ შტრიხი ნინო ქუთათელაძის შემოქმედებისა

ამა წლის 25 აპრილს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო ნინო ქუთათელაძის ნოველების კრებული „სიზმრების ქარავანი“ (2022 წ.) და ათი წლის წინ გამოცემული პოეტური კრებული „ლექსები. პოემები“. ნინოს შემოქმედებაზე და კონკრეტულად დასახელებულ ნიგნებზე საინტერესოდ ისაუბრეს: საზოგადოების თავმჯდომარემ, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ, პროფესორებმა: გიორგი გოგოლაშვილმა და თამარელა ნონორიამ, ნიკოლოზ სანებლიძემ და სხვებმა. ბატონმა როსტომ ჩხეიძემ ისიც აღნიშნა, რომ საზოგადოების სხდომაზე ორი ნიგნის განხილვა არცთუ გასაკვირია, მაგრამ უანრობრივად ასე განსხვავებული ნიგნები კი არ მახსოვს, რომ განგვეხილაო. ისიც ითქვა, ნინო ქუთათელაძე მრავალმხრივი შემოქმედია და მასზე საუბარი ამომწურავი ვერ იქნებაო.

ნინო ქუთათელაძე, ასე მგონია, ადრეული ბავშვობიდან, რაც წერა-კითხვა შეისწავლა, სულ წერს და კითხულობს, ან პირიქით, კითხულობს და წერს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნინო ძალზე შრომისმოყვარე შემოქმედია და მოგეხსენებათ, ნიჭი შრომის გარეშე ცალუღელა ხარს ჰგავს და შორს ვერ გასწევს.

ნინო ქუთათელაძე რასაც წერს, მთელი არსებით წერს; იცის, რას და რისთვის წერს. ორიგინალური ნაწარმოებების შექმნისას თუ თარგმნისას იგი სიტყვას საჯილდაო ქვასავით უყურებს და სანამ იმ კუთხეს არ მოუძებნის, საიდანაც შეძლებს, რომ ასწიოს და წინადადებაში ჩუქურთმასავით ჩასვას, მანამდე არ მოეშვება.

2022 წელს გამოცემული „სიზმრების ქარავანი“, კრებული ნოველებისა, შევსებული გამოცემა ნინო ქუთათელაძის „ფილისთური ნოველებისა“, ლამაზად შევსებული. „სიზმრის ქარავანში“ განთავსებული ნოველების გეოგრაფიული არეალი თითქოს წინასწარ განსაზღვრულია, თბილისსა და თბილისელებზე წერს, ამაზე მიუთითებს ნოველების პერსონაჟთა მეტყველებაც (თბილის-ქალაქური), მაგრამ მე უფრო ზოგადქართული მგონია ის ხასიათები, რომელთაც ნოველები გმირები ავლენენ. ნერვები სიმებივით დაგეჭიმება, როდესაც ამ ტრაგიკულ ნოველებს კითხულობ (ბევრი მათგანი ხომ მე წერის პროცესში მაქვს მოსმენილი ან ნაკითხული), ერთადერთი შვება ამ ტრაგიზმში მოჭიატე სიკეთეა, ძვირფასი თვალისთვით თავმდაბალი და მოჭიატე, სიკეთე, რომლითაც პერსონაჟთა უმრავლესობა დაჯილდოვებულია.

რამდენიმე ნოველს განსაკუთრებული მისტიკურობის ნიშნით გამოვარჩევდი. ესენია: „წყალქალა“, „მებორნე“, „შავი სარეცხი“ და თვითონ ნიგნის სათაურად გამოტანილი „სიზმრების ქარავანი“. თვალსაჩინოებისთვის თითოეულიდან მცირე ამონარიდს მოვიტან. „ქალაქში რაღაც წყლის ბუქი გაჩნდა, თითქოს ვიღაც დადის და სველ ნაკვალევს ტოვებსო... არც ღრუბელი ჩანდა, არც წვიმა მოდიოდა... არც მეთულუხჩეს გასტეხია ჭურჭელი... ქუჩაში მიმავალი კაცი უცებ სველდებოდა და მერე მშრალზე, დიახ, მშრალზე გამოდიოდა...“ და ამ ნოველის ფინალი: „ის (წყლის ჭავლი) ნელ-ნელა გადაედინა ზაქარაისკენ, ბავშვი შიშველ ფეხებთან მიუწვინა და გაქრა... იმ დღიდან წყალქალა ქალაქში აღარავის უნახავს“. ამ ნოველაში ყურადსაღებია ის მონაკვეთიც, რეფრენივით ნოველის ბოლოსაც რომ მეორდება: „ვინ იცის, რა ძნელია, როცა სული ცრემლით გაქვს სავსე და ვიღაც, შეიძლება სულაც ახლობელი, მშრალად გამოდის შენი ცრემლადქცეული სამყაროდან“. ადვილი მისახვედრია, რომ ეს მონაკვეთები „წყალქალადან“ არის.

ახლა ვნახოთ „მებორნე“. ივანე მებორნე ცოცხალი არსებასავით ელაპარაკება მტკვარს. ფიქრში წასული,

ბორნის ბეჭს მიყვრდნო. „უცებ წყალზე რაღაც გალიცლიცდა. ივანემ გაბეზრებულივით ხელი აიქნია, აქოდა, ფიქრი მაცალაო, მაგრამ ლიცლიცი არ მოეშვა, გარემო ააელვარა და სულში შეუძვრა... მტკვრიდან ქალი წამოიმართა... ძონისფერი ზიმზიმა ლეჩაქი ეხურა, ძონისფერივე კაბის სახელოები ყრმისთვის მოეხვია და გულში იკრავდა, ყრმის სახე კი არ ჩანდა... ივანე წამოხტა, ორივე ხელი გაშალა და თავზე წამომდგარ მარადიულ დედოფალს გაცვეთილი ბოხობი მოუხადა. ქალი მტკვარს ასცდა, მთანინდის ბინდისკენ გაიწია, გაფერმკრთალდა და ლამის კალთას შეეფარა“.

„შავი სარეცხი“ 1924 წლის ავბედითი დღეების სურათს გვიხატავს. ქვრივი მრეცხავი მართა ოთხ ობოლს ზრდის. მას ყოველ დღით გულს უხარებს ერთიანად თეთრებში გამოწყობილი, თეთრმერდინიანი თებროს, მეტსახელად „საიქიოს მესანთლეს“ დალოცვა: – „თეთრად შენი სარეცხი, ქალო!“ ერთ დღესაც თებროს დალოცვის გარეშე დარჩენილი მართა ცუდმა წინათგრძნობამ შეიპყრო. სამინელი ამბავიც შეიტყო თავისი გიორგის შესახებ. აკი გიორგი ეიმედებოდა უკვე და უმიზეზოდ კი მოუქლეს. მთელი სამეზობლო თანაგრძნობით შემოხვევია მართას და გვიანდა შენიშნავენ, რომ დღით გაფენილი ქათქათა თეთრეული გაშავებულია, სარეცხი გაშავებულია: „არც წვიმა მოსულა, არც ფაბრიკის კვამლს შეუბურავს, არც მტვრის ბორბალა დაუტრიალებია ქარიშხალს, არც საღებავში უდღუღებია ვინმეს, დღით გაფენილი თეთრეული ისეთი შავი იყო, როგორც ცაცხვის ტოტზე შემომჯდარი ყორნის ფრთა, როგორც დეკემბრის უმთავრო და დიდი ღამე, როგორც მართას თვლებში სამუდამოდ ჩანოლილი დარდი და ტკივილი“.

და ბოლოს, „სიზმრების ქარავანი“ – ნოველა, რომელიც მთლიანად დასტურია ჩემ მიერ გამოთქმული მოსაზრებისა. მთლიან ნოველას არა და რამდენიმე ამონარიდს მაინც შემოგთავაზებთ. პალატაში ორი ერთმანეთისთვის უცნობი არსება, ქალი და მამაკაცი, წევს. ისინი წარმოსახვაში ესაუბრებიან ერთმანეთს. ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბარს ამძაფრებს გარემოს აღწერა: „ქარში ჭინკები დაფრინავდნენ, ქარის შრიალ-წრიალი კი არ ისმოდა. ისმოდა მხოლოდ ჭინკების ფეხებისა და ხელების შარბიური“. ან კიდევ: „საბურთალოდან შავი პროცესია დაიდრა. მიგორავდა გულგახეთქილი ტკივილი, როგორც ქარს ადევნებულ სარეველ ბალახი, რომელსაც თეთრი წვრილ-წვრილი ყვავილები მოჰყვებოდა თან. ცრემლისა და მოთქმის ნაცვლად ზარბაზნები გუგუნებდნენ. იწვოდა ისედაც თვალდათხრილი ქალაქი. გამზირზე ისევ გულაღმა, გულდაღმა და გვერდულად ეყარნენ ადამიანები“.

ამ ნოველებით ნინო ქუთათელაძე მის მიერვე თარგმნილ ანდრე ბელის „პეტერბურგს“ მაგონებს, რითაც სიმბოლისტებს ენათესავება.

დიდი ტკივილით დაწერილი ეს ნოველები ზოგჯერ დიდ ნოველისტს, ნიკო ლორთქიფანიძესაც გაგვახსენებს. თუმცა, მისგან განსხვავებით, რამდენიმე ნოველაში ნინო ქუთათელაძე მკითხველს მიუთითებს: „მთავარი ის იყო...“ („ყომარაზები“, „სიზმრების ქარავანი“). იქნებ ჯობდა, ამ ნოველებშიც მთავარის პოვნა მკითხველისთვის მიენდო ავტორს.

დასასრულ, სევდასა და ტკივილს, ამ ნოველებში რომ დაბუდებულია, იმედის სხივი ანათებს და თითქოს ხედავ, მებორნის ჩექმის ჭვინტზე როგორ მიუდია თავი სამიოდე წლის შავგვრემან, გაძვალტყვებულ, მშიერ და მიუსაფარ ბიჭს, რომელიც უკეთესი მომავლის იმედია, იქნებ არა მარტო მებორნისათვის.

ახლა კი ცოტა რამ ნინოს პოეზიის შესახებაც.

ნინო ქუთათელაძის პოეზია – ლირიკული ლექსები და ასევე ლირიკული პოემები ადვილსაკითხავი არ არის, მას მკითხველად „კაცი ვარგი“ სჭირდება, რადგან ნინო ქუთათელაძის პოეზია სიბრძნესთან ნიღნაყარია. მის ლირიკულ პოემებს პირობითად ვუნოდებთ ლირიკულს, რადგან მათში უფრო განსჯაა, ვიდრე მოქმედება, მაგრამ ჩემი აზრით, ეს განსჯა უბრალო ლირიკის ფარგლებს საკმაოდ სცილდება. აკი ერთისთვის „მასხარათა და მასხრობისათვის“ მიუწერია კიდევ – პუბლიცისტურიო, ასევე ისტორიული შეიძლება ეწოდოს: „ო, ლიპარიტს“ და „შუშანიკის საგალობელს“. ამ უკანასკნელს კი სასკოლო სახელმძღვანელოში შევიტანდი და მშხარე საკითხავად, იმდენ საინტერესო მოსაზრებას შეიცავს ნამებული დედოფლის შესახებ. ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისას სასურველია, რომ მოსწავლეებმა ნინო ქუთათელაძის ეს პოემაც ნაკითხონ.

ნინო ქუთათელაძის ლირიკული გმირი სამყაროს აღიქვამს მრავალგანზომილებიან უსასრულობად, სადაც სიმალეებსა და უფსკრულებს შორის უცნაური ტეხილებია, მათზე კი სიტყვა, როგორც მარადიული ქანქარა, ისე მოძრაობს. ამ ქანქარის რხევის ამპლიტუდა ყოველთვის ერთნაირი არ არის: ის ხან ქარიშხალთან ერთად

მოძრაობს, ხან კი დაიმდგომებს და ნელ-ნელა ირხევა. აი, მოვესმინოთ, როცა რხევის ამპლიტუდა მაღალია:

მე შენ მოგიტაცებ
ყველა ღმერთის ჯიბრზე,
ყველა ღრუბელს იქით გადაგმაღავ.
ჩემმა სიყვარულმა
შენი სახლის კიბეს,
როგორც გაზაფხულმა, ისე ჩაუარა...
ან „ვედრება მუზისადმი“, რომელიც ამ ლექსით რატომღაც ნადირობის ქალღმერთს მაგონებს (პოეტიც ხომ სიტყვებზე მონადირეა):
დალ, დალალებო, ოქროსფერო,
ლალისფერი მზე გალაღე,
თვალი თვალში აელვარე,
დაგაფიცებ დალ, დალალებს.
დალ, ეგ შენი ლალთვალეები
გვირილების ფურცელ თვალე,
შემიფარე ლელიანში,
ასიმღერდი: დალდალაღე!
საოცარი ალიტერიაცია თუ ქმნის აქ ლალისფერ ქარიშხალს.
ნინო დიდხანს მუშაობდა ქართულ ტელევიზიაში და აგერ ლექსიც „ტელევიზიაში“:
წრიალი და სირბილი,
სირბილი და წრიალი,
მთაზე თეთრი მგელივით გაიძურნა ღამე...
გაზაფხული სარკმელთან ნელა-ნელა დამთავრდა,
ისევ შემომალამდა...
მონიტორი ზრიალებს, როგორც ძველი სამრეკლო,
დერეფანში ბიჭები უგემურად სვამენ...
.....
ერთ სხივს მაინც დავიჭერ,
ჯერ არ გაციებულა გული ერთი ციდა,
მთლად არ დაღამებულა,
ჯერ არ დამწიფებულა მყავალი და შინდი...
ეს უკანასკნელი უფრო გარდამავალია მაღალი ამპლიტუდიდან დაბალისკენ, ამიტომ ახლა რხევის დაბალი ამპლიტუდისანი ვნახოთ:

„ელოგია“
იქნებ საფლავზე
ლურჯად აყვავდა იასამანი...
გაზაფხულია,
თბილის-ქალაქს მზე ჩამოსულა,
საქართველოში ვინ არ წასულა,
ვინ არ მოსულა,
მაგრამ მზე – ჩვენი მასპინძელი,
ზანტი და მშვიდი,
აფარებს აფრებს სტუმარს და დამხედურს...
„ივლისი თბილისში“, ალბათ სადაბადებისდღეოდ თქმული:
დამსკდარ ასფალტზე
გაშლართულა გულაღმა ხვატი,
უდღეურ ჩრდილებს ერეკება ღამის სიმძიმე
და დღეებს მკაცრს
და ხვატივით მარტივს
მიჰყავს ცხოვრება უცნაურად ფეხარეული
მზეგარეული
სანამლავის ქარვისფერ სითხით...
„ბაია“:
ო, ნეტა შენი სიმღერა მწვავდეს,
მზისფერო ბაია,
და შენი სახე,
მორჩილი ხატი
ხელზე მესვენოს –
უცოდველთა ვნებისნაირი;
შენ ამალღებები – სიმალის მსხვერპლი,
შენს მზისფერ ტანზე ქრისტე გაივლის...
ცალკე საკითხად შეიძლება განიხილოს ნინო ქუთათელაძის პოეზიაში მიძღვნილი ლექსები. მარტო ადრესატთა ჩამოთვლაც კი (დედას, მამას, ანასტასია ვილცევას, ალექსანდრ ბლოკს, სკრიპინს, მიხ. ბულგაკოვს, გრ. აბაშიძეს, მიშა ქურდიანს და სხვათა) ცხადყოფს ამ ლექსების განცდათა სიმალეს. რთულია, ერთ საგაზეთო წერილში ყველა საკითხს შეეხოს ადამიანი, მაგრამ წარმოდგენილი მცდელობა, იმედია, შეავსებს სხვათა მოსაზრებებს და მიგვაახლოვებს იმ ლამაზ მუსიკასთან, ნინო ქუთათელაძის პოეზია რომ ჰქვია. და რომელიც ჯერ კიდევ ნიჟარაშია მოქცეული მის სხვა მარგალიტებთან ერთად.

ნინო არსანაშვილი

▶▶ დასასრული, დასაწყისი "ლს." №3-11

ემზარ კვიციანი

ქვეყნის სივრცე

ქვეყნის სივრცეზე შექმნილ ლექსებს თავისი სპეციფიკური იერი აქვს. ასეთ დროს ლექსი, რაც შეიძლება მეტად უნდა ამტკიცდეს პლასტიკის ენაზე. დასაძლევია ქვაში, ხესა, ბრინჯაოსა თუ სხვა მასალაში განსახიერებულ გამოსახულებათა უძრაობა. ქანდაკებას სული უნდა ჩაუდგას. „უსულო საგანთა“ წოდება, განჭვრეტა ძველ ჩინელებსა და იაპონელებს უმაღლესი სიბრძნის ნიშნად, გონის უძნელებელ ქმედებად მიაჩნდათ.

აქ ცოტა რამ უნდა ვთქვა ბროდსკის მონაწილე თავისუფალ ლექსზე „ტიბერიუსის ბიუსტი.“ რომელი თემატით მცხოვრები იოსებ ბროდსკი კაპიტალიზმის მატარებელ განთავსებულ მუზეუმში, სადაც რომის იმპერატორთა პორტრეტებია გამოფენილი, როდესაც გაღრმავდა თითქმის დაცარიელებული იყო, დიდხანს აკვირდებოდა ტიბერიუსის გამომეტყველებას. იმ დამტკიცებელი ბიუსტის მიხედვით, მოდელი ოცდაათი წლისაა არ არის. პოეტი იმდენად ღრმად იჭრება მის წინ გარინდული ქანდაკების პირად ცხოვრებაში, ერთგან კიდევაც ეუბნება, შეუძლებელია, შენ ჩემი არ გესმოდესო. სიტყვის დროინდელ, პირველ იმპერატორთან ბევრ საერთო პოულობს – ცოლებად ორთავემ ბოზები შეერთეთო, შეახსენებს. გონიერი და მამაცი ტიბერიუსი ადამიანებს არ ენდობოდა, დიდად ალბათ არც ცდებოდა, მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგა, მით უმეტეს, ეჭვიანობა; იგი ავადმყოფური ხდება და სისასტიკისაკენ უბიძგებს ხელისუფალთ. ამისი მაგალითები ისტორიამ მრავლად შემოგვინახა.

ორიათასი წლის მერე პოეტი (სვეტონიუსსა და ტაციტუსს იშველებს) მიანიშნებს იმპერატორს თავის დესპოტობაზე და თანამედროვეობასთან ავლებს შეუნიღბავ პარალელს. აქ ძალზე ბუნებრივია ბროდსკის საყვარელი ხერხი – ანაწინაგონი – ერთი სტრიქონიდან მეორეზე აზრის უწყვეტად გადასვლა, რაც სრულებით არ გვგხამუნება. პოეტი ძალზე ოსტატურად იყენებს სიტყვის თამაშს, სადაც მძაფრი ირონია იგრძნობა; ნახსენებია მიზეზი და შედეგი, მაგრამ რუსულად მას ორმაგი აზრი აქვს და ავისმომასწავებლად უღერს (причина — следствие; მიზეზი – გამოიხიბა). დესპოტთა ხელში თუ როგორ სავალდებულო მთავრდება გამოიხიბა, ამას დიდი მიხვედრა არ ჭირდება. დაპატიმრებული და მინისქვეშეთში ჩაყრილი, ნანამები ეჭვმიტანილები იძულებული ხდებიან ელიარებინათ თავიანთი „დანაშაული“, რასაც მეტწილად სასიკვდილო განაჩენი მოსდევდა.

ადამიანთა ხვედრის მიმართ განურჩეველ „გულგახილს“ ურჩხულს“, ქვაში გამოკვეთილ „ქვისსახიანს“ ტირანს (აქ მისი უგრძობობა ნახსენებია) პოეტი ეუბნება: „განადგურების ბუნებრივ მანქანად გამოიყურები.“ ამის ნამკითხველს როგორ არ გაგვახსენდეს სისხლით შეღებულ დაკითხულთა გმინვით აგუგუნებული ლუბიანკას სარდაფები, ენკავედეს უღმრთოები სადამსჯელო აპარატი, რომელმაც მილიონობით უდანაშაულო ადამიანს ჯოჯოხეთურ ნამებაში ამოხადა სული.

კომენტატორთა ნააზრევად ჩანს, რომ ბროდსკი, მხილების პარალელურად, ტიბერიუსს, როგორც ხელისუფალს, ექომაგება, სისხლით გაუმადლარ ბოროტმოქმედად არ გამოჰყავს იგი და მასაც მიაჩნია (ეს ტენდენცია აშკარად გაძლიერდა ბოლო ათეულ წლებში), რომ ძველი რომაელი ისტორიკოსები ავგუსტუსის შვილობილსა და მეგვიდრეს, გამოჩენილი, უშიშარი მხედართმთავრისა და მოქნილი სახელმწიფო მოღვაწის პიროვნებას ზედმეტად მუქ ფერებში წარმოსახავენ. ავგუსტუსის ეპოქაზე ბევრი წიგნი ნამკითხავს და ეს აზრი გაზიარებულია თანამედროვე, დიდად ნიჭიერი, უღრმესი განათლების ინგლისელი ისტორიკოსის, საუცხოო მთხრობელის, ადრიან გოლდფორთის მონოგრაფიაში, სადაც სამაგალითო მიუკერძოებლობითა და სიკვდილით არის დახატული რომის უპირველესი, ქვეყნის ძირფესვიანად გარდაქმნილი იმპერატორი ოქტავიანე ავგუსტუსი და მისი გარემო.

ბროდსკის თავის ლექსში სახიერად აქვს აღწერილი ზამთრის უღიმღამო შუადღე. იან-

ნიგნილან – „ჩქანითელის გზაზე“

ვრის რომს ღრუბლების გროვა დასწოლია, როგორც „ზედმეტი მარმარილო.“ შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაშიც მრავლადაა გაბნეული პოეტური ხატები, როცა მუდმივად ცვალებადი ღრუბლები სხვადასხვა საგნებთან არის შედარებული („ფანტასტიური ნანგრევები“ და მისთანები), ერთგან კი ეს შედარება კონკრეტულია („ღრუბლები გვანან ოქროს ამურებს“).

მრავლის მომსწრე და მხახველ „მარადიულ ქალაქს“ მარმარილო და ძველ ნაგებობათა ნანგრევები არ აკლია და ცხადია, ღრუბლების „ზედმეტი მარმარილო“ კიდევ უფრო დახუთავდა ზამთრის უსიამო, ცარიელ დღეს, რაც პოეტის განწყობილებაზეც აირეკლა.

აქვეა მოსახსენიებელი რომაულ შთაბეჭდილებებზე შექმნილი სხვა ლექსიც – „ტორსი.“ იგი რითმინა და რომელიმე კონკრეტულ ქანდაკებას არ გულისხმობს, მაგრამ მასში განვითარებულია ბროდსკისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი, საკვანძო, იმპერიის თემა. მკვლევრები ფიქრობენ, რომ „ტორსი“ რილკეს უძლიერესი და უნატიფესი სონეტის (ქართულად მისეული ოსტატობით თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა) „აპოლონის არქაული ტორსის“ თავისებური გამოძახილია; რილკეს მსგავსად, ბროდსკის მრავალ ლექსშიც შეინიშნება ადამიანის საგნად გადაქცევის მეტამორფოზა.

ქანდაკების თემა საცნაურია, აგრეთვე, შოტლანდიის დედოფლის მარიამ სტიუარტისადმი მიძღვნილ სონეტებში. ცოტათი მკრეხლობად გვეჩვენება, რომ ალვა-ალვა, სიკვდილით დასჯილი, სამეფო წარმომავლობის თავმოკვეთილი ქალის მიმართ მეოცე საუკუნის პოეტი ეროტიკულ გრძობობას ამჟღავნებს. აღარ ჩამოვთვლი ბროდსკის სხვა ლექსებს, რომლებშიც ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების ქანდაკება ფიგურირებს.

ამ ტიპის ლექსებში ყველაზე მომხიბლავი და ამაღლებელი მაინც ანა ახმატოვას ერთი ადრეული უსათაურო, ციკლიდან „ცარსკოე სელო“, სადაც იგი ლიცეუმის ხანის შუშკინის მარმარილოს ძეგლს, იმავე „მარმარილოს ორეულს“, როგორც ცოცხალს, ისე ესაუბრება. შუშკინს იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ეთაყვანებოდა და პირველად, ერთი გამოუთქმელი უშუალოდ და სინაზით სწორედ აქ გამოავლინა უსაზღვრო სიყვარული თავისი შეუნაცვლებელი კერპისადმი. ორსტროფიანი შედევრი ნათელმხილველის მიერ დახატული სვედიანი სურათით მთავრდება:

Холодный, белый, подожди,
Я тоже мраморною стану.

ციკლის მომდევნო ლექსში ამ უფაქიზესი, მრავლისმომცველი სტრიქონების ადრესატი „შავგერმან ყმანვილად“ არის სახელდებული. როგორც ვიცით, ძარღვებში აფრიკული სისხლი დაუდის და ხივანში, ტბის გასწვრივ მოსიერნეს, ხელთ „პარნის დაფორცული ტომი“ უჭირავს. ქანდაკებად ქცეული, მარმარილოში გადასული, უკვე უკვდავების ბინადარი, იგი მარმარილოსავით ცივი და თეთრია. მისი სიყმანვილიდან (ძლივს ის მის მინელებული ნაბიჯების ხმა) ასი წელი, საუკუნეა გასული. მეფური იერის ანა ახმატოვას, საფიცარი წინამორბედის კვალში ჩამდგარს, სჯერა (ამ რწმენას ვერაფერი შეუცვლიდა), მინიერი სიცოცხლის მერე „თვითონაც მარმარილოდ იქცევა.“ აცხადდა მისი ეს საკრალური სურვილი.

მონობრაფია სტივან გეორგიაძე

01.01.2017. ახალი წლის პირველ დღეს სახლიდან არ გავსულვარ. ჩვეულებრივად ვაგრძელებ ერთფეროვან, მოსაწყენ ცხოვრებას. შეძლებისდაგვარად, გამწვავებული გასტრიტის გამო, ვიცავ დანესებულ დიეტას. დაკვირვებულად ვკითხულობდი და დავამთარე საუკეთესო ინგლისელი ლიტერატორის, ახალგაზრდა კაცის, რობერტ ნორტონის ვებერთელა (770 გვერდია) მონობრაფია გეორგიაძე, ასევე უზარმაზარი ცოდნითა და მეტად დახვეწილი სტილით დაწერილი. მეეჭვება, ჩვენში და, თვით რუსეთშიც, ასეთი ყოვლისმომცველი და უმაღლესი პროფესიონალიზმით დამწვენიებული წიგნი ვინმემ შექმნას.

ახალგაზრდობისას საფრანგეთში წასვლამ და „სიბნელით“ ცნობილი სათაყვანებელი პოეტის, სტივან მალარმეს ახლო გაცნობამ უდიდესი გავლენა მოახდინა გეორგიაძე. სახელიც ახალი პოეტის დადამფუძნებელი მასწავლებლის პატივსაცემად გამოიცვალა და თვითონაც ღრმა კვალი დატოვა გერმანულსა თუ ევროპულ პოეზიაში. გეორგიაძე პოზიციურად მკაცრად შეკრული კრებულის ავტორია, ისეთი ტიპის მთლიანი წიგნისა, როგორცაა ბოდლერის ეპოქალური „ბორტების ყვავილები.“ საქართველოში ამის ანალოგად, სიძლიერისა და მნიშვნელობის გამო, შეგვიძლია გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილები“ დავასახელოთ.

ნორტონის წიგნიდან უამრავ საყურადღებო რამეს გვხვდება მის ნატივ პოეზიაზე, სხვადასხვა შეხედულებასა (არსებობს აზრი, რომ ფაშოზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი იგიც არის) და, რამდენადაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, უკიდურესად სამარცხვინო, ავადმყოფურ სექსუალურ მიდრეკილებებზე, იმაზე, თუ როგორ რყენდა ეს პირნაგარდნილი მამათმავალი პატარა, ლამაზი გარეგნობის ყმანვილებს და მერე დესპოტურად ექცეოდა, გასაქანს არ აძლევდა. გასაკვირი აღარაა, რომ იდეალად ჰყავდა რომის უგარყენილი იმპერატორები და ძველი საბერძნეთის არისტოკრატების წრეგადასული ზნედაცემულობა, აღვირახსნილობა.

მეტისმეტად სამწუხაროა, რომ ეს დიდი შემოქმედებითი უნარის პიროვნება, ცხოვრების გაუკუღმართებული წესის გამო, რამდენადმე ჩრდილს აყენებს მისსავე განუმოურებელ პოეზიას. წიგნში ბევრჯერა ნაჩვენები გეორგის კაცთმოძულეობა, ამპარტაცნება და სიგიჟემდე მისული უცნაურობანი. როგორც უკვე მივანიშნეთ, მისი იდეები, დანერგილი სიმბოლოები ბევრწილად მოერგო გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ხელისუფლებად ქცეულ გერმანულ ნაცისტებს. თავი ერის მოძღვრად, წინამძღოლად მიანდა.

რობერტ ნორტონი, რამდენადაც შეუძლია, პირუთენელობას იჩენს, უხვად მოაქვს ნაწყვეტები გეორგის მიმდევართა დღიურებიდან და სარწმუნო მემორიებიდან. რამდენიმე მისი მონაწილე მართლაც განსაცვიფრებელი ნიჭისაა. ერთი მათგანის, ტრაგიკული ბედის მწერლისა და მეცნიერის, გუნდორფის წიგნი შექსპირზე ბუკინისტურ მალაზიაში გადადებული მაქვს და მალე შევიძენ. ასევე შეუდარებელი ყოფილა იმავე გუნდორფის საფუძვლიანი გამოკვლევა შექსპირზე, რასაც რუსები, ცხადია, უთარგმნელს არ დატოვებენ. გამოსული ყოფილა (ერთ წიგნად, თარგმანსაც აქებენ) გეორგის უმთავრესი პოეტური კრებულები და უთუოდ გამოვიწერ. რალაც, მიახლოებითი წარმოდგენა მაინც შემიქმნება მის უდახვეწილეს ლირიკაზე.

თოვან სივრცედა მოაქვს

28.01.2017. გულზე მომეფონა, მეამა, დილით გადათეთრებული სახურავები რომ დავიანახე. უწვრილესად, მშრალად თოვდა და ეს იყო ნიშანი, ათასი უბედურებისაგან დაბნისძურებული ჰაერი ცოტათი დაინმინდებოდა. ფანჯარა გამოვალე და წავივარჯიშე, დახუთული სახსრების ტკივილი რომ გაყუჩებულიყო. ზვიგენის ქონის მალამოსაც ვიცხებ, მაგრამ ბევრი ვერაფერი მიშველა. ოპერაციის თავი არა მაქვს.

უცნაური დამთხვევა კია — ნუხელ სულმოუთქმელად ჩავიკითხე (ვერც ვიტყვი, მერამდენედ) ცალკე წიგნად გამოცემული და კარლო ფაშულისა მიერ მშვენივრად გაფორმებული რეზო ჭიჭილის უკვდავი ქმნილება „შალიკო ხვინგაძის თავდადასავალი.“ დიწვი თხრობა თვიდან ბოლომდე ფართო, ფაფუკ ფანტელეშია გახვეული და უსულში ნეტარი სიმყუდროვე შემოაქვს. ამდღიანდელი თოვა რეზოს საკვირველი, მადლიანი კალმით აღწერილ ბარდნას ვერ შეედრება, თუმცა ნანატრი შეება მომგვარა, გუნება გამომიკეთა.

ფართოფორმატიან წიგნში ბევრი რამე მეცნო. მათ შორის გამახსენდა უნივერსიტეტში სწავლის წლები, როცა სამხედრო კათედრაზე ჯარგამოვლილი პოდპოლკოვნიკები და პოლკოვნიკები თავიანთ სასაცილო ლექციებს გვიკითხავდნენ და წესდებდა გვაზუპირებინებდნენ. მათი მეტყველებიდან

ზოგი რამ რეზოს მარჯვედ აქვს გამოყენებული (ხვინგაძეს როცა ალაპარაკებს), რაც უჩვეულოდ ძლიერ კომიკურ ეფექტს ახდენს. მე მინახავს შალიკო ხვინგაძის მთავარი პროტოტიპი, მეტად ენამოსწრებული პიროვნება, რეზოს ახლობელი, მაგრამ ამას დანვრილებით შემდეგ მივუბრუნდები, რადგან თვითონ რეზოზე, ვინაც ჩემს თვალწინ დაიბადა, როგორც მწერალი, წიგნის დაწერა მაქვს განზრახული.

მკრთალი მონახაზი

(დაუსაზღვრავი, მოუხელთებელი)

31.07.2017. ლეონარდო და ვინჩის გენიასა და ცნობისწადილს კიდევ, საზღვარი რომ არ ჰქონდა, ამას საგანგებო აღნიშვნა არც ესაჭიროება. ამ მხრივ, მისი გონების სიღრმეს, სიფართოვესა და გაქანებას მხოლოდ გოეთე თუ შეედრება. ბუნების, გარემოს, ცოცხალ არსებობათა დაუცხრომელი შემცნობი, იგი ყველასა და ყველაფერს ნათელმხილველის მზერით აკვირდებოდა. თავის შეხედულებებს უბის წიგნაკებში, მის მიერ შეკრულ რეკლამებში (ბევრი მათგანი დაკარგულია) მეტწილად დამოფრულად, სარკისებური ხერხით (მარჯვნიდან მარცხნივ) ინერდა და ყოველივე დღემდე არ არის მოძიებული, თავმოყრილი. მის თვალს ბუზის გაფრენაც არ გამოუპარებოდა. გარდა მხატვრობისა (აქ ტოლი არ ჰყავდა), უამრავ საინჟინრო თუ ანატომიურ პრობლემას უტრიალებდა (ოცდაათზე მეტი გვამი, ბავშვისა თუ მოხუცებულისა, თვითონვე გაკეთა და მრავალჭრილში შეისწავლა ცალკეული ორგანოები). დროდადრო მხატვრობისადმი, სადაც შეუძლებელს, სხვათათვის მიუწვდომელს აკეთებდა, ინტერესს კარგავდა და იმავე ძალით სხვა რამეებზე გადაერთებოდა. ყველაფრისთვის მზად იყო მისი ტვინი და ხელები.

სუთი საუკუნის წინ ლეონარდომ შექმნა პირამიდული ფორმის პარაშუტის ნახაზი, რომლის ხორცშესხმა მხოლოდ 2000 წლის 26 ივნისს გახდა შესაძლებელი, როცა იგი ინგლისელმა პარაშუტისტმა, ადრიან ნიკოლასმა გამოსცადა — სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ ნაციონალურ პარკში სამი ათასი მეტრის სიმაღლიდან გადმოხტა. ეს პარაშუტი დღევანდლებზე ორმოცჯერ მძიმეა, ას კილოგრამს იწონის. პარაშუტი ლეონარდოს პროექტის მიხედვით გაკეთებულა, ოღონდ მასალაში ყოფილა მცირეოდენი განსხვავება — სელის მაგივრად ბამბის ქსოვილი გამოყენებიათ. მიწაზე მშვიდობიანად დაშვების შემდეგ უზომოდ ალტაცებულ ნიკოლასს თავი ველარ შეუკავებია და სუთასი წლის მერე ლეონარდოსათვის გულითადი მადლობა გადაუხდია.

ჰანო ჩხიკვაძე

სივნი

ემზარ კვიციანის

ასეა დღემდე, მტკვარზე ორპირი ქარი როდესაც გაშლის მარაოს, მოწმე ჩავლილი შენი ბავშვობის, როგორც ტალღებზე, ტივი ქანაობს.

უამმა რამდენი „ძვალი“ გამოხრა, აივანი კი ისევ „ბალახობს“, ნაცნობი ხედი გაღმა-გამოღმა ხელში აყვანილს რომ დაგანახოს.

რკინა-ბეტონში ქალაქს ფუთავენ დილა-სალამოს თუ ღამღამობით, ძველი უბნების სულთამსუთავი ცათამბჯენების ჯინი ამოდის.

მაინც უძლებს და არ იხდის აბჯარს, ციხის მცველივით „გოდოლზე“ დარჩა...

ამ აივანზე, ათოვს თუ აწვიმს, სულს შერჩენილი ნაიარევედ, ფონენდოსკოპით, ექიმის ჩაჩით, მამის აჩრდილი დაიარება.

14.07.2023



ირაკლე სალტიანი

ცისმარე ცხარე ცრემლები დაგვდის, ღირს ვიყო ცრემლის, მე არ მგონია, სოფელს გარს აკრავს ფარული დარდი და თეთრი თოვლის მელანქოლია.

„1938 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მცხეთაში პატარა მწყემსი ბიჭის საფლავში აღმოაჩინა სალამური. მოგვიანებით ამ სალამურზე დაუკრა ომარ კელაპტრიშვილმა“

ვერც გითვისა და ველარც წაგრეცხა დრომა, სწევ მალა სასმისს – დირბულას ღვინით სავსეს, იმ სალამურზე დაუკრავ დღეს შენ, ომარ, მწყემსი ბიჭი რომ უკრავდა თხოთის მთაზე. მიზნისკენ მსრბოლი ისარი მწარედ წივის, ჰკიდია ზეცას სიცოცხლე მიწის ბურთად, იმ ძველი დროის საწებარსა და ტკივილს დღევანდელი დღის ურვას და წუხილს ურთავ. დაუკარ, ცრემლი დაღვრევივე ქვასაც, დაე, ბალახმაც შენს წინ დახაროს თავი, იციან სიკვდილ-სიცოცხლის ყადრი აქაც, შენთვის ბალახი აქ რა სხვაგვარად ჰყვავის. იტევს მცირე დიდს, დიდი ხომ იტევს მცირეს, ტყდება ცას კენჭი სარდიონის და მარჯნის, შენს მსგავსად ვერვინ ეხება სულის სიმებს, შენს მსგავსად მათი შეხება ძალუძს არვის! აკვნესებ საკრავს და იწყებ ახალ ერას, ტოვებ მიწას და მიწის გადაღმა მიქრი, იტევს მსოფლიოს შენი დაღლილი მხერა, წვდება მსოფლიოს შენი დაღლილი ფიქრი. ყოფნა-არყოფნას შორის ხიდი ვით გადე, ბინდი ეხვევა კავთისხეცსა და ოკამს, ბგერა, რომელიც ტივტივებს მუქ ლურჯ ცაზე, ხელის თითებში დაჭრილ გულივით ტოკავს. ვერც გითვისა და ველარც წაგრეცხა დრომა, სწევ მალა სასმისს – დირბულას ღვინით სავსეს, იმ სალამურზე დაუკრავ დღეს შენ, ომარ, მწყემსი ბიჭი რომ უკრავდა თხოთის მთაზე.

მინგიო ბეზგისანს

უკვდავებას უნდ ეტოლო, ცა ჩვენი ჰვავს ნავენახარს, შენ შეგედლო, შენ ერთს, მხოლოდ, მთების ცრემლი დაგენახა!

რახყაწი ერთი

დაუკარ ერთი, შენებური ეშხით დაუკარ, დაუკარ ისე, საკრავს გაძვრეს ხმელი ხალენი, სიყვარულს ნინო, დამიჯერე, არა, არ უყვარს, არ უყვარს არა, მოყურადე-მოთვალთვალენი. მე არაფერი აღარა მაქვს დასაფარავი, ნავალ იქითკენ, მიმითითებ დევნილს საითაც, იცავ ქალს მისგან, დასაცავი ვისგან არ არის, ვისგანაც არის დასაცავი მისგან არ იცავ!

მეყოფე რიმიტრის ნავაშობი

„უღინვალში არქეოლოგიური გათხრების დროს ასინეთა შავერდაშვილის საფლავზე აღმოჩნდა შემდეგი წარწერა: „დედამან ჩვენმან გაგვ ზარდა 18 შვილი, მე – 19, შენ?“

უფალო, მყოფნის მცირედიც, შვილებში რომ ვემორდები, ჩემს ფეხზე ამოყრილები არიან ჩემი ყლორტები. დედამან ჩვენმან თვრამეტი შვილი წვალეებით გაგვზარდა, მე კი რა მექნა სხვა მეტი? ცხრამეტი დავსხი ტაძრად. ჩემს დარდებს მთებიც დარდობენ, საქმემან ჩემმან მიწამა, მიწა ვარ, მაგრამ მარტოდენ არ მსურს, მივიტყე მიწადა! შენ გიხმობ, შენი ხმა ისმის, მსურდა, ხვალის დღე მენახა, დედა თუ გქვია, დაისხი ნაყოფი, როგორც ვენახმა.

მერცხლის მსგავს ბუდეს ვიშენებ, გული მაქვს ზედ სხივნახალი, ცხრამეტჯერ ჩავეც სიბნელეს, ცხრამეტჯერ ჩავეც ლახვარი! ჩემს თავს საით უნდ გავექცე, ხეთა ჩრდილს ვით ვიფარებდი, მე ჩემს წიაღში ცხრამეტჯერ გამეხსნა ზეცის კარები! სიკვდილი ყველას მოგველის, მასზე ფიქრმა მეც დამსუსხა, ვსვამ ახლა კითხვას, რომელიც შეიცავს თავად პასუხსაც...

ქაოს. რომელომაც ყაწრი განჯცხვარა, ყოცნა ჩემთვის (ოუმორესკა)

დრო მიდგას ახლა გულისა და საგულის ბერტყვის, მინდა, ყოველი ნამი, წუთი გავილაშაზო, კოცნა მწყუროდა, ერთი კოცნა რა გახდა შენთვის? ეს ერთი კოცნაც ვერ გაეცი, თუნდაც სამადლოდ.. წუგემს მართმევ და მტოვებ თხემით ტერფამდე შეძრულს, მინდოდა, შენთვის ყვავილები ფეხქვეშ დამეგო, ამ ერთ კოცნაში მე ვიძლევი თოვლიან თეთნულდს და მასთან ერთად მე ვიძლევი მთათა სამეფოს. გწირავ სუნთქვას და უშურველად მშობლიურ სიტყვას, განაცვიფრებდი ჰომეროსის დროის ჰელინებს, წყალი მწყუროდა, უსაშველოდ მწყურვალი ვიყავ, მწყურვალი ვიყავ, შენ წვეთიც ვერ დამალევივინე! დამუწონს პირი, ჩამიტანოს საფლავის მიწამ, რაღას ვაქნევი უსაჩინოდ მე ფუჭ იმედებს, მშვიერი ვიყავ, უსასოოდ მშვიერი ვიყავ, მშვიერი ვიყავ, შენ კი ლუკმაც ვერ გაიმეტე! გახსოვს, გემბანზე მარმარილოს ღრუბლები ვთვალეთ, ვატანდით იმთა ყოველ დარდს და ყოველ სიმძიმის, ბრალი შენი, რომ უკოცნელი დაგხუჭავ თვალებს და ეს იქნება ნარსულელი შენი სირცხვილი. ხარ ზნეკეთილი, ზნეგარგისი, სალი და სრული, გახევებულ კაცს არას მარგებს უკვე ლექსობა, უარს მერჩივნა, გამძრობოდა მიღეულს სული, დანა ჩაგერტყა, ცხელი ტყვია გულში გესროლა! დრო მიდის, ვიცით, ყველაფერს აქვს თავისი ბოლო, ხომ შეგიგრძენი სულით-ხორციით თუნდაც წამითაც, მე შენს წინაშე სათხოვარი ერთი მაქვს მხოლოდ რომ ამ ქვეყნიდან უკოცნელი აღარ გამიშვა!

მეორე რახვარება

მეძებე, იქნებ გავწვდეთ ერთად ამ საუკუნეს, ვიცი, ამ ძეხნას ბედი აღარ დაგვისვამს ძვირად, მეძებე, ვიდრე ჩემი ბაგე ისევ ჩურჩულებს შენს სახელსა და შენს გვარს, ვიდრე ჩურჩულებს ხშირად. მეძებე, ვიდრე აიკინძოს ლექსად სტრიქონი, ცისარტყელასი თავზე გედგას სხივთა არშია, ქარი რომ მოთქვამს, იმის გლოვის ხმაში მიპოვნი, მიპოვნი ზღვათა უკუქცევა-მოქცევაშიაც. მე მეშინია საკუთარი თავის სიმცირის, შემკრთალი ვარ და მაინც რისთვის მოგვაგვარ მდევარს, სოფლის შარაზე ნამქერი თუ გულით იცინის, იმის სიცილშიც დამალული, იცოდე, მე ვარ! გამცნოს ხმა ლექსმა, ლექსმა ჩემი გულის ნადებმა, აღარ გეგონოს სიტყვა ჩემი ფუჭი, ლიტონი, ცეცხლი, თუ ცეცხლი უცაბედად ყალყზე დადგება, მეძებე, იმის ნაპერსკელებში მაინც მიპოვნი! ფიქრები შენზე სადაც ნაველ, ყველგან დამდევენ, სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლო მსურდა მეკითხა, თვალი თუ ჰკიდო მალა მთაზე ციხის ნანგრევებს, თავად ვიქნები ჩამონგრეულ ზღუდის ერთი ქვა! იერიქონი დაანგრია უფალმა ბუკით, დათმენა უნდა შევძლოთ ისე, როგორც იობმა, ვძებნით ერთურთი, ჩვენი ძებნის შედეგებს თუკი, შედეგებს თუკი ვუნობათებთ კაცობრიობას.. დაე, ბაგითა სიმართლითა ვიუბნით ერთად, სადიდებელი სულმან ჩვენმან ადიდოს ისევ, ვძებნით ერთურთი, თაყვანი ვცეთ ჩვენ ჯვარსა ჩვენსა, ვძებნით ერთურთი, ამ ძებნაში ვიტვირთოთ ქრისტე! დავასწრებთ აისს, წამოდგომას დავასწრებთ სისხამს, სანახაობა გველოდება მართლაც ზღაპრული, მეძებე, რწმენის ერთმა სიტყვამ ორივე გვიხსნას, როგორც დახსნა ავაზაკი ჯვარზე გაკრული. არა, არ ესმას დედამინას ხმა გულსაკლავი, არ ესმას მოყვასს მოყვასისგან კრულვა და წყევლა, ზეცის ლურჯ თალზე ანთებული კენტი ვარსკვლავი, ის წერტილია, სიყვარულს რომ გვიგზავნის ყველას! დაე, ბაგითა სიმართლითა ვიუბნით ერთად, სადიდებელი სულმან ჩვენმან ადიდოს ისევ, ვძებნით ერთურთი, თაყვანი ვცეთ ჩვენ ჯვარსა ჩვენსა, ვძებნით ერთურთი, ამ ძებნაში ვიტვირთოთ ქრისტე!

ქართული ოკინო

წვეთწვეთობით დაწურული, თეთრი ხარ თუ წითელი ხარ, ქრისტეს სისხლის ძარღვში დენა, ქრისტეს სიტყვის მტვირთველი ხარ! გულის კარს ხსნი, სულის კარს ხსნი,

სიხარულის, ღვინის ალო, ცრემლო, ციდან მონაწირო, ღვინოვ, ცეცხლო, ჩაუქრალი! ქართულ ვაზის ღერწის ურვა გამჩნევია იარებად, შენ ხარ ჩვენი საღვთო მადლი, იდუმალთან ზიარება! წვეთ-წვეთობით დაწურული, თეთრი ხარ თუ წითელი ხარ, ქრისტეს სისხლის ძარღვში დენა, ქრისტეს სიტყვის მტვირთველი ხარ!

შენ ისე მოყვლი...

„სოხუმის დაცემისას მწერალი ეგვანი აქუბარდია იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქალაქი. ძალღმა არ ისურვა პატრონთან ერთად წამოსვლა. ის არ უშვებდა ეზოში გადამთიელებს, რის გამოც ჩაცხრილეს“.

შეჰყმუი ცას და ნანგრევებს უმზერ, მარტო ხარ, ყველას სატირალს ტირი, რას იზამ, ძაღლო, როდესაც სულზე მბრძანებლობს კაცის სხეულის ჩრდილი. საამბობს შენსას უამბობ წყალსა, სიცოცხლეს თავი რომ კუნძზე უდევს, შენ აქ სამასი სპარტელის მსგავსად დარაჯობ მტრისგან დაქცეულ ფუძეს. ავაი, კვლავაც იგმინე მწარედ, დარაჯობ დამლილ-დაღვნილ ტაძრებს, სისხლით შეღებულ ნამგალა მთვარეს შეჰყფე, როგორც უყფედი ადრე. გიყრიან ძვლებს და სუფრის მონარჩენს, მოგიღვრებენ თოფსა და არგანს, შენ აქ ხარ, ძაღლო, აქ უნდა დარჩე, სხვა არჩევანი არა გაქვს რადგან. იემუფლე, ვაგლახ, ლიბოვ და სახლო, განგრევენ, გნვავენ, გძარცვვენ, გცლიან, შენ ხმას ხომ მაინც ვძარაფრით ახშობს მტრისგან ნასროლი ყოველი ტყვია. უფალი ყველგან რომ ჰგებებს, ვიცით, უფალი, კვლავ რომ ხის ჯვარზე ვაცვით, შენ ისე მოკვდი, რომ ასეთ სიკვდილს გამირად შობილი ინატრებს კაცი.

ცეცხლში გახეყოლი ოკინოში

გახედავ ცას და გაავლებ ღარსაც, არ გაქვს ფარული სიცოცხლის შიში, შენ, მითიური ვენერას მსგავსად, ზღვის თეთრ ქაფიდან ჩვენს თვალწინ იშვი. გელოდი, ჯვარი დაუღსვი ლოდინს, ხარ საწყისიც და დასასრულიცა, ო, რაოდენი აღმური მოდის, აღმური მოდის შენი სულიდან. ქალი კი არა, ელვა ხარ, ელვა, ცეცხლში გახევეულს მოჰგავხარ ღერწამს, ვინ იცის, იქნებ როდენის ხელმა, როდენის ხელმა ამგვარად გძერწა! ფიქრობ და ფიქრით ვრცელ ფიქრებს ერთვი, უღერ სეკვიოას გიტარის სიმად, ქალი გქვია და მოჰგავხარ ჩემთვის ავდარში მზეს და გველვამი წვიმას. გახედავ ცას და გაავლებ ღარსაც, არ გაქვს ფარული სიცოცხლის შიში, შენ, მითიური ვენერას მსგავსად, ზღვის თეთრ ქაფიდან ჩვენს თვალწინ იშვი.

ჩვილმეტი შინწიხელი გმირი

ხართ ჩვენი სანაქებო, თქვენთვის ცრემლიც არ დაშრა, დაამშვენებდით, ძმებო, ვახტანგ გორგასლის ლაშქარს! ცა ახლაც განვდით თითქოს სინათლეს – სულის სამყოფს, დაამშვენებდით დიდგორს, ბასიანსა და მარტყოფს! ჩანს ის, რაც ბინდში არ ჩანს, იმიშვლებთ ელვის მახვილს, მომხდურს, ჯავშანში ჩამჯდარს, შიშველი ხელით დახვდით. მიიღეთ, როგორც ქება, სიტყვა, ლექსად რომ დამდის, სარკოფაგიდან დგება ანწუხელიძის ლანდი. ცას მიეკრობით ორთქლად, იხილავთ მთებზე აისს, ჩვენ შეიძლება, მოგვეკლან, მაგრამ არ გავტყდეთ მაინც. არ გვაქვს უჯიშო გვარი, არ ვგავართ წელში წახრილს, თქვენი წყალობა არის, ომში რომ არა წახვდით! ჩემს სათქმელს ვეტყვი თუ წყალს, ბინდს წარვბოც სანათელოს, თქვენ ჯერ მოუკვდით უფალს და შემდეგ საქართველოს!

ქალი გაბინაშვილი

დეკნა

დეკნა ერთი გვერდებამოყრილი, ბებერი და ბერნი ძროხა იყო. გორაზე რომ მიტუა ცხოვრობს, იმისგან იყიდა პაპა-ჩემმა. არ გამემეტებოდა, მაგრამ რა ვქნა, გოგო მინდა გა-ვუშვა ქალაქში, აფთიაქის ამბების სწავლა უნდა, წამლების დამზადება და რამეო. აბა, კაცო, გამოსადეგი ხელობაა, ეს ჯანი აღარ გვერჩის და მოგვხედოს იქნებ მერე ბებრებსო. ეს ამბავი, თორემ, ვინ მამაძალი გაყიდა, ოჯახის წევრივით გვიყვარსო. ახლა არ იკითხავ, როგორი ღალიანი რძე აქვს, მაგისი რძე-მანვინით გაგვექონდა თავიო.

ეს ძროხა კიდევ ერთი გამოშტერებული რამე გამოდგა, სახლის გზა-კვალი ვერ იქნა და ვერ დაიხსომა. ყოველ საღამოს დაადებდა თავს და მიადგებოდა მიტუას, აიტუზებოდა ჭიქართან და აბლავდებოდა. მიტუა ერთი-ორს მოუთათუ-ნებდა გამხმარ ფერდებზე ხელს და გამოიგდებდა წინ. აპა, მოგვეარეთ თქვენი ქალბატონიო. იპ, ქა, როგორ მოიყვანე, ვერა ხედავ, იჩოქება, იმხელა ჯიქანს მოათრევს, რძეს ვეღარ ერევო. ნაპკებენდა ხოლმე ბებიჩემი, მიტუა კიდევ, ჰა ჰა ჰა ჰაო გადაიროხროხებდა და ზურგს გვაქცევდა.

ბერნად დარჩა - დაიცა, ქალო, ზოგმა აგრე იცის, არც გამრება და უცბათ მოგადგება მინდვრიდან ხბოსთან ერთად, ანუგეშებდა პაპაჩემი, რომელიც არ იყო და არ უტყდებოდა თავს, რომ მოატყუეს. ერთი მე გავაგორებ გაზაფხულზე ტყუპ ქალ-ვაჟს და მეორე მაგის ხბორებით აშენდებიო, ქოქოლას მიაყრიდა ბებიჩემი და მოჰყვებოდა ვაი უშველებელს, როგორ მთელი ქვეყანა ჩვენ გვატყუებს და ჭკუა მანც ვერ იქნა და ვერ ვისწავლეთ.

ჩარეკა რძეს ძლივს იწველიდა, იყო ერთი გაქუცული ყავისფერი ძროხა. დადიოდა და თავის ღიდრონ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. იფიქრებდი, ეს-ესაა, უნდა გადაიჩე-ხოსო. რძე კიდევ, გინდ წყალი დაგელიოს და გინდ ეგო. არც ცხიმი აქვს და არც არაფრის ნოყიერობაო, ყოველ ცისმარეს ილანძვებოდა ბებიჩემი. უნდა მოიყვანო და თავი ჩააყოფინო ამ ცარიელ ქეთლშიო, იმუქრებოდა მიტოზე.

მიტო კიდევ ბოლო დროს სულ უფრო დიდხანს ეფე-რებოდა დეკნას, სულ უფრო ნელი ნაბიჯით ჩამოჰყავდა გორიდან და ფეხთარული მოჰყვებოდა უკან. რა ღმერ-თი უწყრება ამ სამგლეს, რით ვერ დაივიწყა შენი გზა და კვალიო, უთხრა პაპამ ერთ საღამოს. არ უნდა გამეყიდაო, ძალიან შევცდიო. ერთი ამას დამიხედეთ, ე ბეხრეკი ძროხა შემოგვატყუა და კიდევ რომ ნანობს თითქოსო, ნეტა რა შავ ჭირად მჭირდებოდა, დასამარხი საკუთარი თავიც მიეყოფაო. არა, კაცო, იმის ნაცვლად მადლობას იხდიდეს, მომამორეო, კიდევ იყვედრებოდა, არა და არ ცხრებოდა ბებიჩემი. დეკნა მანც ყოველ დღე მიტოსკენ გარბოდა და მიტოც ყოველ ჯერზე სულ უფრო და უფრო უკიდებდა ცეცხლს, აბა ამისი გამეტება როგორ შეიძლებოდაო, გაჭირვებას რა ვუთხარიო, გაგბრყვდიო, მოჰყვებოდა და მოჰყვებოდა, თითქოს ბები-ჩემის მოთმინებას სცდიდა და მისი თავშეკავებაც ქვიშის საათივით იმარცვლებოდა და ვინ იცის, რითი დამთავრდებო-

და, დეკნების ერთ დილას წყაროს დაღმართზე ავტობუსის მძღოლისთვის მუხრუჭებს რომ არ ემუხტოდა.

მთელი საღამო წვიმდა, მერე ღამე ისე დაჭირა ყინვამ ძვალსა და რბილში ერთიანად ატანდა, განთიადის პირს კი გათოვდა. მძღოლს ჯერ კიდევ გამოუძინებელი მგზავრები მიჰყავდა ქალაქისაკენ, როცა ლოთმა გოგამ, სოფლის მე-ნახირემ, გზაზე გადმორეკა საქონელი. დანახვით კი დაინახა, მაგრამ ყინულზე მუხრუჭებმა დროზე ვერ გააჩერა ავტობუსი, მოცურდა და ძროხებიც ქვეშ მოიყოლა. პირუტყვს ვინ ჩიოდა და მადლობა ღმერთს, ადამიანები გადარჩნენ. ადამიანები გადარჩნენ, დეკნა - ვერა. სულთმობრძავი იყოო, პაპამ და მაგის საცოდაობით აღარ ვიყავი, გამოვეუსვიო ყელში დანა.

მხატვარი იანო ნიკოლაძე



ურიკით მოიტანა დეკნა და კაკლის ხეზე დაკიდა ჩამოსა-ტყავებლად.

-რასა შერები, კაცოო, ადამიანი არა ხარო, მაგას რას აკეთებო, - ყვირილით მორბოდა თავდაღმართში მიტუა, ფეხი უცურდებოდა, იქცეოდა, გაჭირვებით დგებოდა და ისევ მორბოდა. მორბოდა და ყვიროდა. ხმა ჯერ ძალიან შორი და ბუნდოვანი იყო, მიტუა არააო, ქა, თქვა ბებიჩემმა და დღინჯით ჩადგა კარში. მერე და მერე აქოშინებულმა მიტომ სულ უფრო უმატა ხმას, ყვიროდა და ყვიროდა. მაგისი ხმა მთელ სოფელს ესმოდა. ადამიანები არ ყოფილხართო, ხალხი არ ყოფილხართო, ეს რა გიქნიათო.

პაპაჩემი წყნარი კაცი იყო, ითმენდა და ითმენდა, ით-მენდა, ითმენდა და ბრაზდებოდა. და როცა ბრაზდებოდა, მტრისას. მერე ამ მიტუას სულ დაავიწყდა დადლილი რომ იყო, აღმართზე აღარც ფეხი უსხლტებოდა და არც რა, ისე აათავა გორა, ერთი არ შეუსვენია. შევარდა ჭიქარში და კარიც გადაარაბა. პაპაჩემი კი დეკნას სისხლით გასვრილი ბებუთით იდგა და იმუქრებოდა.

ამ ამბიდან ორი კვირა ისე გავიდა, მიტუა სათოფეზე აღარ გაგვკარებია. ერთი საღამოც არი და მოგვადგა დარ-ცხვენილი, გამტკნარებული სახით, ჯოხი კართან მიაყუდა, ზედვე დაკიდა დათოვლილი ქურთუკი და ოთახში თავჩა-ღუნული შემოვიდა. გაავარგარებულ ღუმელს მიეფიცა. თავი არ აუნეცია ერთ ხანს საკუთარ დაკოჟირულ ხელებს დასწე-რებოდა. პაპაჩემმა გაბრაზება კი იცოდა, მაგრამ მალევე გადაიყრდა ხოლმე გულიდან ჯავრს და არასდროს არავისზე ბოლმას არ გაიჩერებდა. რას დაყუდებულხარ, კაცო, კარში,

შემოდი და აგერ ჩამოჯექიო, მიუთითა სკამზე. ჩამოჯდა. დუმდა. პაპაჩემს უღვაშებში ელიმებოდა. ჰა, ქალო, მიდი აბაო, დატრიალდიო. ოპ, ოპ, ოპ, ოპ, შენ თუ არ მითხარ, ჩემით ვერ მოვისაზრებ, შენმა მზემეო. ბებიჩემს უკვე გადაე-ფარებინა მაგიდისთვის ცისფერი სუფრა, მუავე გამოეტანა, ყველი ამოელო წათხიდან, ე პური სულ გამხმარაო, ღუმელზე დაედო გასათბობად.

მიუსხდნენ მაგიდას და ღმერთი ასხენეს. ამ მთისა თქვეს და იმ მთისა. მიტუა კიდევ იჯდა ისე, თითქოს აქ არ იყო, თითქოს სადღაც სხვა ფიქრს ნაელო და იმ ფიქრის გამოსა-ტქმელად სიტყვებისათვის ვერ იქნა და ვერ მიეგნო. მერე თავი ასწია, ჯიქურ შეაჩერდა სახეში პაპაჩემს და უთხრა: შევცდი, დედიჩემისა ვჭამე, არ უნდა გამეყიდაო. შენ კიდევ მანდა ხარ, კაცოო, - გაეცინა პაპას. შე კი კაცო, რას გვე-მართლები, მოხვედი და გვითხარ, ძროხას ვყიდო, ასეთიაო, ღალიანიო, ესაო, ისაო, სულაც არ მქონდა მე ძროხის თავი და ვიყიდე, შემოგვეატრე თუ რა, რაც დააფასე, შემოგაძლიე, მოვტყუედი: ბებერი და უვარგისი იყო ის ძროხა და ხმაც არ ამომიღია, ღმერთს შეხვედი და ისე თქვი, ერთი საყვე-ღური თუ დამცდენია. მერე იყო და... აქეთ მედავები, კაცო, ამხელა ზარალი მე ვნახე, - გაცხარდა ბებიჩემი და არ იყო და აღარ ჩერდებოდა. მიტუას კიდევ თავი ჩაელუნა და ისე აქნევდა, თითქოს არა და არა, მე სხვა რამეს ვამბობო. რალას მისტირი, ადამიანები გვადნებიან ხელში და ცალად ვრჩებით და შენ კიდევ ძროხა და ძროხაო, - დაუყვავა პაპამ და საუბრისთვის მიმართულებას შეცვლას აპირებდა, მაგრამ ყური არ ათხოვა მიტუამ, არაო, თქვენ არაფერი იცითო. არ უნდა გამეყიდაო. გყოლოდა მერეო, ვინ მამაცხოვრებულმა დაგაძალიაო, ვინ გაიძულაო, ნეტავ, ხელი გამხმობოდა და ეგ ძროხა არ მეყიდაო.

ერთ ხანს სამივე დამდურებულები ისხდნენ, მერე მიტუა ადგა, ღმერთი, ხატიო. გადაჰკრა, პურის ლუქმა მიატანა და კარისკენ წავიდა. სანამ გავიდოდა, შემობრუნდა და ბებიჩემს მიაჩერა გამოლამებული თვალები: რამდენი ხანი იყოლიე შენ ჩემი დეკნა, წელიწადზე მეტი იქნებოდა, არაო?! ჰოდა, ერთი დღეც არ ყოფილა, საღამოს ჩემკენ რომ არ გამოენია, მომადგებოდა ის უბედური და ბლაოდა, თითქოს მთხოვდა, კარი გამიღეო, თავის ბაგაზე დაბმას ითხოვდა... მკვდარი სიწუმე იდგა, მხოლოდ ღუმელში ტკაცუნებდა ცეცხლი. ქურთუკი მოისხა, ჯოხი მოიმარჯვა - ღამეში თოვლიანი გზის მეგზური და ისე დაამატა, არც შემობრუნებულა: ჩემი ქალი კიდევ... წავიდა ქალაქს და თითქოს უკან გზა წაიშალა, ვერ იქნა და ვეღარ მომავნო.

თოვდა. შეშა ხმაურით იწვოდა. თვალდახუჭულები ვი-ნექით და სუნთქვას ვიკავებდით, თითქოს მიტომ წაიყოლა ძილი. დაგვათენდა. მიტუა იმ ღამეს ხიდიდან გადავარდნი-ლიყო, გათენებისას იპოვა მენახირი გოგამი.

- არ უნდა გვეყიდა! - თქვა პაპაჩემმა.
- ვინ დამიჯერა?! - თქვა ბებიჩემმა და თავშლის კუთხით ჩუმად მოიწმინდა ცრემლი.

უვარგისი ძროხა იყო დეკნა, გამხდარი, გადაღრძოვე-ბული, ბერნი იყო და ერთ ჩარეკა წყალივით რძეს ძლივს იძლიოდა. ყავისფერი, გაქუცული ძროხა იყო, ფერდებჩა-ვარდნილი, დიდთვალეა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაივიწყა თავისი სახლის გზა და კვალი.



სახეჯარი

ჩემი შვილიშვილი იყო ამას წინებზე ამოსული. ტელევი-ზორი მომიტანა და რაღაც ყვავის ბოლოსავით გაფარჩხული რკინის ანტენა, ამით უნდა დავიჭიროთ არხებიო. რათ გინ-დოდა, შვილო, რისთვის წუხებოდი-მეთქი. ესო, ჩვენი ძველი ტელევიზორია, მე ახალი ვიყიდე, ახლა თხელი ეკრანებია, პლაზმა თუ ბლაზმა, ჰოდა, გადაგდებას, გქონდეს, საღამოო-ბით ჩართავ და გაერთობიო. გართობა კარგი რამე არის, მე და ჩემმა ღმერთმა, სულაც გასართობზე არ არის ქვეყანა მონყობილი, ამაზე კარგი საშუალება, დაივიწყო საფიქრალი და სადარდელი არც რა არის ამ ცის ქვეშეთში. აბა რა, მე რა ცხვირზე მური ხომ არ მისვია, მე რილათი ვარ ნაკლები სხვეზე, ახლა ჩავრთავ ხოლმე საღამოობით, ჰოდა, სულ დამავიწყდება ჩემი ტკივილებიცა და მარტოობაც, მომენა-ტრება შვილები და შევხედავ ამ ეკრანსა და წავა ტკივილი გულიდან და იქ ეს გაკვლანწული ქალები აფუთფუთდებიან. ჰი ჰი, მესიცი კი ამათ დაჰყრიათ.

რაი მეთქმოდა, მადლობა და მადლობა-მეთქი, ათასი მად-ლობა ვუთხარ ცალკე მას და ცალკე კიდევ მის ცოლსა. რა მადლობაო, კაცო, რის მადლობა, არ გრცხვენიაო? მრცხვენია? ბებერი რამის მრცხვენია, მაგრამ მაგისი არა, სულაც მადლო-ბისთვის აკეთებ კაცი ყველაფერს, მადლობის თქმა ცუდი კი არაა, აი რომ გაირჯება კაცი შენთვის და შენ კიდევ გულში მადლიერების გრძობაც არ გიჩნდება, ეგაა სამარცხვინო.

სახურაზე მამაგრა ეს რკინის საფრთხობელა, დაი-ტანჯა ბავშვი, აძვრება მალა, შატრიალებს ამ ანტენას, ჩამოვა ახლა ტელევიზორს უტრიალებს, იქ კიდევ მხოლოდ ვერცხლისფერი ეკრანი შხრიალებს. ისევ აძვრება და ახლა ცოტა აქეთ შამაბრუნებს. როგორც იქნა გაასწორა. მარტო ერთ არხს იჭერსო, მაგრამ შენ მაგაზე არ იდარდო, დანარ-ჩენი არხებიც დიდად არ განსხვავდებაო. აი, მაგალითად, აქ თუ ვინმეს წმინდანად მოიხსენებენ, მეორეგან უთუოდ იუდად არის გამოცხადებულიო. აქ თუ აცხადებენ, ამაღამ განვიმდებო, მეორე არხზე იტყვიან, თაკარა მზეს უნდა ველოდოთო, ერთი თუ ამბობს თეთრიაო, მეორე ამბობს - შავიო. ანუ სულ პირიქითო რა. თეთრსა და შავს შორის ყველაზე მეტი ტონი როა მოქცეული, მაგათ, ეტყობა, არ გაეგებათ ეგენი. ან იქნება და ზუსტადაც გაეგებათ და იმ შუაში მოქცეულის მიჩქმალვის მცდელობა თუ არის-მეთქი.

ახლა ეს ტელევიზორი თავიდან კი არც რად ჩავაგდე, მაგრამ ოჯახის ახალი წევრივით არის. მოვიდა საღამოც და მოვეუჯექი, დიდის სიფრთხილით ჩავრთე და რასა ვხედავ, რაღაც გადაცემას, ხალხი გამოდის, აი, ჩემსავით უბრალო ადამიანები, სოფლებიდან ჩამოსული მარტოხელა მოხუცები, პატარა ლოყებბუნწულა ბავშვები და ზის რამდენიმე კაცი იქა, ეტყვიან, შეხტო, თუ კარგად შეხტებიან, კარგა სამასხარაოე-ბი გამოჩნდებიან და ამ კაცებს გააცინებენ, ფულს მისცემენ, თუ არა და კარგად ბრძანდებოდეთო და გაისტუმრებენ, საიდანაც მოსულან. ვინც უფრო მაგრად აცინებს ხალხს, ვინც უფრო მალა და ხსარტად შეუკრთუნდება, იმათ აქეთ თვალები ისეთი, ღმერთო, როგორი თვალები აქვთ, თითქოს მთელი სამყაროს ცრემლი ამ მზერაში აქეთ ჩაგუბებული.

ვუყურე, ვუყურე და გამოვრთე ეს ოხერი. გამოვრთე და ამინია წნევამ, ხან ცხელ წყალში ჩავდგი ფეხები და შემოვიდე

კისერზე ჩემი კაცის სველი ცხვირსახოცი, ხან კიდევ ძმრანი წყალი დავლიე. ვერ იქნა და ვერ დავიგდე ეს ოხერი, მწონდა კისერი და სულ მამარგანავებდა. ნანახს კიდევ ვერ იქნა და ვერ ვიგდებდი გულიდან. რას ეძახიან ამასა? დაიცა მავიგო-ნი, გასართობი შოუ-პროგრამა. გასართობი. ერთობა ერი თურმე კაცის ისე გაუბედურებით, ისეთი გასაჭირით, რომ ორი მათხოვრული კაპეიკისთვის, გამოიღებს იმ შარვალსა და კასტუმს, ომის შემდეგ პარადებზე ჩასაცემლად რომ უყიდა, გამოიწკიება, ჩაჯდება თავისი სოფლის ავტობუსში, ისეთი ზის, ალბათ მეზობელსაც არ გამოეპასუხება. რა მოგივიდა, კაცო, რამე ცუდი ხომ არ შეგემთხვაო, ჰკითხავენ. არა, არა, ისეთი არაფერი, ქალაქს მივდივარო. არა და ზის და გუნებაში ასჯერ მანც ახტება და შეიკუნტრუშებს. სახლში კი გამოსდიოდა კარგათა, მაგრამ ვინ იცის, იქ დაინახოს ეს კამერები და ათასი მამაძალიობა და ვეღარ მოერიოს თავის სხეულსა. ზის და რაც მეტად ფიქრობს, მით მეტად უჩქარდება გული. ახლა კაცო, მაჰკვდომია თავი, შერცხვენას ვინ ჩივის, ბაღში დააბარა, ფერადი ფანქრები წამომიღეო ქალაქიდან, იმას რა პასუხი გასცეს...

ამაებზე ვფიქრობდი და მერე ჩემს თავს ვუთხარი, იმ კაცებზე უარესი მე ვარ-მეთქი, მე და ყველა ჩემნაირი, ვინც გულის გადასაყოლებლად დამჯდარა და ამ გასაცოდავებულ, ამ უბედურ ადამიანებს შაჰყურებს და იცინის-მეთქი. ქა იცინის, ერთობა-მეთქი, ვილაცის უბედურებაზე, ვილაცის გასაჭირზე, ვილაცის უღუკმანურობაზე. ამაებს ვფიქრობდი და ისე შემეზარა საკუთარი ადამიანობა, ისე შემრცხვა. არა, მეც კი ვინმე ვარ, რო გავბრიყვდი და ამათ დავეუჯერე. როდის იყო ქა, ამ ცის ქვეშეთში გართობისთვის გაეჩინოს ღმერთს კაცი. თუ კი მინცადამინც გასართობი და სასა-ცილო გინდა, რაღა ამ შავ ყუთში ექვს, ჩახიდვ სარკეში, კარქა დააკვირდი შენ თავსა, გაიხსენე, ვინ იყავი და რა გახდი, რა გინდოდა და რა გამოვიდა, საით მიწვედი და სად კი აღმოჩნდი... კარქა დაუკვირდი შენ თავსა და იქნება იმდენი სასაცილო ნახო, მუცელი ხელით გეჭროს.

კარქი საჩუქარი კი გამოუვიდათ მე და ჩემმა ღმერთმა. არა, ქა, ვინც ერთობით, ღმერთმაც გაგმარჯვოთ, მე კი, ქალი არ ვიყო, კიდევ მაგისკენ თუ გავიხედო.

მარიამ ხოტივაშვილი

სამეფო ოჯახში, ტრადიციის მიხედვით, ტახტის მემკვიდრე სასახლეს სცილდებოდა და უცნობ ადგილებში მიემგზავრებოდა. საცხოვრებლად ტყეს, ტრამალებს და გამოქვაბულსაც კი იყენებდა. შეეძლო უცხო გვარის ან ჯიშის არსებობის დაედო ბინა. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ადათი ასწლებს ითვლიდა და მისი განხორციელება თითოეული სამეფო ოჯახისა და ტახტის მემკვიდრის მოვალეობა იყო. უფლისწულ არლონდირს, ასაკის მატებასთან ერთად, ამ მოვალეობის მოხდის დრომ მოუწია. ჩვიდმეტი წლის შესრულებისთანავე მეფე-დედოფალს განუცხადა, რომ უკვე როგორც გარეგანად, ისე შინაგანადაც მზად იყო, სამეფოს წინაშე ვალი მოეხადა.

მისი გამგზავრებიდან წელიწადს გაველო. ჯერ ტყის ელფებთან გაატარა საკმაო ხანი. თან მხოლოდ ორიოდ მსახური და ერთ-ერთი ცხენი ჰარნოფილდი ჰყავდა. შემდეგ დასავლეთით, ზღვის ელფებთან ცხოვრობდა. ისევე ატარებდა დროს, როგორც ჩვეულებრივი ზღვის ელფი. მინდვრის ელფების სტუმარმოყვარეობაც გამოსცადა მცირე ხნით. მისი ვინაობა კი, სინამდვილეში, მხოლოდ მისმა თანმხლებმა ელფებმა იცოდნენ. ზღვის ელფებისგან ნამოსვლის შემდეგ არლონდირმა საკმაო ხანი მარტო დაჰყო. მდინარის ჩაყოლებაზე გაჩერდა და პატარა ტყეში დაიდო ბინა. ხე-ტყეზე მომუშავე ელფებთან დაოსტატებულმა, მცირე ქოხი აიშენა და სამეფოს მინების გაცნობის შემდეგ საკუთარი თავის ძიება დაიწყო.

უცხო ადგილებსა და არსებობთან არლონდირი მხოლოდ გარჯასა და მათი ცხოვრების მიმდინარეობის შეცნობას როდი ესწრაფოდა. ყოველი ახალი მინა და არსება უფლისწულს რაღაც ახალს სთავაზობდა. არლონდირი ხელცარიელი არასდროს ბრუნდებოდა. მას ყოველთვის თან მოჰქონდა მათი ცოდნა, ასწლებლების მანძილზე დალექილი სიბრძნე და განსწავლულობა. ტყის ელფებთან იგი ხეების ენასა და ველური ცხოველების მოთვინიერებას დაეუფლა, ისწავლა შესახებდავად მსგავსი მცენარეების გარჩევა და შხამიანობის შემთხვევაში, ნამლის დამზადებაც. ზღვის ელფებთან გაიწვინა ცურვაში, წყალმცენარეებისგან მრავალგვარი სამკურნალო ნაყენისა და ჩაის დამზადება ისწავლა. იქ ყოფნისას ბევრი რამ გაიგო ღრმა წყლებში მოზინადრე იმ არსებების შესახებ, რომლებზეც მანამდე მხოლოდ ძველ თქმულებებში წაეკითხა და მხოლოდ და მხოლოდ ელფთა ფანტაზიის ნაყოფი ეგონა. მინდვრის ელფებთან არლონდირმა ბრინჯისა და იშვიათი ჯიშების ჩაის მოყვანა ისწავლა. გზად ადამიანებსაც ხვდებოდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში მთის ადამიანებთან მოუწია ცხოვრება.

საერთოდ, მთის ხალხი მუდმივად მოძრაობს და ხანგრძლივი განსახლების ადგილი არ აქვს. არლონდირიც სამხრეთის ტრამალებისკენ მიმავალი გადაეყარა გზად და დაემგზავრა. ამ უსახლკარო, ბედის ანაბარა მოხეტიალე ხალხისგან უფლისწულმა ბევრი მისთვის იქამდე უცნობი გაიგო. მთის ადამიანები ცნობილი არიან ქვაზე მუშაობის ოსტატობითა და ხმლების ჭედვით, რომლებიც ადამიანთა შორის საუკეთესოა და მხოლოდ ელფურს თუ ჩამოუვარდება ზოგჯერ მცირედით. ისიც იმიტომ, რომ დრეკადობისა და ლესვისთვის საჭირო ჯადოქრობა არ აქვთ. თუმცა, ყველაზე ცნობილი მთის ადამიანების შესახებ არის ის, რომ ისინი საიდუმლოებით არიან მოცულნი. ბევრს მათი არსებობისა საერთოდ არ სჯერა. ქვისგან გამოთლილ შენობა-ნაგებობებს, რომელთა დანიშნულებაც სინამდვილეში არაფერია, ისინი გზადაგზა აშენებენ, თუმცა მათში არასდროს ჩერდებიან და მალევე ტოვებენ. მათ მიერ აგებული შენობები მთელ ელფთა სამეფოს მინებზეა მიმოფანტული. ზოგიერთი უგუნური, ან ზეცის რისხვის უშიშარი, ამ შენობებს საცხოვრებლად, ღუქნად ან მეტიც – ცხოველების დასახინაველად იყენებს. ასე ძირითადად ვაჭარი და მოგზაური ადამიანები იქცევიან, ელფები კი მათთვის უცხო არასდროს ეკარებინან. მაგრამ არლონდირი სხვანაირი იყო.

არლონდირი მიხვდა თავის დაუდევრობას, როდესაც საბედისწერო დროს უცხო ადამიანებს საკუთარი სურვილით წარუდგინა

თავი და ახლა სრულიად უცნობ ადგილას მიჰყვებოდა მათ. მაგრამ, რატომღაც, გულმა უგრძნო, რომ ასე უნდა მოქცეულიყო და არავითარ საფრთხეს არ გრძნობდა.

მთის ადამიანებთან დამგზავრებისთანავე უფლისწული თითქმის უწყვეტად მიაჭენებდა უცნობ მინდვრებში დღისით თუ ღამით. ერთხელაც, მხედრები პატარა ტყეში შევიდნენ. არლონდირს არასდროს ენახა ეს ტყე რუკაზე. საკუთარი დაკვირვებით მიხვდა, რომ მდინარე მინის ნობათის ნაპირს მიუყვებოდნენ.

თქვენ საკუთარ ცოდნას ყველაფრის ცოდნას დაარქმევთ, მაშინ ყოვლისმცოდნე გამონავალი. მაგრამ თუ თქვენ ყველაფერს დაარქმევთ იმასაც, რაც თქვენი გონების ზღურბლს არასდროს მიჰკარებია, მაშინ გამოდის, რომ თქვენი ყველაფერი ერთი დიდი არაფრის სულ მცირედი ნაწილია.

არლონდირს გონება აემღვრა. არ ელოდა, რომ საუბარი ასე წარიმართებოდა. კაცი მიხვდა, რომ რთულ ენაზე საუბრობდა და მარტივად განაგრძო:

არლონდირის მოგზაურობა



თავის მცველებს, რომლებიც მთელი მგზავრობის განმავლობაში უკან მოჰყვებოდნენ და თვალს არ აცილებდნენ, სახეზე მღელვარება შეატყა.

მხედრები ჩამოქვეითდნენ და ფეხით განაგრძეს სიარული. ტყეში მღუმარება სუფევდა. ცამდე ატოტილი ხეების ღრმა ძილს მხოლოდ მდინარის ხმაური აფრთხობდა, რომელიც ტყის სივრცეში ყრუდ ისმოდა.

– ეს რა ტყეა? – იკითხა არლონდირმა, – აქამდე რუკაზე არასდროს შემიმჩნევია.

– ეს მაქრობელა ტყეა, უფლისწულო, – მიუგო ერთ-ერთმა კაპიუშონწამოფარებულმა კაცმა, – ზოგიერთი მოგზაური მას მატყუარა ტყესაც ეძახის. არაფერია იცის მისი ზუსტი ადგილმდებარეობა, რადგან ზოგჯერ ადგილს იცვლის ან საერთოდ ქრება თვალისაწიერიდან. ამიტომაც რუკაზე არ არის დატანილი, რადგან არაფერია იცის როდის სად აღმოჩნდება. ხვდებით?

არლონდირმა თავი დაუქნია, თუმცა თავის ეჭვებში ბოლომდე დარწმუნებული არ იყო.

– ანუ ტყე მოჯადოებულია? – ამბობენ, თავად ტყე ჯადოსნობსო, – უპასუხა კაცმა და სიყვარულით მოავლო თვალი იქაურობას.

გვიან ღამით, როდესაც რაზმი დასასვენებლად მოემზადა, ცნობისმოყვარე უფლისწულმა გადანყვიტა მთის ხალხის ბედისთვის ყველაფერი გამოეკითხა, რაც კი აქამდე აინტერესებდა და გულს უღრღნიდა.

– მკითხეთ, რაც გაინტერესებთ, – სიტყვისუთქმელად მიუხვდა კაცი, – მე კი, შეძლებინდავარად, შევეცდები გიპასუხოთ.

– მინდა ყველაფერი ვიცი თქვენ შესახებ. ვინ ხართ, საიდან მოდიხართ, სად მიდიხართ.

– ყველაფერი არასწორი სიტყვაა, უფლისწულო, – მიუგო კაცმა, – ზოგისთვის ყველაფერი არის ის, რაც სხვისთვის სულაც არაფერი არ არის. ზოგადად კი, ყველაფერი არის ის, რასაც თქვენ არსებულად მიიჩნევთ. მაგრამ განა ყველაფერი ყველაფერია? ყველაფერს ყველა თავისებურად აღიქვამს. და რაც შეეხება ყველაფრის ცოდნას, ისიც თვითონ ამ სიტყვიდან მომდინარეობს. თუ

– უფლისწულო, თქვენ მკითხეთ თუ სად მივდივართ ჩვენ. პასუხი მარტივია – შევთანხმდით, რომ ყველაფერი არაფერია. თუკი ასეა, გამოდის, რომ არაფრითაა მოსულები ისევე არაფერში მივდივართ.

არლონდირი ისევ დაიბნა. – ჩვენი შეხვედრისას თქვენ ასხენეთ, რომ სხვანაირი ელფი ვარ, – თქვა დაბნეულობის გადასაფარად და ახალი საფიქრალის ამოსახსენლად, – რა იგულისხმებ?

– ამას თვითონვე ხვდებით, უფლისწულო, – მიუგო ბელადმა მოკლედ და, ამასთანავე, დაფიქრებულია.

– თქვენი ჭედვისა და ქვასთან მუშაობის ოსტატობა, – განაგრძო ცოტა ხანში აღტაცებითა და აღფრთოვანებით, – ჩვენს ელფებს ხშირად უნახავთ თქვენ მიერ აგებული შენობები, თუმცა მათ დანიშნულებასა და რაობას ჯერაც ვერ მიმხვდარან.

ბელადმა მცირე ხნის შემდეგ დაბალ ხმაზე მიუგო:

– ეძიებდით და ჰპოვებდით, უფლისწულო. ეძიებდით და ჰპოვებდით.

როგორც ჩანდა, ეს მათი საუბრის ბოლო სიტყვები იყო. ამის შემდეგ კაცს აღარაფერი უთქვამს. არც არლონდირს უკითხავს რაიმე. პასუხების მიღების ნაცვლად, უფრო მეტი საფიქრალი და საზრუნავი გაუჩნდა. ბოლოს ადგა და დასაძინებლად წავიდა.

– პასუხებს თქვენ გარშემო ნუ ეძებთ, უფლისწულო, – მიაძახა კაცმა უკნიდან, – სიმაღლე საკუთარ თავში ეძიეთ.

დილაადრიან, ტყიდან გამოსულებს თვალი მზის კამკამა სხივებმა მოსჭრა. მხედრები თვალის დახამხამებში ადგილიდან მოწყდნენ. ქვეყნისას შემოალაშდა. მინდვრის ბოლოს გაჩერდნენ და ჩამოქვეითდნენ. არემარე გამაყრუებელ ჭრიჭინს მოეცვა. მელნისფერ ცას წვრილ-წვრილი ვარსკვლავები ეპარებოდნენ. არლონდირს ჯერ არასდროს ენახა ასეთი ლამაზი ცა. უღრუბლო და ჭსავით უძირო სივრცეში ათასობით ვერცხლისფერი, ყვირილი და მენამული წერტილები გუნდი თამაშობდა. ნაირფერმა ვარსკვლავებმა არლონდირს სასახლის აუზის პატიოსანი ქვები მოაგონა. შორს ვარსკვლავიც ჩამოვარდა და

უფლისწულის ზღვისფერი თვალები თეთრი ალით ააბზინვარა.

ამ წარმტაც სანახაობას არლონდირი ბელადის ხმამ მოსწყვიტა.

– უფლისწულო, სამწუხაროდ, აქ უნდა დავმორდეთ.

არლონდირი ელდანაკრავით შედგა. საერთოდ არ მოელოდა, ამდენი დაუსრულებელი ჭენების შემდეგ რომ ასე მოულოდნელად განუდებოდა მათი ძაფი...

ელფებს მოეჩვენათ, რომ მათ წინაშე თითქოს ზეციური არსება იჯდა და ესაუბრებოდა. ალთური, თავისდა გაუცნობიერებლად, უფლისწულის ხელს ეამბორა და კარგა ხანს არ გაუშვია.

– მამ, შენ ამბობ, რომ უკვე ორი თვეა, რაც აქ ვართ? სიმაღლე გითხრათ, აქ ყოფნაში დროის სათვალავი ამერია. და საერთოდ, დროის შეგრძნება დავკარგე. ესე იგი, უკვე ორი თვე გასულა. მითხარი, განა ორი თვე საკმარისია ამ ადგილით დატკობისა და სამყაროს შესაცნობად? მთელი თქვენი მოკლე ელფური სიცოცხლეც რომ დაუთმოთ, ბოლოს შეიძლება სულ ხელცარიელი დარჩეთ. გახსოვთ, აქ ვისი რჩევისამებრ მოვედი? მთის ხალხის ბელადმა მე სამი რამ დამიტოვა – ხმალი, ნიგნი და მესამე იყო ცოდნა, რომელიც მე ამ გამოქვაბულში უნდა მეპოვა. ვფიქრობ, მივიღე პასუხები იმ კითხვებზე, რომლებზეც მჭირდებოდა. ამიტომ ამ საბოძვარსაც მიღებულად ვთვლი. მაგრამ, განა შესაძლოა, ყოველ კითხვას გაეცემს პასუხი? ჩვენ ხომ მხოლოდ იმ პასუხებს ვეძებთ, რომლებიც ჩვენ გვჭირდება. მაგრამ რამდენი კითხვაა, რომელიც ჯერ არ დავგვბადებია?

უფლისწულის ბრძნულმა საუბარმა ელფები ზომამდე მეტად გააოცა.

– ეძიებდით და ჰპოვებდით, ჩემო მეგობრებო, – წარმოთქვა ბელადის ნაცნობი გამოთქმა, რომელსაც კაცი ესოდენ ხშირად იმეორებდა და რომლის გაგონებაც უწინ არლონდირს ჩაუქრობელ სიბრაზესა და ცნობისმოყვარეობას უღვივებდა, – აბარგება დაიწყეთ. თუკი, მართლაც, ამდენი დრო გავიდა ჩვენი აქ ყოფნიდან, დროა, ამ ადგილსაც მივცეთ შეება. ყველას და ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. ჩვენ კი, უკვე დროა, ჩვენს სახლს დავუბრუნდეთ.

ელფები ვერ იტყოდნენ, რომ უფლისწულის ამ ბრძანებამ მათ სიხარული არ მიჰკვარა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მოსწონდათ და სიამოვნებას ჰგვრიდათ გამოქვაბულის სიმყუდროვეში ყოფნა და ბუნების სიმფონიის მოსმენა, გულს უკვე სახლისკენ მიუწევდათ. ენატრებოდათ გოლიათური სასახლე, მისი სამოთხის ბაღები, დიდებული მეფე-დედოფალი და თავიანთი მეგობრები.

არლონდირმა იგრძნო მათი შინაგანი აღტაცება. მასაც მონატრებოდა დედამამა, სასახლე და მეგობრები, რომლებიც არასდროს ჰყოლია. სინამდვილეში, შეეძლო და გულიც მიუწევდა, რომ ამ ადგილას კიდევ დიდხანს დარჩენილიყო, აქ ხომ დროის მდინარეც იყინებოდა და საკუთარი არსებობაც. მაგრამ, უნდოდა თუ არა, როგორც თვითონ თქვა, თავის სახლს უნდა დაბრუნებოდა.

არლონდირმა გონება ფიქრებისგან გაითავისუფლა და თავი ისევ ნიგნს მიუძღვნა. ათასგვერდიანი, ადამიანთა ძველ რუნებზე დაწერილი, უამრავი სურათითა და უთვალავი სიმბოლოთი გაფორმებული ნიგნი არლონდირისთვის მოგზაურობის საუკეთესო დასასრული გამოდგა.

მომდევნო დღეს არლონდირმა აუზებთან კიდევ რამდენიმე ხანი დაჰყო. თითოეულთან ჯდომისას მათი ბზინვარება მასზე გადადიოდა და მათ ფერს ირეკლავდა. ასე მოექცა ექვსივე მათგანთან. ბოლო, მეშვიდე, იისფრად მოელვარე აუზთან არლონდირმა ხელები ზემოთ ასწია. თითქოს, მადლობას უხდოდა მას და იმ ადგილს, რომელმაც ამდენი ხნის განმავლობაში მიიღო და შეიფარა. მცველებმა არ იცოდნენ, უფლისწული ვის ან რას მიმართავდა, მაგრამ მის მოძრაობაში მონიშნა და არამქვეყნიური ძალის მასზე გადმოსვლა იგრძნობდა.

სასახლეში მთებში წავიდნენ. სუსხიანი და სახიფათო, მაგრამ უმოკლესი გზით ისინი პირდაპირ გოლუნდირისკენ მიმავალ გზაზე აღმოჩნდნენ. რამდენიმე საათიანი ჭენების შემდეგ მხედრებმა გოლუნდირის ცაში მოლაპლაპე გუმბათს მოჰქრეს თვალი და მშობლიური სახლის გზას დაადგნენ.



ვასილ გოცდჯოვილი

ჩიტებს სძინავთ, მზემ დაკარგა სითბო, თვალებს ვახელ და ვერაფერს ვხედავ...
სანუთროსგან აღარაფერს ვითხოვ, აღარა მყავს საყვარელი დედა...

ქვის სიცივე შეუმოსავს ქალაქს, უგულობა უსაშველოდ ყინავს... ფრთებს ვკეცავ და მლაშე ცრემლებს ვმალავ, იმ ქალაქში, სადაც ჩიტებს სძინავთ...

ჩემს ინვას

ძნელი ყოფილა ყოფნა უმზეოდ, როდესაც სული სხეულს შორდება... რა ძლიერი ვარ

და რა უმნეო, ტორსი, ქცეული ნატურმორტებად...

ვით უბინაოს, მიჭირს უშენოდ, ბრონეულივით მიჩანს იარა... სიმსუბუქეა ყოფნა უენოდ, ენა ყოველთვის სჯობნის იარაღს...

ვერ გაიმარჯვებს შიში, უზნეო, ვრჩები მაგ ლამაზ თვალთა ტრფიალად... სიყვარულს ხვდება სმენით უსმენო, სიცოცხლითაა სავსე ფიალა...

ძნელი ყოფილა ყოფნა უმზეოდ, როდესაც სული სხეულს შორდება... რა ძლიერი ვარ და რა უმნეო, ტორსი, ქცეული ნატურმორტებად...

წვიმდა, ტიროდა ღურჯი დემონი, თითები თრთოლით ანთებდნენ სანთელს... დაგეძებდი და უნდა მეპოვე, მივდევი ქუჩებს და მდუმარ სახლებს...

ულამო ლამის მესმოდა ფეთქვა და არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა... სათქმელი როგორ გამომეხატა, რომ სიმარტოვის ზღვა მომეხატა...

ტყვიათა წვიმით გულის შრიალი თუ მონატრების სევდა დამჩემდა... აფხაზეთს ახსოვს მეხის გრიალი, ღრიალი, სულს რომ ათამაშებდა...

მინას არბევდა ცრემლთა ღვარცოფი, მონატრებულმა რომ ვერ გიპოვე...

შენ სიყვარულის ძალით მახრჩობდი და მომიხმობდი სიზმრად თვითონვე... 1992 წელი, სოხუმი

შენ სიყვარულით სიკვდილს მიმზადებ, მადლობელი ვარ, ღმერთო, მაღალო!.. მიმალწვინე ჩემს დიდ მიზნამდე, არ დამაოკო და არ დამლალო...

სიცოცხლის კარი დავტოვე ღრიჭოდ, მოდი, მომწუხე ძალავ, ფარულო!.. მე სიყვარულით სიკვდილი მიჯობს, ვაგლახ სიცოცხლეს უსიყვარულოდ...

შემასვი წყალი მძიმე ხელად, თუ უკვდავების ცისფერი სითხე... ვით ქარდაკრული წყარო – ველავდი, შენ, ქალღმერთივით იდექი იქვე...

ირეკლებოდი სულის სიღრმეში და უნაპირო ნაპირს ტოვებდი... ცისა და მიწის ლურჯ სიცივეში, მე ვივებოდი სიმარტოვეთი...

წყნობა

წუხელ ჩუმად ჩამოთოვა მთაში, ულამაზეს ღიმილს ჰგავდა თოვა... მკათათვისფერ მონატრებად დამრჩი, ჩურჩულებდი – რა უდროო დროა!..

ნატიფ წელზე შემოგხვიე ხელი, ავათრთოლე უთეთრესი თოვლი... ჩაენებნენ ბაგეები სველი, შენ ამბობდი: – ნადი, სანამ მოვლენ!

წასასვლელი აღარ მქონდა არსად... ყურს ვუგდებდით ხის საამო ჭრიალს... მითრთოლავ მკერდთა მოლანდებ მთარსავს და იმ ლამის სილამაზე მშია...

მოლიბულ გზას მინათებდა მთვარე, საკუთარ ლანდს გავეპარე გზაში... მოვუყევი წამოწეულ ქარებს, რომ უჩუმრად ჩამოთოვა მთაში...

მიტოვებულ სამარეში ვწევარ, მაფარია დაცხრილული თოვლი... გამოვასწარ პირსისხლიან მდევარს, ვარსკვლავები მეძახიან ლტოლვილს...


ლტოლვა სხვაა, დევნილობა სხვაა, ზღვაში მთვარე სანთელივით ქრება... ეშერასთან ულურჯესი ცაა, გული ჩუმი მონატრებით თვრება...

მინას არყევს ნაბიჯები ქარის, შემომხედავს ნორჩ პალმათა ჯარი, თუ ოდესმე დავუბრუნდი რინას... აფხაზეთი დაობლებულს მიცავს...

მინდა გითხრა, ამ მინაზე ოდეს, აუგია ბაგრაძე მეფეს ციხე... ჩემს შვილიშვილს საგანძურად ჰქონდეს, ნაბრძოლ მკერდზე ჯაჭვის პერანგს ვიხევე...

მიტოვებულ სამარეში ვწევარ, მაფარია დაცხრილული თოვლი... ლოცვასავით ჩამავალი მზე ვარ, ცრემლისფერი მონატრება ყოვლის...

1993წ. (სანგარში დაწერილი)



მერაბ სილდამონიძე

წიგნის რაფერაობა

შემომალამდა აბურდულ გზებზე, და ზეცის სასწორს ველი ხვალ და ზეგ, დღემდე ოქროსფერ კვირიონს ვეძებ, ერთხელ რომ ვნახე სოფლის საყდარზე.

გარდაუვალზე ფიქრი არ მტოვებს, თვალსაწიერი ნელა მიქრება, ვილაც მეძახის ღრუბლების იქით, ღმერთი თუ არა, სხვა ვინ იქნება?

დრო-ჟამს ჯიუტად წლები მიაქვს და აღარ მომყვება ჩემი სხეული, წასულთა ნახვით აფორიაქდა სული – სიზმრებში გამობვეული.

ვის ვემუდარო, რა დავუბარო? წკრიალებს ცელი წლების ყანაში, ნეტა რა ნახე, ჩემში, უფალო, სულის ჩადგმით და აქ მოყვანაში?

შემომალამდა აბურდულ გზებზე და ზეცის გახსნას ველი ხვალ და ზეგ, მაინც ოქროსფერ კვირიონს ვეძებ, ერთხელ რომ ვნახე სოფლის საყდარზე.

სიყვარულის ყველაფერს

მანანა მახარაძეს არ ცვდება ღმერთი და სიყვარული, რადგანაც არსით ორივე ერთია, სად სიყვარულის ქრება აღმური, იქ არც ტრფობაა და არც ღმერთია.

დღემდე მე შენი ლანდიც მაჟრჟოლებს, როს მიგაქვს ქუჩა, ამაყს, ვნებიანს, ნატვრის ბაფთებით ვრთავდი ამ ბუოლებს, მათგან ერთიც არ ამსრულებია.

ჩავლილი წლები გვიდგას თავმდებად, სანამ სიცოცხლეს სიკვდილი წაშლის, მწამს, სიყვარული აქ არ მთავრდება – ღრუბლებს ერთვის და გრძელდება ცაში.

ღივილი თამარობა

ქ-ნ გულიკო იმნაძეს წმინდა კაცის დანატოვარს ვაჟკაცივით უვლი, თუმცა წლებმა დაათოვა, ბევრ ნატვრას და სურვილს.

ვერცხლის ციმციმს, ოქროს ბზინვას, გიჯობს ლექსის ტრფობა, დღემდე გაწევს მხრებზე ზვინადა, კაცის უბედობა.

მოგიწყვია ეზო, სახლი, სანიმუშოდ სხვათა და ჩაგემის, ხშირად, დალილს, გალობანი ცათა.

სიტყვით დამიამე წყლული, სულს სალბუნობს ღვინო, გინდა, შენი თბილი გული, ყველას ამყოფინო.

სამეგობროს თანადგომა, გიმსუბუქებს დარდებს და აგრძელებ თამადობას ცაში შეხვედრამდე.

ძველი სიყვარული

ლიახვო, გორთან მტკვარდები, ჰკარგავ სახელს და სიცოცხლეს, ნუთუ უკვალოდ გაქრები, გამაგებინე, ვიცოდე.

კუნტრუში იცი ბოჩოლის, ვიცი, რაცა ხარ, ვინცა ხარ, მე შენი ტალღის ქოჩორის ალერსს ჩემს გულში ვინახავ.

ჩაჭის მონატრება

ელდარ ჩიღვინაძეს ხშირად გხედავ სიზმრებში, ელდარუკა, რაჭველო, მინდა შენთან, სოფელში, ცხენები გავაჭენოთ.

ნიკორწმინდას ვეახლოთ, რაჭის უკვდავ დედოფალს, მისი ეშხის მშვენება, საამაყოდ მეყოფა.

სევდამ სულს დაივანა, და გულისგულს მოება, ვიცი, ძნელი იქნება, მასთან განმარტოება.

სიმონიკას სახელთან, შენ ვინა და მე ვინო? მინდა იმის საფლავზე, ჭიქა წამაქცევიწო.

ჩვენ რა ორწობობა

ღრუბელთა ფარას ჩამორჩა ფთილა – ბატკანი ობოლი, ნეტავი საით მიდიან ღრუბლები – უსამშობლონი?

ჭრელია ჩვენი სანუთრო, ზოგს მშვიდობა სურს, ზოგს – ომი, ქართული დაუდევრობით არ დავრჩეთ უსამშობლონი.

კომედი და საზოგადოება

გიორგი ბუნდოვანი იმ თაობას ეკუთვნის, 90-იანი წლების ლიტერატურულ-კულტურულ-პოლიტიკურ ვენე-ბათაღვლებთან რომ არის დაკავშირებული და თავად 90-იანი წლების კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრებაც მათთან რომ ასოცირდება. უკიდურესი წინააღმდეგობებისა და დაპირისპირების ხანაში მათი ლიტერატურული აქტი-ურობა პოლიტიკურ-სოციალური ყოფიდან ამოვარდნილად-აც კი შეიძლება გამოჩენილიყო მაშინ (ხალხი შიმშილობს და რა დროს პოეზია და არტ-აქციებიც), მაგრამ დღეის გადასახედიდან ის პოეტური ორდენები (ამ შემთხვევაში კი - ქართველ პოეტთა ორდენი-„ქრონოფაგები“ 1991 წ.) და მათი საღამოები, პერფორმანსები თუ სხვა, ნახევრად თეატრალიზებული გამოსვლები არათუ დღევანდელი პირში არიან მაშინდელი დაულაგებელი ყოფისა, არამედ უკურე-აქციაც იმ დროის მოვლენების მიმართ.

„არაგაგალონი პოეზიისთვის უსჯრად ღება“

ის პერიოდი ჩვენი საზოგადოების მესხიერებაში მეტად ტრავმულადაა შემორჩენილი, რომლის სრულფასოვან ანა-იზსაც თითქოს, ყოველ ჯერზე, გადავდებთ ხოლმე, თუმცა ბოლო დროს ერთგვარ ინტერესსაც ვგრძნობთ 90-იანი წლების დასაწყისის ლიტერატურული ცხოვრების პერი-ეტებისადმი: როგორი იყო ახლად დამოუკიდებლობა-ოვებული საზოგადოების იმედი, პირველი ნაბიჯები, რას აპროტესტებდა მაშინდელი ახალგაზრდა შემოქმედი თაობა ლიტერატურაში და ლიტერატურით, რისი სჯეროდა, რა ეზედმეტებოდა, რისი შეცვლა სურდა, როგორ შეიცვალა პოეტური გემოვნება, ვისთვის რა მიმართულება იყო მნი-ვნელოვანი ლიტერატურაში, როგორი იყო კერპების მსხ-ვრევა, ვინ გამოჩნდა ლიტერატურულ სარბიელზე, როგორ გააგრძელა შემდეგ და სხვა უამრავი რამ...

ამ ლიტერატურული (და ზოგჯერ „ყვითელპრესული“) კითხვების ადრესატები, 90-იანი წლების შემოქმედები (პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით) დღესაც ცხოვრობენ ჩვენს გვერდით, შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობასაც კი წარმოადგენენ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში - მათი არც თუ მცირე ნაწილი აღიარებული პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და კრიტიკოსიცაა, მაგრამ ძალიან ცოტაა ისეთი, ვინც დღემდე შეინარჩუნა, არ განყვიტა კავშირი იმ დროის პრინციპებთან, გამოსატვის ფორმებთან და წარ-მოყვადებდა, როგორც ქვეყნის 90-იანები. ამ უკანასკ-ნელთაგან ერთ-ერთი პოეტი და პერფორმერი, მულტიმე-დია არტისტი, მაშინდელი ანდერგრაუნდის ტრადიციების წარმომადგენელი და გამგრძელებელი გიორგი ბუნდოვანია.

გიორგი ბუნდოვანის ავტობიოგრაფიული და თანავტობიო-გრაფიული, დღემდე შემდეგი პოეტური კრებულები გამოცე-ბის: „ქრონოფაგები“ - 1991წ.; „ანომალიური პოეზია“ - 1993 წ.; „სინჯარის დაკანონება“ - 2003წ.; „ათვისის ნერტილი“ - 2004 წ.; „ანტიციფის მანიქესტი“ - 2009 წ.; „სად არის სისხლი ბროლისფერ თოვლის“ - 2018 წ.

მისი ბოლო, რიგით მეშვიდე კრებული კი „კულტურის სანიტარი“ გახლავთ, /გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ დასტამბული/, რომელიც, როგორც თავად ამბობს გამოსე-ლემში, „ხანგრძლივი პოეტური მარხვის შემდეგ“ გასულ 2022 წლის ბოლოს გამოცემა და რომელიც მისთვის, მთელი მისი შინადაბუნების ერთგვარი „მანიქესტაცია“ და აბითაა ყველა წინა კრებულზე გაცილებით მეტად მნიშვნელო-ვანიც. კრებული რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება, როგორებიცაა „ქანტასმაგორია“, „მე ვზივარ დენიზე“, „რეტროსპექტივა“, „სატირულ-სარკასტული“ და წინ შოთა იათაშვილის (ყოფილი - ანომალიური პოეზიის ერთ-ერთი ნევრის) შესავალი სიტყვა უძღვის.

„პოეტური მარხვა“ ვახსენებ, რაც გიორგის მისთვის ჩვეული ცხოვრების სტილისგან, შეჩვეული კულტურუ-ლი-შემოქმედებითი გარემოსგან ჩამოცილებითა და რელი-გიურ სფეროში დადგინებით იყო განპირობებული. მაგრამ მისმა დაუდგომელმა, მუდამ სიმართლისა და გულწრფე-ლობის მაძიებელმა ტემპერამენტმა რა გასაკვირია, რომ იმ ინსტიტუციონალიზებულ გარემოშიც ვერ ჰპოვა ნაგულეობის სიმშვიდე და თავის ჩვეულ სტიქიას - პოეზიას, პერფორ-მანსებს დაუბრუნდა. აღსანიშნავია, რომ ეს დაბრუნება სულაც არ არის მშვიდი და ჩუმი, არამედ ხმამაღალი, თუ გნებავთ, ამაფორიაქებული და პრეტენზიულიც ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო გაგებით. ალბათ არ გადავჭარბებ თუ დავწერ, რომ პოეტმა შემოქმედ ნრეებსა და მკითხველთა საზოგადოებას საკუთარი თავი ერთგვარი დემარშითაც კი შეახსენა, ხოლო მისი სულ ახლანდელი კრებულის სახელ-წოდება - „კულტურის სანიტარი“, რომელზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა, უკვე სათაურშივე იქადის კულტურ-აში ჩაბუღებული მწერის, კონფორმიზმის, კლანურობის, პარტიულობის, ელიტურობის, ფარისევლობის წინააღმდეგ ბრძოლას, „მავნე პაქტირებისგან“ პერიოდული, გნებავთ, გვემორი ნმენდის განზრახვას. რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, პოეტს კონკრეტული ადამიანები ამოეღოს მიზანში. არა, ეს ნებისმიერი კულტურის, რო-გორც ცოცხალი ორგანიზმის შემთხვევაში, რაც არ უნდა განვითარებული იყოს იგი, თვითრეფლექსიის საჭიროება-ზე, აუცილებლობაზე დაფიქრებისკენ მოწოდებაა. თუმცა, ლექსში „ქართულად ნახმარი კულტურა!“ იგი ავიწროვებს

თემას და კულტურისადმი ქართულ დამოკიდებულებას ასე აღწერს:

„კულტურა აქ ცვედნია!
დასაჭურისდა პოეზია...
სიყალბე ჩვენი დედანია,
„შნირობა“ - ჩვენი ანეზია“...
ეს კი იმიტომ რომ:
„ვაიხლოვანთა ირგვლივ პარპაშია,
მინისტრებს უკმევს და უმღერს მრავალი...
- სინდისი მოკვდა! და სულში განგაშია!
- კონტორმიზმს ვაშა! - გართივს მტარვალი“.

ზოგადად, კულტურის ფენომენისადმი პოეტის უაღრესად სერიოზული დამოკიდებულების ილუსტრაციად შეიძლება ჩაითვალოს მისი ლექსი - „კულტურა კასტრაცი!“ სერი-ოზულობით კი, კულტურის ავტონომიურობის აღიარე-ბას ვგულისხმობთ - კულტურა როგორც თავისთავადი მოცემულობა და არა საშუალება; მოცემულობა, რომელიც

ზემოქმედებს თუ დაემორჩილება და ამდენად, საშუალებად თუ იქცევა, სახეს იცვლის, თავის თავს დაშორდება და „ამაზრუნე“ რამედ მოგვევლინება.

„გარეთ ყინვა და მრეში დარია,
კულტურა აორთქლდა! კულტურა მკვდარია!
სისხლია! სისხლია! ოლონდაც შავია!
კულტურა - ჭიქცია! კულტურა შლამია!

.....
ილესავს აღმასებრ სინდისი კიდურებს,
კულტურა ამაზრუნე ფუნქციას იბრუნებს“ და ა.შ.

სტრიქონი „კულტურა ამაზრუნე ფუნქციას იბრუნებს“ ერთგვარი გაფრთხილებაა, მაგრამ კონკრეტულად რას მოასწავებს - ინტერპრეტაციის საგანია.

სათქმელმა ისე მოიგანა, რომ კრებულზე სიტყვა მისი ბოლო „სატირულ-სარკასტული“ ნაწილის ლექსებით დავი-წყე, არადა, კრებული იხსნება ერთ-ერთი შესანიშნავი ლექ-სი-ნოველით, სათაურით - „ქინძმარი“, განყოფილებიდან - „ქანტასმაგორია“.

„ლოქო ვიყიდე, უღვაშები ჰქონდა დაჭრილი,
იყო აპრილის არეული ამინდი, ქუში;
ლოქოს ნემსკავი გარჭობილი უჩანდა ტუჩში,
ის ორთავ თვალთ მიცქეროდა ლაყუჩაყრილი“.

ასე იწყება ეს ისტორია. მართალია, ლირიკულ გმირს ლოქო თვითონ არ მოუწყვეტია მშობლიური სტიქიისთვის (ჩანს, რომ არც თევაზი დანებებია უბრძოლველად მეთევზ-ეს, რაზეც მოწმობს ნემსკავი, როგორც დაჭრილი მეომრის სხეულში ჩარჩენილი ჰოროლი), მან მხოლოდ შეიძინა იგი (ცივილურად), თუმცა თევაზის დაფინებულმა ცქერა მანც უხერხულობას განაცდევინებს. თანაც აქვე ვიგებთ, რომ ლოქო სულაც ცოცხალი ყოფილა:

„ლოქო ქმნივდა უსუსურად და სულის ლაფვით,
ერთხელ კიდევაც მოხუცივით შემომახველა!“

ლოქოს მზერისთვის თვალის ვერგამსწორებელ ლირიკულ გმირს სახლში რაც შეიძლება მალე მისვლა და სინდისის წინაშე ამ მხილების (რომ ისიც მკვლელია) დასრულება სურს. თუმცა „მეცვა ფლოსტებიო“ დასძენს, რაც მას აფერხებს და მოცემული ვითარების მტანჯველობას უხანგრძლივებს. გარდა ამისა, „თითქოს ბომბები წვიმის ნაცვლად მხვდებოდა თავში; შო, ლოქოს ცრემლი წვიმა კრიდა, წვეული, ქარში.“ საქმეს ვერც ნამიერი „ლოქოს წინაშე დამნაშავედ ვიგრძენი თავი“ შევლის, ლოქო განწირულია, რადგან ასე განარია ვერ მეთევზემ მისი დაჭრით, ხოლო შემდგომ მყიდველ-მა მისი კერძად ჩაფიქრებით; რადგან ასე თხოვს თავად ტრავმის ულმობელი ბუნება, რადგან ასეთია მოცემული გარდუვალობა („დავკალი მინი, უბედური, მერე კი ვპოვდი“). ლოქოს განწინავაც ისეა აღწერილი (ნერვიულად), პროცესის სისასტიკეს ლაკონურად და ამავე დროს შემზარავად რომ გადმოსცემს და აქვე ჩანს, რომ ლირიკული გმირი თავის სისასტიკეზეცაა გულმოსული - „აფჩეხე ლოქო, მოვადლიზე თავი და ფარფლი“. ნაჭრებად აქნილ და ქვაბში მოხარშულ თევზს ქინძი და ძმარიც ემატება, რომელსაც გვერდით „ორჯერ გამოხდილი ჭაჭა“ მიედგება, რის შემდეგაც ცოდ-ვა-მადლიანი ტრაპეზი უნდა შედგეს, თუმცა „ცხადი მეგონა და ყოფილა კი თურმე სიზმარი...“.

არაშივითადად, ერების უმრავლესობა საკუთარი ლიტერა-ტურიდან ერთ დიდ კლასიკოსს შეარჩევს და მას ეთაყვანება ხოლმე გამორჩეულად. ოლონდ ეს „თაყვანება“ რიდი და კრძალვა არაა მხოლოდ, არამედ მისითი შეპყრობილობა, ცოტა ვლარჭნილად რომ ვთქვათ, „გამოთაყვანება“ კარგი გაგებით. ქართულ რეალობაში ასეთი რამ ყველაზე მეტად რუსთაველის მიმართაა გამოხატული: ძველი დროიდან მოყოლებული თავისი ინტერპოლატორებითა თუ გამგრ-ძელებლებით; სხვა კლასიკოსებისგან მისი ან მისი გმირების სიყვარულით ხსენება, მათი პერსონაჟების სურვილი პოემის გმირებთან მსგავსებაზე; მინახავს მასზე დაწერილი რომანი, ვარაიაცია მის თემაზე მოთხრობის სახით, პოემა, ინტერ-პრეტაციები - დაწერილი თუ დაუწერილი და ა.შ. რაც მეტად კარგია. ამასთან ერთად, აღმოსავლურ პოეზიაში არსებობს მეგობრისა თუ მისანავლებლის გაკულტების ფენომენიც (მაგალითად, ჯალალედინ რუმის მიერ შამსე თაბრიზისა, რომელიც შემდგომ ერთგვარ წესად დამკვიდრდა). „ცის-ფერყანწელებისთვის“ მთავარი ხატი, პოეტი-წინამორბედი

ვაჟა-ფშაველა იყო. გიორგი ბუნდოვანისთვის კი ასეთი პოეტი ტერენტი გრანელია:

„ცაზე სისხლით წერია ისევ „კვირის ნირვები“
ოცდაათი წელია, რაც ტერენტის მიყვები“ („წალენჯიხის მინორი“)

მკითხველს აქ არ შეეაყვინებ გიორგი ბუნდოვანის მიერ გრანელის საფლავის მცველობასთან დაკავშირებული ის-ტორიის ცალკე თხრობით, რადგან ქვემოთ განსახილველი ლექსი ამას ჩემზე უკეთ იქმს, თუმცა ერთს კი შევნიშნავ, რომ ტერენტი გრანელი, მისი პოეზია, გიორგის შემოქ-მედების, ცხოვრების „თანამდევნი უკვდავი სულია“ და, ამ თვალსაზრისით, ტერენტისადმი მიძღვნილ სხვა ლექსებს შორის, ამ კრებულში შესული „ჩაი გრანელთან“ ერთ-ერთი გამორჩეულია.

„წუხელ გრანელთან ერთ სუფრაზე ჩაი დავლიე,
ის მე მესტუმრა სულ უეცრად და მოთენილი,
ტერენტი იჯდა ჩემ პირისპირ, როგორც ნერტილი,
გრძელი საღამო მის ლექსებში უცებ გავლიე“.

„სევედის პოეტის“ ბუნდოვანთან მისტიური გამოცხადება (თუნდაც წარმოსახვითი, თუმცა ავტორი ლექსის ბოლო სტრიქონში „რეალურად“ გვიბუჯითებს და ჩვენ არ გვა-ქვს უფლება, არ დავუფეროთ) სულაც არაა შემთხვევითი: „ტერენტის ახსოვს, რაც მის საფლავს ვეფერ-ვუარე, მან კარგად ახსნა ყველა განცდა, რაც იქ ჩავტოვე, ყველა ის წლები, მასთან ერთად, განძად რაც ვპოვე...“

ტერენტისა და გალაკტიონის „პოეტური ქიშპის“ გაგრ-ძელება ლექსი „ერთ სტრიქონში“ რომელიც ინსპირირებუ-ლია მამუკა ხაზარაძის მცირე ლექსით, სადაც იგი „გალას ერთ სტრიქონში, გაუცვლილი მთელ ჩემს ბიზნესს“ ამბობს. ბუნდოვანის ლექსში შექმნილია გალაკტიონის „ლურჯის ცხენებს შემომგდარი, მეფე დღესაც იბადება!..“, „მისი სულის რომანსური ამ სტრიქონში ლანდდ ჩავდე!“ და თავად, მამუკა ხაზარაძეც, როგორც გალაკტიონის შემოქმედების მოთაყ-ვანე, მაგრამ ბოლო სტროფი უეცრად გადასწევს ფარდას და ტერენტის ხატებას მოულოდნელად გამოაჩენს, რითაც გალაკტიონისა და გრანელს, ასევე მათ „მომხრებებს“ შორის „პოეტური პოლარიზაციისა“ და მარადიული პაექრობის სიმწვავეს ესმება ხაზი:

„შო, შენ „გალას ერთ სტრიქონში
გაუცვლიდი მთელს შენს ბიზნესს“...
მე კი გრანელს - ერთ სუნთქვაში
მთელი ჩემი ყოფნის მიზნს!“ („რეტროსპექტივა“)

მეტად სევდიანია ლექსი „მამაჩემი რომ ცოცხალი ყო-ფილიყო...“, სადაც მამის, თავადაც პოეტის, ბატონი რევაზ უჩინოს რეალისტური პორტრეტია მოცემული (რომელ-იც გალაკტიონის „სასაფლაოში“-ს შედევრად აღიარებდა და რომელსაც ასევე ერთი შესანიშნავი ლექსი მოეპოვება ტერენტი გრანელზე), სადაც პირუთვნელადაა აღწერილი მისი ცხოვრების გზა, ხასიათი, ახირებები თუ ამოჩემება-ნი, სერიოზული ხელსაქმობანი თუ „ჩხირკედელაობანი“, დამოკიდებულებები გარესამყაროსთან, ადამიანებთან და ის, რომ მისი ეს ქცევები სულაც არ იყო შეხმატკბილებული, განსაკუთრებით კი ოჯახის წევრებთან. მრავლისმთქმე-ლია, სტრიქონი „მამაჩემი რომ დღეს ცოცხალი ყოფილი-ყო, შეიძლება მე აღარ ვყოფილიყავი ცოცხალი, რადგანაც ძალიან გვიჭირდა ერთ სივრცეში თანაარსებობა...“ და იგი უფრო ნებისმიერ მშობელსა და შეილს შორის გარკვეული ოდენობით ტოქსიკურ ურთიერთობებს გულისხმობს, რაც მშობლის სიცოცხლეში აუტანლობად გვესახება, მაგრამ შემდეგ ძალიანაც რომ მოგვანატრებს თავს. და მაინც, ლე-ქსი უდიდესი სიყვარულითაა გამსჭვალული მამის მიმართ. მკითხველი კრებულში ნაიკითხავს ლექსს „სანიტრის მანიქესტი“, რომლითაც პოეტი საკუთარ კრედოს წარ-მოგვიჩენს:

„პოეტის სული სამურაივითაა...
თავად თუ გაიკეთებს ჰარაკირს, მხოლოდ!
ის ტყვედ არასოდეს ჩაბარდება!...
ის არასოდეს იქცევა მონად!
ის ვერავის დაემქვემდებარება!
ის არაორგანულია და უფორმო!
ის თავს იცავს ამით!
ეს მისი და ზღვევაა
განადგურებისაგან!
ხოლო პოეზია კი უკვდავება!
ისაა ლმერთიც და ფერდიც
ადამის...
ის თავად მე ვარ!..
და ეს ჩემი ბოლო მანიქესტია!“ („მე ვზივარ დენიზე“)

ბუნდოვანის ლექსებში ბერძნულ-ლათინური წარმო-შობის სიტყვებთან ხშირად გამოყენებული «Φ» შინაგანი არტიკლიზმის, პოეტური მანერის, აგრეთვე მისი შემცვე-ლი სიტყვების რომანტიზების, ერთგვარი „გაუცხოების“ გამოხატულებაა, რაც ქმნის და ამავედროულად მეტადაც უხდება მის პოეტურ შარმს.

მოკლედ, ჩვენს წინაშეა თანამედროვე პოეტი, რომელიც უარს არ ამბობს ბობოქრობაზე, რომელიც არის მედიუმი 90-იანი წლების პოეტურ სამყაროსა და ჩვენს შორის, რო-მელიც კატეგორიულად, მთელი არსებით ეწინააღმდეგება მამაბებულ პოეზებს ყოფით ურთიერთობებში თუ პოეზიაში და მარად მოფანყე სულია, რომელსაც მუდამ ეჩქარება. ეს ყველაფერი კი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იგი... მოდი, სჯობია პირველ პირშივე თავად პოეტმა თქვას:

„მე პოეზიის მატრიცას ვეძებ“.

ელენე ყოლბაია

ხელოვანი თავისი მსოფლალქმით ყოფიერების სიცოცხლისმიერ საწყისებს სწვდება და ფორმაში გამოხატავს. ამ უსასრულო რეალობის ქვერეკით ის საკუთარ თავში აცოცხლებს სამყაროში ჩადებულ შემოქმედებით იდეას, ალაღვენს გათიშულ ჰარმონიას. ხელოვანი თითოეულ ადამიანში დავანებულ პირველქმნილ საიდუმლოს ეხმინება. ის შთაგვაგონებს, არაფრისგან შევექმნათ სიცოცხლე, ახალი არსებობა დროში, შემოქმედება ათავისუფლებს. მაშინაც კი, როცა ეს მშვენიერი სამყარო სიტყვაში, ბგერასა თუ ფერში ჰპოვებს გამოხატულებას, აერთიანებს ყველასა და ყველაფერში გაბნეულ შემოქმედებით საზრისს, ის მაინც დაფარული, ბოლომდე მიუწვდომელი რჩება. ალბათ შემოქმედებით ხედვაში გამოსავალი, სამყაროს სხვაგვარ აღქმაში. მსოფლიო ლიტერატურისთვის ეს თემა ყველაზე ფაქიზი, დრამატული და ღრმააზროვანია, არაერთი წინააღმდეგობითაა სავსე. თავად სამყარო შემოქმედებითადაა შექმნილი, „გვაქვს უთვალავი ფერითა“ (რუსთაველი) და მასში ხელოვნების მრავალგვარ გამოვლინებას ვხვდებით. ამ საერთო მსოფლგანცდას ატარებენ, მაგალითად, „მთვარე და ექვსუნაინი“ (სომერსეტ მოემი), „ალავერდობა“ (გურამ რჩეულიშვილი) და „ტრამალის მგელი“ (ჰერმან ჰესე).

თემატური განსხვავებულობის მიუხედავად, ტექსტები გვიჩვენებენ, თუ როგორ ცნობიერდება პერსონაჟთა სულში ყოფიერების არსი სხვა სივრცული ჰიპოსტასიდან. მათში მთელი სიმძაფრითაა აღწერილი შემოქმედებითი სიხარული თუ ტრაგიზმი, ადამიანური არსის გათავისუფლებისა თუ დანაწევრების პროცესი. მსგავსება და განსხვავება სამივე თხზულების პერსონაჟთა ბუნებასა და მიზნებს შორის დიდია.

„მთვარე და ექვსუნაინის“ მთავარი გმირი სტრიკლენდი სხვაგვარი, თვითმყოფადი ხედვით დაჯილდოებული მხატვარია. ის ყველასთვის მოულოდნელად განიცდის შემოქმედებით მეტამორფოზას. უბრალო ბირჟის მაკლერი გარდაიქმნება ხელოვანად, რომელსაც „თითქოს სამყაროს სული შეეცნო და იძულებული იყო, აუცილებლად გამოეხატა იგი“. ის ოცნების თვალთ დაინახულსა და აღქმულს აცოცხლებს, გაურბის „ყალბი პათოსის სამოსელში“ გახვეულ საზოგადოებას, რომლისთვისაც ღირებულებათა სისტემა და ხელოვნება მხოლოდ ზედაპირული, მოჩვენებითი მოცემულობაა, დაცლილი ჭეშმარიტი იდეალებისგან. მსგავსად ამისა, „ტრამალის მგელი“ მხოლოდ მატერიალურ კმაყოფილებაზე დამყარებული საზოგადოება, „ბიურგერული“ ყოფა არ აკმაყოფილებს მთავარ პერსონაჟს – ჰარის და იდუმალ მარტოსულობას განიცდის. მიუხედავად ამისა, ჰალერი ვერ მალდება საკუთარ ამბივალენტურ, გაორებულ ბუნებაზე, ვერ ახერხებს „ნახევარ-ნახევრისეული“ ყოფისგან გათავისუფლებას და მარადისობასთან შერწყმის დაუოკებელ

სურვილსაც ვერ ისრულებს. მგლურ და ადამიანურ საწყისს შორის მიმდინარე დაპირისპირება სულსა და ინსტინქტს შორის ჭიდილის ალეგორიაა, თუმცა ყველაფერი ასე მარტივად არ არის. ბიბლიურ „ენციკლოპედიაში“ სწორედ მგელია „უსასტიკესი მტერი მცხოვართა“ და ეს ველური, დაუნდობელი არსება ჰარში ვერ უახლოვდება „მოჩვენებითი ხილულობის მიღმა მდებარე სამეფოს“, იმ უსასრულოდ გაშლილ გზას, რომლისკენაც მივყავართ „ყოველ კეთილ საქმეს, გაბედულ აზრსა და სიყვარულს“. ტრამალის მგელი ვერ ასხვავებს სინამდვილესა და წარმოსახვას, ილუზიასა და რეალობას. ჩვენ სწორედ ამ ამბივალენტური მდგომარეობის აღწერით ვიგებთ, რომ სინამდვილეში ნებისმიერი „მე“ უამრავ ფორმაში გაბნეული, მრავალსახოვანი სამყაროა და თვითშემეცნება „ხილული

ბული სიცოცხლისუნარიანობა, შემოქმედებითი ენერჯია ფუჭად, უაზროდ იკარგება. მისთვის „ვენების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულთ ტკობაში“, თვითგადარჩენის ერთადერთი გზა სულის სიღრმეში ჩადებული შემოქმედებითი ინსტინქტის ამოქმედებაა. ის ამ ირაციონალურ საწყისს უახლოვდება, „მარტოდ ყოფნის ნირვანაში გარინდებული“ უბრუნდება შემქმნელს, პოულობს საკუთარ ხმას, საკუთარ მეს. „ის წამით დაუბრუნდა პირველ შემქმნელს, ამრიგად მასსავით, დაილაპარაკა მისი ენით და აღივსო სურვილით საკუთარი სიტყვებით მიემართა მისთვის“. მასში აღდგება სივრცე, რომელიც მხოლოდ ინტუიციითა და გრძნობის თვალთ აღიქმება.

ამას ახერხებს მოემის პერსონაჟიც, ფიზიკურად ბრმა სტრიკლენდი რეალობაში ნაპოვნი ზემთაგონებით იმეორებს შესა-

ბის ორი ნაწილი იმიტომ არსებობს, რომ თავად გააკეთო მათ შორის არჩევანი. პაბლოს მოცარტად გარდასახვაც ამაზე მიუთითებს, მათ შორის განსხვავებაც პიროვნების აღქმაშია, მხოლოდ სწორ ხედვაშია გამოსავალი. ჰარიმ უნდა დააფასოს, რომ ურთიერთსაპირისპირო, კომპლექსურ რეალობაში ვლინდება საკუთარი იდენტობა, სიყვარულით უნდა მიიღოს თავისი თავიც და სინამდვილაც, როგორც დანტე წერდა „ლეთაებრივ კომედიაში“, ადამიანი სასუფეველში ბეატრიჩითი – სიყვარულის ძალით უნდა შევიდეს.

ჰარის განაჩენი მარადიული ცხოვრებით ტანჯვაა, საკუთარი ცხოვრების ამოების უსასრულო განცდა, რათა ისწავლოს სიცილი. იუმორი ჰესესთვის ხილია. ესაა ადამიანის მსოფლალქმა, მისი უნარი, დაინახოს აზრი ყველაფერში, რაც კი არსებობს,

გამოვლინების მიღმა“ დამალული უხილავი ნაწილების შეერთებით მიიღწევა. ჰარი გაურბის საკუთარ თავს „გრძნობს, რომ შესაძლოა დაუდგეს საკუთარ თავთან შეხვედრის წამი... მაგრამ თან ამისა ეშინია, როგორც სიკვდილთან შეყრისა“. ამიტომაცაა ჰარი ტრაგიკული, სასონარკვეთილი პერსონაჟი. ტრამალი მისთვის იდუმალ სივრცეთა მიმოხილვის, სულის ჩაღრმავების ადგილია, თუმცა მისი პიროვნული არსებობა, ნოვალისის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ცნობიერის ოკეანეში ცურვისას“ იხლიჩება.

ჰესესგან განსხვავებით, ქართული მწერლობა სხვა ლიტერატურული სივრცეა. მსგავსი საკითხები ქართველ მწერლებთან განსხვავებული მსოფლმხედველობრივი სიღრმით იშლება. საინტერესოა ნანყვეტი ანა ალანდაძის ერთ-ერთი ლექსიდან:

„დუმს მკვდარ დუმილით ველი ქვეული... და იშვიათად, ველებზე გავლით, მეზობელ სოფლად გადავა მგ ზაგრი... და როცა გუგუნს მოისმენს ზართა, გამოდის მგელი და მარხილს ელის განწირულ მგ ზაგრთა...“

არ ვლენან გ ზადა: იციან მგ ზაგრთა, რომ მგლისა არის ველი ვრცეული“.

ეს შემეცნებითი სივრცე ინვესტიურად იხსნება გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში „ალავერდობა“. მისი პერსონაჟისთვის „უსასრულო სიღრმიდან მომავალი უმანძილო მინდორი“ შემოქმედებითი იმპულსის მომცემია. გურამისთვის მძიმეა „უმუსიკოდ დარჩენილი, უსაქმურობისა და ხანმოკლე შფოთის ადგილად ქვეული“ ალავერდობის დღესასწაულის ხილვა. ეს უბრალო ინერციაა, საზრისდაკარგული ლხინი „უმინი, დაუოკებელ ვნებასთან შეზრდილი“. ის აცნობიერებს, რომ ყველა ადამიანში არსე-

ქმისეულ მისტერიას. აცოცხლებს იდეას „მანადე არსებულს, ვიდრე კეთილი და ბოროტი განდებოდა ამქვეყნად“. მის ნახტომი გამოვლინდა სამყაროს უკიდვანობა და დროის მიღმა არსებული უსასრულობა, „თითქოს მხატვარი ქვეყნის შექმნას დასრულები“. მან სიცოცხლე სიცოცხლით შეიმეცნა, საკუთარი არსი დაიბრუნა. იმ სივრცეს მისწვდა, რომელიც ჰესესეულად „მაგიურად“ შეიმეცნება, რომელშიც დაძლეულია წინააღმდეგობა შინაგანსა და გარეგანს შორის. ტრამალის მგელის მიზანი არა საკუთარი თავის შევიწროება, არამედ მისი გაფართოება იყო, გარდაქმნისე, რომ „მეს“ თითოეული ნაწილის შემეცნებით საკუთარი თავის ერთიანობა აღექვა. „ის მონათველებულია, მთელი სამყარო სულში ჩაიტოს, რომ ოდესმე გზის დასასრულს სიმშვიდე მოიპოვოს“. ამ სიმშვიდის მოპოვება ვერ მოახერხა ჰარიმ, მას საკუთარი არსებობა სტანჯავდა, საკუთარი თავი სძულდა. „რაკილა მოველინე ქვეყანას, ამით უკვე ჩაიდინე დანაშაული“. ის „უკვდავთა დასთან“ შეერთებას ესწრაფოდა, თუმცა ვერ განასხვავებდა რეალურსა და წარმოსახულს, ვერ ხსნიდა თავის სამყაროს. ს. მოემის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს ნიშნავს, ხელს ინვადიდ მთავარისკენ და შენს ფერხითი დაგდებულ ექვსუნაინს ვერ ამჩნევდე“. ჰარიმ მოისმინა მოცარტიც და ჯაზიც, ისწავლა ცეკვაც და ბიურგერული გასართობებიც, პაბლოს „მაგიურ თეატრში“ შეაგროვა უამრავ „მე“-დ დაშლილი არსებობის ყოველი ნატეხიც, მაგრამ მათი შეერთება ვერ მოახერხა, რადგან მოკლა საყვარელ ქალად თუ ბავშვობის მეგობრად გარდასახული საკუთარი ალტერ ეგო-ჰერმინე. მან ვერ გაიაზრა, რომ ორი დაპირისპირებული მხარე, ერთი არსებო-

„მთვარე და ექვსუნაინის“ „ალავერდობის“ მსგავსად „უნიჭო მოჩვენებებად“ ქვეულ ხალხში, ნებისმიერ წამიერ შთაბეჭდილებაში, რომ სიძულვილმა არ მიგვიყვანოს საკუთარი თავის უარყოფამდე. თუმცა თვალის ახელის პროცესი მტკივნეული და ხანგრძლივია, წინააღმდეგობებითაა სავსე. როგორც გურამ დოჩანაშვილი წერდა „ბრმადყოფილში“, „სამ-ბურლით მტკივნეულად“ ეხილება თვალები, იხსნება სხვაგვარი ხედვა „მინამ სრულიად უგრძნობ თვალებში“. შემოქმედებითი მსოფლალქმა სხვაგვარი არსებობის ჭვრეტის უნარია. ეს ადამიანის გათავისუფლების, ხსნის გზაა, ზოგისთვის სიმშვიდის მოპოვებელი, სხვისთვის მიუწვდომელი და ტრაგიკული. ის თავად უნდა აღმოაჩინოს საკუთარ თავში. ამიტომაც გრძნობს „ალავერდობის“ პერსონაჟი თავის „უაზრო, გაუმიზნავ, უნაყოფო“ სურვილის არსს, გააცოცხლოს ხალხში შემოქმედებითი საწყისი. ალბათ, ამიტომაცაა სტრიკლენდის უკანასკნელი სურვილი, დაინვას მისი ბოლო ნამუშევარი, ალბათ, ამიტომ იწირება ჰარიც.

ამრიგად, შემოქმედება თვითშემეცნებაა, სიყვარულია, ყველას რომ ალავერდებს ცხოველმყოფელი ენერჯითი. ხელოვანი ახალი ფორმის მაძიებელი, ახალი ხედვის მატარებელია. შემოქმედება ტრაგიზმშიც არის და სიხარულიც, ყველა ადამიანური გრძნობის სინთეზია, ამამალელებელი ძალაა. ეს იმპულსი წარმართავს ადამიანის ცხოვრებას, თუმცა ამ ენერჯიას თავად ვმართავთ, თავად ვამოქმედებთ, ჩვენთვის მონიჭებული თავისუფალი ნებით. პიროვნება განსაზღვრავს, იქცევა ის ახლის შექმნის მიზეზად, თუ ყოფიერების გაუაზრებელ ფორმებში დაკარგავს საკუთარ თავს.




„არილის“ მე-4 ნომრის მთავარი პერსონაა თამარი ფხაკაძე, რომან „თურმელების“ ავტორი. თაკო წულაიასთან ინტერვიუში ის ბევრ რამეს ჰყვება, ბევრ რამეს განმარტავს, ბევრ რამეს გვიხსნის თავისი ახალი წიგნის შესახებ, რომელსაც

ავტორი ცხოვრების მთავარ წიგნად მიიჩნევს. აქვე შეგიძლიათ წაიკითხოთ თამარი ფხაკაძის მოთხრობა „ორნი“. გიორგი მაჭარაშვილის რეცენზია თამარი ფხაკაძის რომანზე „თურმელები“. ირაკლი ქასრაშვილის რეფლექსიები ამავე თემაზე. ნაირა გელაშვილის ლექსები დღიურის ჩანაწერებით; ლია სტურუას ლექსები; რეიჩელ კასკის მოთხრობა „დუბლიორი“ (ინგლისურიდან თარგმანა გური თევზაძემ); დავით მაზიაშვილის წერილი „სათადარიგო ჰამლეტი“ (შექსპირის პიესა და ბრიტანეთის პრინც ჰარის ავტობიოგრაფიული წიგნი); ელისაბედ გველესიანის „ტყის ჩეხა“ – რომანი გასაღებით“ (თომას ბერნჰარდის წიგნზე).



„არილის“ მე-5 ნომრის მთავარი თემა ყვანჩალას ნოტებით: გარყვნილი სიტყვა ქართულ ლიტერატურაში. ავტორი: ვალერი ოთხოზორია. ზურა ჯიშკარიანის ესეისტური ტრიპ-

ტიჟი „მწერლის ტოტალური მარცხი“. ალექო ცქიტიშვილის, თორნიკე საბაშვილისა და ნატალი დარასელიას ლექსები. პროზის რუბრიკით: ანი კილაძის „კატების ტყე“ და დათია ბადალაშვილის „ევა, ინვარა და იასამანი“. სტუმარი: ამერიკელი ელიფ ბატურმანი სტატიით „იმპერიის რომანები – რუსი კლასიკოსების გადაკითხვა უკრაინაში მიმდინარე ომის კვალდაკვალ“ (თარგმანა და შესავალი წერილი დაუერთო თინათინ ხომერიკმა). დაბოლოს, ინტერვიუ ბესიკ ხარანაულთან. ესაუბრა მელანო კობახიძე.



ფურნალ „ცისკრის“ ახალი ნომერი მკითხველებს სთავაზობს მიშო გაბუნიას და ეთერ სადალაშვილის ლექსებს; გიორგი სოსიას შვილისა და საბა

ქვათაძის მოთხრობებს; თამარ გელიტაშვილის სტატიაზე ბექა ახალიას ლექსზე „პენსიის დღე“, მანანა ყოფიანის სამეცნიერო ესეს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე. თარგმანების განყოფილებაში გამოქვეყნებულია კანადელი პოეტი გარნერის მოთხრობა „მამა“ და ბრიტანელი პროზაიკოსისა და დრამატურგის, საკის (ჰექტორ ჰიუ მანროუს) ნოველა „მისის პეკლ-ტაიდის ვეფხვი“. ორივე ნაწარმოები ინგლისურიდან თარგმნა ზურაბ სონღულაშვილმა.

თენგიზ პაჭკორია

სიკვლევის პინდია



კალისტრატე სამუშია სტუდენტობის დროს

კალისტრატე სამუშიამ გადაარჩინა ფოლკლორის უნიკალური მარგალიტები. ღვაწლმოსილი მეცნიერი და ფოლკლორისტი, ქართული ეროვნული კულტურის მოამაგე კალისტრატე სამუშია ოქროს ასობით შევიდა ქართული კულტურის, ენათმეცნიერებისა და ხალხური პოეზიის მკვლევართა სიაში. მან მთელი ცხოვრება მიუძღვნა კოლხური (მეგრული) ხალხური სიტყვიერების შეკრებას, კვლევას, სისტემატიზაციას. შესწავლილი უნიკალური მასალები 1971 წლიდან 2001 წლამდე გამოაქვეყნა შვიდ წიგნში. კ. სამუშიას მოღვაწეობა ცნობილია მეცნიერებისთვის, მუზეუმმცოდნეობისთვის, ხალხური პოეზიის მოყვარულთათვის, თუმცა მას ნაკლებად იცნობს დღევანდელი საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ამიტომაც გადავწყვიტე ამ სტატიის მომზადება.

კალისტრატე სამუშია დაიბადა 1917 წლის 12 სექტემბერს ზუგდიდის მაზრის სოფელ პალურში (ამჟამად ეს სოფელი ნალენჯიხის მუნიციპალიტეტს მიეკუთვნება), სადაც მიიღო დანერგვითი განათლება, საშუალო სკოლა დაამთავრა მიმდებარე სოფელ ლიაში (1937). სწავლა განაგრძო თბილისში, სადაც წარჩინებით დაასრულა პედაგოგიური ინსტიტუტი (1940) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1945). სტუდენტობის წლები მძიმე ჰქონდა – მამის გარდაცვალება, ომი, შიმშილი, ამიტომ კალისტრატე მატერიალური პირობების გაუმჯობესების მიზნით არდადეგების დროს მუშაობდა სვანეთის ტყე-მრეწვეში, წიაღისეული სიმდიდრის საძიებო ექსპედიციებში. იმ დროს ფეხით შემოიარა ასეულობით სოფელი სამეგრელოში, მოსახლეობაში აგროვებდა მეგრულ ლექსებს, მითებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, სიმღერებს, ახდენდა მათ სისტემატიზაციას.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ზუგდიდის პედაგოგიურ ინსტიტუტში (დაიხურა 1954 წელს საბჭოთა მთავრობის განკარგულებით), სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გულრიფშის და ზუგდიდის რაიონების საშუალო სკოლებში, საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგედ და დირექტორად, 1961 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის უფროსი მეცნიერი-მუშაკი და განყოფილების გამგე, 1990-იან წლებში მითოლოგიის ასპექტებზე და ქართული ხალხური ზეპირმეტყველების ისტორიის ლექციებს კითხულობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალში, ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში, იყო ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორი. კალისტრატე სამუშია მისი აქტიური სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი ღვაწლისთვის დაჯილდოვდა

„ღირსების ორდენით“. კალისტრატე სამუშია გარდაიცვალა 2002 წელს. დაკრძალულია ზუგდიდის პანთეონში.

კალისტრატეს წიგნები. პირველი მისი წიგნი „ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები)“ – გამოვიდა თბილისში 1971 წელს (გამომცემლობა „მეცნიერება“), რამდენიმე კვირაში გაიყიდა და იმავდროულად გახდა ბიბლიოგრაფიული იმედი, რადგან წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში. ამის შესახებ დაინერა პრესაშიც. 1972 წლის 18 მარტს გაზეთ „კომუნისტი“ და 1972 წლის 7 იანვარს სოხუმში გამოვიდა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ (1991-1993 წწ გამოდიოდა სახელწოდებით „აფხაზეთის ხმა“). იმ ეპოქაში დაფარულად ხდებოდა საზოგადოების ყურადღების მიქცევა ეროვნულ საქმეზე და ქართული ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრებასა და შესწავლაზე. კალისტრატემ ერთ-ერთმა პირველმა გადადგა ეს ნაბიჯი და დღის სინათლეზე გამოიტანა მეტად საჭირობო საკითხები.



მარცხნივ - რუსუდან სამუშია, კალისტრატე სამუშია და გული ქვარია (კალისტრატეს დისშვილი-თითო ლაბადი), ზუგდიდი, 1966 წელი

კალისტრატე აგრძელებდა შემოქმედებას და 1979 წელს თბილისში გამოვიდა მისი მეორე წიგნი „ქართული ხალხური პოეზიის საკითხები (მეგრული ნიმუშების მიხედვით)“, რომლის გამოსვლას ელოდებოდნენ ხალხური პოეზიის სპეციალისტები და დამფასებლები. საბჭოთა კავშირში ასეთი ხასიათის წიგნების გამოცემა მნიშვნელოვნად რთული იყო. 1990 წელს საქართველოს დედაქალაქში გამოვიდა კ. სამუშიას ახალი წიგნი „ქართული ზეპირსიტყვიერება“. 1991 წლიდან საქართველო განიცდიდა ძალიან რთულ პერიოდს, კალისტრატე მძიმე სოციალ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებში (1992-2000 წწ) აგრძელებდა შემოქმედებით კვლევებს.

1997 წელს ზუგდიდში გამოვიდა მისი მორიგი წიგნი „ლეხერა“, შემდგომი წიგნები კვლავ თბილისში გამოვიდა 999 წელს. კ. სამუშიას საიუბილეო კრებული, რომელიც მიეძღვნა მის 80 წლის იუბილს, 2001 წელს მისი მოთხრობები „კოლხის ნაფუძარზე“ და 2001 წელს „ძველი კოლხური (მეგრული) ლექს-სიმღერები“.

მან დაღუპვას გადაარჩინა ბევრი უნიკალური ექსპონატი, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, რომელიც მოათავსა ზუგდიდის მუზეუმში. ამ მუზეუმის ექსპონატების და მუზეუმის შენობის გადარჩენის და განვითარების საქმეში 1960-70-იან წლებში ჩართო ცნობილი მწერლები, პოეტები, მეცნიერები, მათ შორის კონსტანტინე გამსახურდია და იოსებ მეგრელიძე.

სოხუმი, 1972 წელი, დასავლური რადიოსადგურები და კალისტრატე. სოხუმში ცხოვრების დროს ჩემი ოჯახი მეგრულად კალისტრატეს უფროს ქალიშვილთან რუსუდან სამუშიასთან, რომელიც ზუგდიდში სკოლის დასრულების შემდეგ (1966) საცხოვრებლად გადავიდა სოხუმში. დაასრულა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, შემდეგ კი მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში, 1980-იან წლებში – სოხუმის ნეიროქირურგიის ცენტრში. რუსუდანი მეუღლესთან (ემირ პაჭკორიასთან) და შვილებთან ერთად (კახა და მაკა) სოხუმში ერთ ქუჩაზე ცხოვრობდით 1993 წლამდე.

კალისტრატე სამუშიაზე ბავშვობაში ბევრი მსმენია არამარტო რუსუდანიდან, არამედ უცხოური რადიოსადგურების გაცემებიდანაც. 1971 წლის ბოლოს მამაჩემმა ბოჩია პაჭკორიამ (დაიღუპა 1993 წლის 20 თებერვალს სოხუმში რუსეთის მოიერიშე თვითმფრინავის მიერ ჩვენი საცხოვრებელი

უბნის დაბომბვის შედეგად) მომიტანა კალისტრატეს პირველი წიგნი, ცოტა ხანში კი ინფორმაცია ამ წიგნზე დაიბეჭდა არამარტო სოხუმისა და თბილისის გაზეთებში, არამედ გადაიცა „ამერიკის ხმის“ და რადიო „თავისუფლების“ ქართული სამსახურების მიერ.

1977 წელი, ზუგდიდი. ჩემი პირველი შეხვედრა კალისტრატე სამუშიასთან 1977 წლის ივლისში ზუგდიდში შედგა. სოხუმში მე-17 საშუალო სკოლის დასრულებისთანავე (1976) მისაღები გამოცდები ჩავაბარე დონეცკის უნივერსიტეტის (უკრაინა) ისტორიის ფაკულტეტზე. პირველი კურსის დასრულების შემდეგ ყველა სტუდენტს უნდა გაეყოლო სამკვირიანი პრაქტიკა ისტორიის ერთ-ერთ მუზეუმში სსრკ-ის ნებისმიერ ქალაქში. ზოგმა აირჩია უკრაინა, ზოგმა – რუსეთის. მე კი პრაქტიკა გავიარე ზუგდიდის მუზეუმში, რომლის მუშაობა მაინტერესებდა ბევრი მიზეზის გამო. იმ დროს გავიცანი ბატონი კალისტრატე. ყოველდღე ვსაუბრობდით სხვადასხვა თემაზე – სამუზეუმო პრაქტიკის საკითხებზე, ექსპონატების ისტორიაზე და საქართველოში, სსრკ-სა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. 17 წლის ვიყავი და რამდენიმე საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ ის თავისი ბუნებით, მსოფლმხედველობით ახლოს იყო დისიდენტებთან, თუმცა იყო ფრთხილი და ღიად არასდროს ამუღავნებდა პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიას. როცა ვუთხარი, რომ 1972 წლის დასაწყისში დასავლური რადიოსადგურებით მოვისმინე ინფორმაციები მისი წიგნისა და მოღვაწეობის შესახებ, პაუზის შემდეგ გამიღმა და მითხრა: ახლა მუზეუმში ვართ, საღამოს ვისაუბროთ სუფთა ჰაერზე.



კ.სამუშია და ციალა დარასელია (მეუღლე)

ასეც მოხდა. მითხრა, რომ უნდა ვყოფილიყავი ფრთხილი ადამიანებთან პოლიტიკაზე და ისტორიის საკითხებზე საუბრის დროს. „თეგო, უცნობ ადამიანებთან მოერიდე საუბარს პოლიტიკურ თემაზე, ვინ იცის, როგორ გადასცემენ შენს სიტყვებს სხვას, ჯერ ახალგაზრდა ხარ, ისწავლე, დაასრულე უნივერსიტეტი, მერე ცხოვრება გაჩვენებს“. – მითხრა კალისტრატემ. მეუბნებოდა, რომ: „ბევრი უსმენს დასავლური რადიოსადგურებს, მაგრამ ჯობია არ თქვა ეს „უცნობ ნაცნობებთან“-ო.

იცოდა რა ჩემი ინტერესი სპორტის მიმართ, მეუბნებოდა: „სპორტი ქართველებისთვის ჩვენი სამშობლოს იდენტობის ნიშანია, სანამ საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია, სპორტი თვითნარმოჩენის და წარმატების უდიდესი არეალია, იმუშავე ამ თემაზე, წერე სტატიები, აუხსენი ხალხს სპორტის მნიშვნელობა საქართველოსთვის“.

ბატონმა კალისტრატემ 1977 წლის ივლისში მიაშპო თავის შეხვედრებზე კონსტანტინე გამსახურდიასთან კოლხურ კოშკში. „ბატონ კონსტანტინეს ვიცნობდი 1940-იანი წლებიდან, მასთან შეხვედრები საჭირო გახდა ზუგდიდის მუზეუმის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი საკითხების მოგვარებისთვის, მას უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა, მისი „ზემოთ“ ზარების შემდეგ ეს საკითხები სწრაფად მოგვარდა“. – მითხრა კალისტრატემ.


შემდგომში რამდენიმეჯერ შეხვდი ზუგდიდში კალისტრატეს, მათ შორის 1994-1995 წლებში. ის განიცდიდა საქართველოში არსებულ მძიმე სიტუაციას, თუმცა ამბობდა, რომ აუცილებლად მოვა საქართველოს გაერთიანებისა და აღორძინების დრო.

კალისტრატე სამუშია – კოლხური სიძველეების მინდია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, მწერალმა ტიტე მოსიამ 2012 წელს თბილისში გამოსცა წიგნი „კოლხური სიძველეების მინდია“, რომელიც მიეძღვნა კალისტრატე სამუშიას ცხოვრებას. წიგნის რედაქტორია პროფე-

სორი გონელი არახამია, რეცენზენტები: ნათია ჯგუშია და ზურაბ ცხონდია. ზუგდიდის რაიონში დაბადებული და გაზრდილი ტ. მოსია იცნობდა კ. სამუშიას 1970-იანი წლებიდან ტიტეს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობის დროიდან. წიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ „კალისტრატე სამუშიას სამართლიანად უწოდებდნენ კოლხური სიძველეების მინდიას“. „მისი მზრუნველობით გარდაუვალ დაღუპვას გადაურჩა ასეულობით უნიკალური ექსპონატი. ამ დაუშრეტელი ენერჯის მქონე კაცის მიერ მოძიებული წარსულის მატერიალური და სულიერი კულტურის ფასდაუდებელი ძეგლები სამუდამოდ იმკვიდრებს ადგილს ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებსა და ექსპონატიონში, კალისტრატე სამუშია ხალხის ნიალიდან აგროვებდა ლექსებს, მითებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, ვინ იცის, ზეპირსიტყვიერების რამდენი ნიმუში გამოსტაცა გაქრობა – დავიწყებას და შეკრებილი მასალები დართული გამოკვლევებით გამოსცა წიგნები“. – წერს ტიტე მოსია.

კალისტრატეს შვილი ჯუანშერი – სსრკ ნაკრების წევრი ავტობოლაში. კალისტრატეს მეუღლე, ციალა დარასელია (1926-2018) იყო საქართველოს დამსახურებული ექიმი, თბილისში სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთელი ცხოვრება მუშაობდა ექიმად ზუგდიდში. კალისტრატემ და ციალამ ოჯახი 1948 წელს შექმნეს. უფროს ქალიშვილზე რუსუდან სამუშიაზე მოგიყვით, უმცროსი ქალიშვილი მარინა, პროფესიით ექიმა. ცხოვრობს და მუშაობს პეტერბურგში.

კალისტრატეს ვაჟმა, ჯუანშერ სამუშიამ (1954-1984) ლენინგრადში დაამთავრა სატყეო აკადემია და ასპირანტურა, იყო წარმატებული ავტობოლა, სსრკ სპორტის ოსტატი, რამდენიმე საკავშირო და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი, 1979-1983 წწ ლენინგრადის და სსრკ ნაკრების წევრი. 1983 წლის ივლისში ლიეტუვაში (ქ. პულნგესთან ახლოს) საკავშირო პირველობის დროს მოხდა ავარიის, მიიღო ქალა-ტვინის უმძიმესი ტრავმები, მკურნალობდა მოსკოვში და სოხუმში, 11 თვე უგონოდ იყო, გარდაიცვალა 1984 წლის მაისში. დაკრძალულია ზუგდიდის პანთეონში.



კ.სამუშია თანაკურსელებთან და კოლეგებთან, 1950-იანი წლები

შეხვედრა რუსუდან სამუშიასთან. ამ დღეებში შეხვდი საქართველოში ჩამოსულ რუსუდან სამუშიას. მან მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, მათ შორის, მეცნიერებს და პედაგოგებს, ვინც დააფასა კ. სამუშია. „განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა პროფესორ ტიტე მოსიას, რომელმაც წიგნი მიუძღვნა კალისტრატეს მოღვაწეობას. მადლობა ჟურნალ „ვეროსის“ მთავარ რედაქტორს ნათია ჯგუშიას, მან 2012 წელს ინტერვიუ ჩაწერა ჩემთან მამაჩემის მოღვაწეობაზე“. – თქვა რუსუდანმა და მაცნობა, რომ მომავალში თავისი ქალიშვილის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, პეტერბურგის სამედიცინო უნივერსიტეტის დოცენტის, მაკა პაჭკორიას მხარდაჭერით თბილისში აპირებს კრებულის გამოშვებას, რომელშიც შევა ყველა მნიშვნელოვანი მასალა კალისტრატეს შემოქმედებიდან.



ზუგდიდი, კ.სამუშია თბილისელ სტუმრებთან, 1960-იანი წლები

ბიზო ზარნაძე

„საუბრის დასასრულს ამხ. სტალინი ეკითხება სტუმარს:

– ბატონო მესინგ, თქვენ შეძლებთ სამეცნიერო კვლევების გარეშე კრემლიდან გაღწევას?

– რა პრობლემაა, ჰერ სტალინი!

– მაშ, დატოვებთ, გეთაყვა, საშვები და მომავალ შეხვედრამდე! წარმატებები!

– ინებეთ!

როგორც კი მესინგი მისაღებიდან გავიდა, პოსკრებიშვიმა საკონტროლო გამშვებ პუნქტში დარეკა: გასვლისას უკლებლივ ყველას დაატოვებინეთ საშვები, პოლიტიბუროს წევრების გარდა!

დღის ბოლოს, შემონებისას, მესინგის გვარზე გაზეთის უბრალო ნახევი იყო.

გაზეთებიდან

– კი, კი, ნამდვილად ორჯერ ვარ დაბადებული!

პირველად, როგორც მწერალთა კავშირის ცნობარშიც წერია, 1934 წლის სამ მაისს დაგვადებულვარ, ხოლო მეორედ – 1976 წლის 1-ელ იანვარს. ეს ნამდვილად მახსოვს.

ისე, რომ იცოდეთ, მეც და მაშინდელი ათას ცხრაას სამოცდა მეთხუთმეტე წელიწადი, კინაღამ, ერთდროულად ვლაფავდით სულს! აბა, სანამდე გავძლებ ასე უჭმელ-უსმელი?! ცხრაამეტი დეკემბრიდან მოყოლებული, კუჭში არაფერი ჩამსვლია! ვერ ვჭამ ვერაფერს, მადა მთლიანად ნამერთვა. წყალი რომ წყალია, იმასაც აგერ-აგერ, ყლუპ-ყლუპით ძლივს ვსვამ...

ყარამან ყანთელი არც აქამდე ვყოფილვარ, მაგრამ, ახლა რომ ნამომავენა, ალბათ, ლანდი გამდის ფერდებში.

ღია გულს მიკეთებს, – გახდომას, პირიქით, ნატრულობენო! ხომ თბილისელია, მაგრამ, წარმოშობით მაინც იმერელია: – კი არ ნატრობენ, ნატრულობენო!

მეც ვცაადე, ხურდა დამებრუნებინა, – გახდომას დევები ნატრობენ, ჩემნაირი ჩხინკორა ჭინკები კი არა-მეთქი!

შევატყუე, ესამოვნა, ადეკვატურად რომ გავეპასუხე; იმედი მიეცა, საჩვენოსაო!

ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ, მიწერია, ვითომ, ფეხზე დადგომა?

როგორც ამის ალბათი ბიძაშვილი – ქუცი გურამი იტყოდა, „სასტაულია“ პირდაპირ: ტკივილით არაფერი მტკივა, არა წნევა, არა გული, არა ხველა! ჭამა – უკაცრავად, ნამცვესაც ვერა!

მიხაილ ზოშჩენკოს ქვრივის, ვერა კირბიცის მონაყოლი მახსენდება მწერალ ანდრეი ბიტოვსა და თქვენს მონა-მორჩილს რომ გვესაუბრებოდა სახელგანთქმულ მწერალზე, – ვის აღარ ვაჩვენებთ მიშა! ისიც კი მოვახერხებთ, თვით აკადემიკოსი ვინოგრაფი მოვიხელთეთ, დროგამოშვებით ბელადს რომ მკურნალობდა!

დაზუსტებით ვერ მოგახსენებთ, კონკრეტულად რა სჭირს, ყველა სასიცოცხლო ორგანო ფუნქციონირებს და საკვებს რატომ არ იღებს, გაუგებარიაო!

მეც პარალელს ვავლებ რაღა! სად მიხაილ ზოშჩენკო და სად – მე! მეორეც: მიხაილ მიხაილოვიჩს შეეძლო ეჭამა, მაგრამ, პროტესტის ნიშნად არ ჭამდა! მე ჭამა არ შემიძლია, თორემ, ვინ მამაძალი! რა მეპროტესტება!..

საღამოს ათი საათი ხდება კედელზე. თუმცა, საღადა საღამო! ექვსზე უკვე ბნელდება.

ორჯერ დაკარგული (ბიოგრაფიული ნოველა ციკლიდან „მე მჯერა სასწაულებს!“)

დღისით ორჯერ გვყავდა „სასწრაფო“. ვერ ვიტყვი, რომ არ ცდილან, მაგრამ დიაგნოზს ვერ ადგენენ. მხოლოდ მხრებს იჩეჩავენ.

– ღმერთი სამობითაო და კიდევ ერთხელ ხომ არ გვეცადა? – ვკითხე ლიას, თავით რომ მეჯდა და, ვითომ, ისე, უბრალოდ, ჩაველო ჩემს მაჯაზე ხელი! სინამდვილეში, პულსს მისინჯავდა.

იმნამსვე გამოშვა ხელი და მუხლისთავებზე ხელეზღვრებოდა, ენერგიულად ნამოდგა; თურმე, თავადაც ჰქონია გუნებაში დარეკვა და მიფრთხილებოდა, არ იწერო ვიულოსო!..

ფაციფუცში ჩემი პალტო მოიხურა, ჩემსავე ფართოყელიან ბათინკებში სტუცა ფეხები და, ხომ გახსოვთ, გამწვანების კანტორა რომ დგას ეზოში, გეზი იქითკენ აიღო.

წელან ლიას შოკოლადის ფილაც გაუყოლებია ხელს, რაც უნდა იყოს, ახალი წელია კარზე მომდგარი და, ამას გარდა, ერთ დღეში რომ სასწრაფოს გამოსახებლად დაწესებულების ტელეფონს სამჯერ მოაცდენ, ნამუსი ხომ უნდა იქონიო!

ამჯერად უჩვეულოდ სწრაფად, ათიოდე წუთში მოგვადგა სირენების გაბმული ყმუილით სასწრაფო დახმარების მანქანა. ლიას სულაც არ უფარაუდია ასეთი ოპერატიულობა და, შესაბამისად, ოთახის სახელდახელოდ მონესრიგებით იყო დაკავებული – რაც კი ხელში მოხვდებოდა, ხილი თუ ტკბილეულობა, აკონსტრუქციებს სერვანტის გვერდით მდგარ მომცრო მაგიდას, მაგრამ ვინ აცალა! წინკარიდან ერთროულად გაისმა ფეხსაცმელების ბაკუნისა და ქალის ზარივით წკრიალა ხმა:

– С новым годом, хозяйва!

– Вв...ас также! – როგორც იქნა, ერთმანეთს გადააბა ეს ორი სიტყვა (ნაძალადევის რაიონში კი გაიხარდა, მაგრამ, რატომ ეძახიან „ნახალოვკას“, დღესაც ვერ ხვდებარ) და კარისკენ გაემართა.

კარი ენერგიულად შემოაღო და, თითქოს ოთახში შუქი ყოფილიყოს გამოთიშული, – შემოანათა ძალიან ცისფერფერა, ძალიან ცხვირპაჭუა და ძალიან პირმშვენიერმა „ბლონდინკამ“, რომელსაც მელიისაყელიანი რუხი ფერის ქურქი მკლავეზე გადაეკეცა და თეთრ, ქათქათა ხალათში გამოსკვანწული, ნამდვილად „სნეგუროკას“ ჰგავდა:

ყოველივე ის, რასაც ახლა მკითხველს ვუყვები, დაპაუზებული კადრებით ცნობიერებაში მერე აღვიდგინე, როცა „სეანსი“ დასრულდა, თორემ მაშინ, სნეგუროკა ექიმის მოსალმებაზე ძლივდევდით ამომილულ-ლულედა: Ссс нюиюиюм го...ддом...

მისულა ღია, ქურქი ჩამოურთმევია და საკიდარზე მიუჩნევია ადგილი.

სნეგუროკა, რატომღაც, გულმკერდ-მოღეღილი სამწყობრო ნაბიჯით მოსულა, დამდგომია თავს და მკვებედ უკითხავს: Молодой человек, почему вы так вяло приветствуете?

Громче не могу... Что у вас болит? Ничего не болит. Есть не могу. Таак. Совсем не можете?

Да. Совсем. Уж двенадцатый день. Милая хозяйка, –შებრუნებულა ლიასკენ, – кислая конфета, случайно, не найдется?

ღია, თურმე, ისე უაზროდ მომაჩერდა, ექიმი მიმხვდარა – რა მჟავედაც იყო ამ მხრივ საქმე.

Понятно. Лимон есть у вас? Да, лимон есть! – გახარებია, საშველი რომ გამოუჩნდა.

Отрежьте кусочек. Намочите кубиком. Для него? Шубльшვეკრით პასუსხად: Надо!

ბოლოს, მოზრდილა ტოლჩით შემთბარი, თავლიანი რძეც მოუთხოვია.

– ოღნავ გამოვრკვეულვარ. – Зачем это все?

– Как зачем? Чтоб выпить! – Мне?

– Нет, вашей бабушке! – Вы хотите, чтобы меня вырвало?

– Всю жизнь об этом мечтала! Делайте, что вам говорят! – მიბრძანა მკვებედ და უეცრად ვიგრძენი, რომ ჩვეულებრივად, ლოგიკურად ვაზროვნებდი.

მეორე საოცრება იყო ის, რომ, მართალია, ჩიქორთულად, მაგრამ მაინც გასაგებად წამოიწყო სნეგუროკამ რუსულ-ქართული ლაპარაკი.

– Как звать? ავადმყოფი სახელი? – გიზო ჰქვია, – გამოცოცხლდა ღია.

ბატონო გიზო! – ფრთხილად ჩამავლო მაჯაში ხელი, – Давайте, не ела, не ела, потихоньку, ჩამოჯდა საცოლზე. Присядьте на постель.

– Если смогу, კი ბატონო, – შევეცადე, დამეცვა სტილური თანაფარდობა.

– Ничего, მე მოეხმარა, – თქვა და ჯერ თითები მოიფშვინტა, ამონახუნთქი ჰაერის მიყოლებით, მერე მკლავე შემომხვია ნელზე და, როგორც იქნა, წამოვფექი.

– ბატონი, теперь ლიმონი ნაჩერი, – დაასაქმა ღიაც, აშკარად რომ ემჩნეოდა, არაფრად ეუბნებოდა მკლავის ნელზე შემოხვევა.

– პატივ...საცემო გიზო, послушайте меня внимательно:

სამი ტიტეტი აიგო ლიმონი ნაჩერი (თან მიჩვენებს, როგორ) და положите его на пупок. მაგას მეც ვუზამდი, მარა, у меня пока еще холодные пальцы.

ისეც გამეცვა თვალი ლიასკენ, რომელსაც ახლა უკვე ის სიამოვნებდა, სნეგუროკამ რომ „აკრძალული ზონა“ მოირიდა“ (კი მიხვდა, ლიასთან შედარებით, შალვა ვარ, ნუცუბიძე, მაგრამ მეც ხანდახან კარტულად მეჭიკჭიკება, ეტყობა, სიამოვნებს თავადაც).

ასე რომ, კი იტყვიან ხოლმე ქალბატონები, ყველა მამაკაცი ერთიაო, მაგრამ, პირიქით, მათზე უფრო ითქმის: ყველა ქალი ქალია!

და აი, დაიწყო მორიგი სასწაული – უეცრად ვიგრძენი, წუთი-წუთზე რომ მემატებოდა აზროვნების ძალა, ანუ ინტელექტის ჩართვა!

დაიხ, ინტელექტი, როგორც ლექსიკოგრაფები გვიმტკიცებენ(!), აზროვნების უნარი კი

არ არის მხოლოდ, გინდაც, ჭკუა, გონება ან განათლების დონე, ინტელექტი, უპირველესად, აზროვნების ხარისხია!

როდესაც ისეთი გამორჩეული ინტელექტუალი, როგორც ბრძანდებოდა მწერალი აკაკი განერულია წერდა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ფლობდა ძლიერ ინტელექტს, იგი არ გულისხმობდა გენიოსი პოეტის მხოლოდ აზროვნების ძლიერ უნარს (ზოგადად, ფლავიე სიტყვაა ძლიერი უნარი), არამედ აზროვნების ხარისხს. ძლიერ განათლებულმა ადამიანმა ძლიერ კარგად უნყის, ვინ რა როდის თქვა, მაგრამ ძლიერი ინტელექტის მქონე თავადაც ამბობს!

რეჟისორული ტერმინი რომ მოვიშველიოთ, საშუალო კადრში, ალბათ, საკმაოდ უცნაურ კადრში ვჩანდით: რიანი ტოლჩით ხელმომარჯვებული ღია, – მე სამი თითით მიკავია ლიმონის ნაჭერი და ვერ მივხვდარვარ, რა ვუყუ და „დოქტორი“ სნეგუროკა, რომელიც ბრძანებებს იძლევა!

– Начали! – გაისმა ოღნავ ხავერდოვანი, მამაკაცის ხმა და მომეჩვენა, რომ «Товарищи» გამორჩა. ვერც მე მოვისაზრე, რა უნდა დამეჩნო და ვართ ასე, მით უმეტეს, ღია – შევჩერებოდა „მთავარსარდალს“.

– Лимон в левой руке, а кружку – в правой! – გიზ, მოსვი ცოტათი, იქნებ, არ ამოილო!

– Пейте, пейте! Я не собираюсь до утра ждать!

„დალიე“, მიჩურჩულა ვილაძამ. მივიხედ-მოვიხედე. არავინ ჩანდა და... მომინდა თბილი, თავლიანი რძე!!! მოვიყუდე. დავიწყე ჩვეულებრივი სმა. ის იმოდენა ტოლჩა წამებში დაცვალი.

Вот молодец! А вы говорили, не смогу! — მსუბუქად გამომაჯავრა თვალსა და ხელს შუა ისეც ნარნარა სნეგუროკად გარდასახულმა „მთავარსარდალმა“.

და ლაპარაკის იმტაზეც მოვედი. Вы не скажете, как вас величать? Никак. Запрещается, не дозволено.

Вы знаете, у меня такое предчувствие, что больше не смогу курить. И вы жалуете?

Нет, конечно! Возможно, и пить перестану, и гулять... – ხუმრობის გუნებაზე დავდექი.


О, нет! Наоборот! У вас прекрасная супруга. Зачем гулять! Так, что, живите, здравствуйте долго, долго. Еще раз с новым годом!

როგორც სიზმარივით გამოგვეცხადა, ასე სიზმარივით გაქრა.

როდესაც ტელესტუდიის დირექტორის, ივლიტა მესხიშვილის მონდომებითა და ძალისხმევით, ბოლოს და ბოლოს დადგინდა სნეგუროკას ვინაობა და ინტერვიუზე დაგვთანხმდა, ყველანი სულმოუთქმელად ველოდით, რომ ულამაზესი ქალბატონი შემოანათებდა კაბინეტში. მორიდებულად შემოაბიჯა ხმელ-ხმელმა, გალუღმა (სადღაა მკერდმოღვლილი მზეთუნახავი!), ჩამიარა და ჩემს სიახლოვეს გაჩერდა. მოკრძალებით ვკითხე, თქვენ ის ქალბატონი ხომ არ ბრძანდებით, ახალწლის ღამეს სამი თითით ლიმონის ნაჭერი რომ დამატყინებთ ჭიპზე მთელი ღამით-მეთქი და პასუხად: «Да, это я была!»

თუ ამ ქალმა შეძლო ჩემთვის თავი მომხიბვლელ ქალბატონად მოეჩვენებინა, მაშინ, რა თქმა უნდა, მესინგს სულაც არ გაუჭირდებოდა კრემლიდან იოლად გაღწევა!

ბიზო ზარნაძე



გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონი“ მეორე, სკანირებული გამოცემა („მერიდიანი“, 2023). რედაქტორი – მაია არველაძე.

როგორც ცნობილია, იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური

ქალაქური ქველ სიზმარი

ლექსიკონი“ მეცნიერულად დაამუშავა და 1997 წელს გამოცემა ტექსტოლოგმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა რუსუდან კუსრაშვილმა.

იოსებ გრიშაშვილს ქალაქური ლექსიკონის შეკრება ივანე ჯავახიშვილის რჩევით დაუწყია და ოცდაათი წელი დასჭირვებია ამ საქმის გასასრულებლად.

„პირველი გამოცემიდან საუკუნის მეოთხედი გავიდა, „ქალაქური ლექსიკონი“ მოთხოვნა კი არ მინელებულა. რადგანაც დღეს ეს ნიგნი ბიბლიოგრაფიულ იმპიათობას წარმოადგენს, გადავწყვიტეთ, მისი სკანირებული ტიპის გამოცემა მივა-

წოდოთ თბილისის ისტორიის მოყვარულებს, სპეციალისტებსა და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელ მრავალრიცხოვან მკითხველს“. – წერს გამოცემის რედაქტორი, ფილოლოგიის დოქტორი, ტექსტოლოგი მაია არველაძე.

ნიგნს უძღვის რუსუდან კუსრაშვილის შესავალი პირველი გამოცემიდან და იოსებ გრიშაშვილის წინათქმა, რომელსაც ახლავს მრავალმნიშვნელოვანი ეპიგრაფი: „ძველი სიტყვების მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან ძველი კულტურის აღდგენა“.

ბელა ცინცაძე

ბესო ხვედელიძის პიესების კრებული მეტყველი სათაურით „ხილნატეხილობა“ სხვადასხვა დროს დაწერილ ექვს ნაწარმოებს აერთიანებს. პიესები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც თემატურად, ისე ფარულად.

ნიგნი დასტამბა გამომცემლობა „აგორამ“.

თეატრალუბი ამ ნიგნში ერთმანეთის გვერდგვერდ აღმოაჩენენ ეროვნულ-ისტორიულ აბსურდს, გროტესკულ შავ კომედიას, საშობაო-ისტორიულ ფარსს, აფხაზეთის თემას, ფსიქოლოგიურ თრიპ-პიესას და ქართულ ჯგუფურ-მიზიო-დურ ტრაგიკომედიას.

თემის ახალი ფორმა



პოლინარკომანია, კონფორმიზმი, ფსიქიკური აშლილობანი, გენდერული დისბალანსი, იძულებითი პროსტიტუცია, თაობათა შორის ბრძოლა – ეს ის თემებია, რომლებიც ბესო ხვედელიძემ თავის პიესებში წინ წამოსწია.

აღსანიშნავია, რომ ბესო ხვედელიძის პიესები სხვადასხვა დროს დადგმულია თბილისის შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის, აგრეთვე სენაკის აკაკი ხორავას სახელობის თეატრების სცენებზე.

ბანო ვანაძე

თამაზ გვინეტაძე

არტურ ზუტენერი მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმდროინდელ ქართველ შემოქმედებით ელიტასთან. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ნაყოფიერი თანამშრომლობა მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურული სცენის თვალსაჩინო ფიგურასთან, იონა მეუნარგიასთან (1852-1919), რომელიც იყო მწერალი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი. არტურ ზუტენერის მოთხოვნაში სწორედ ის მოიაზრება გუჯას პროტოტიპად.

მეუნარგიას დიდი წვლილი მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემაში და ევროპაში მისი პოპულარიზაციის საქმეში. ის 1874-1876 წლებში სწავლობდა ჟენევის აკადემიაში, მომდევნო ორი წელი კი ცხოვრობდა პარიზში.

1880-იანი წლების დასაწყისში მას დაევალა „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე თარგმნა. სავარაუდოა, რომ ასე ნაჩქარევად შესრულებული თარგმანი სრულყოფილი არ იქნებოდა, ყველაზე კარგად ეს თვით მეუნარგიამ იცოდა, ამიტომ მან ტექსტის სრულყოფის მიზნით მშობლიურ სოფელ ცაიში მიიწვია ჟურნალისტი ულ მურიე (1846-19??) და ზუტენერების ოჯახი.

ავსტრიელი მწერალი და ჟურნალისტი არტურ გუნდაკარ ფონ ზუტენერი (1850-1902 წწ.) მეუღლესთან — მვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ ბერტა ფონ ზუტენერთან (1843-1914 წწ.) ერთად ცხრა წლის განმავლობაში (1876-1885 წწ.) ცხოვრობდა საქართველოში. ის აქ ჩამოყალიბდა მწერლად, მაშინდელი ქართული ყოფიერება იმდენად ღრმად აღიბეჭდა მასში, რომ ამ შთაბეჭდილებათა წარმოსახვა მისი შემოქმედების უმთავრეს თემად იქცა. საქართველოს თემატიკაზე შექმნილი რომანები და მოთხრობები: „კავკასიის შვილები“, პირველი ტომი, 1890 („ჩემი მეგობარი გუჯა“, „მეზობლები“, „ბატონი გრეგორი“, „საბრალო ვარდი“, „ქეთევანი“, „მარგალიტი“), „კავკასიის შვილები“ და სხვ. გერმანულ და ავსტრიულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა მისი საგაზეთო სტატიები რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ (ფსევდონიმით M.A.Lerci).

მეუნარგია პეტერბურგში მყოფ ნიკო ნიკოლაძეს ცაიშიდან სწერდა: „ამას წინათ მე ზუტენერები სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმეორედ შევეუდექი თარგმნას, უფრო უმეტეს დაკვირვებით და სინდისით. ჯერ უკანასკნელს რედაქციას ვადგენდი ფრანგულად და მერე იქვე ნემეცურად ვთარგმნით წიგნსა. ეს ორი კვირა დღე და ღამე ვმუშაობთ და როგორც იყო ერთს მეთხედს მოუღეთ ბოლო... ესლა ვგრძობო ყოველს ნაკულუოვანებას ჩემის თარგმანისას, მაგრამ ჯერ გვიან არ არის, ჩემგან გაბრუნდებულა მევე გაგასწორებ“.

ეს მუშაობა 1884 წლის დეკემბრიდან 1885 წლის მარტამდე გაგრძელებულა სოფელ ცაიში. ზუსტ მონაცემებს ამის შესახებ იძლევა მოთხრობა „ჩემი მეგობარი გუჯა“. არტურ ზუტენერი არც აქ ღალატობს თავისი შემოქმედების ერთ-ერთ, ჩვენთვის მეტად ღირებულ თავისებურებას: რეალობაზე დაუფიქრებლ მხატვრულ ინტერპრეტაციას. მისი მოთხრობები ეფუძნება რეალურ ფაქტებს, დროსა და სივრცეს და ამით განსაკუთრებულ დამაჯერებლობას ანიჭებს მის შემოქმედებას. ნაწარმოებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ავტორის შთაგონების წყარო ნამდვილად არსებული ფაქტები და პიროვნებებია, რაც საფუძველს გვაძლევს, რომ ნაწარმოებები, ბევრ შემთხვევაში, განვიხილოთ როგორც პირველწყარო, „თვითმხილველის ნაამბობი“! ფაქტია, რომ სარეცენზიო მოთხოვნაში აშკარაა დროისა (1884 წლის დეკემბრიდან 1885 წლის მარტამდე) და სივრცის (სოფ. ცაიში) აბსოლუტური თანხვედრა. თავდაპირველად მოთხოვნაში საუბარია თანამშრომლობის ორ თვეზე: ვინაიდან ავტორის პროტოტიპს, არტურ ზუტენერს, ზამთარში სოფლად გამგზავრება არ მოსწონს.

გუჯა შემდეგი სიტყვებით ცდილობს მის დარწმუნებას: „რა არის შენთვის ორი თვე, თანაც ერთ-ერთი მათგანი თებერვალია, მხოლოდ ოცდარვა დღით, ეს დროც მალე გავა“ (გვ.11). სინამდვილეში ზუტენერებმა თითქმის 4 თვე გაატარეს ცაიში.

ალანნიშნავია, რომ ავტორს მოთხოვნაში საკუთარი სახელი არ გააჩნია — თხრობა ავტორის პირით, მთავარი გმირისაგან მომდინარეობს, ყველაფერი მე-ს პერსპექტივიდან არის მოთხრობილი — სახელს კი არ „გვიმხელს“!

ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანის ხელნაწერის გადაშუშების შესახებ ვიგებთ, რომ სოფელში ჩასვლისას „პირველ დღეებში მუშაობაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო — ახლობლები ყოველი მხრიდან მოდიოდნენ გუჯას სანახავად და თავისუფალ დროს არ უტოვებდნენ ხელნაწერებზე სამუშაოდ...“.

საცხოვრებელ პირობებს ცაიში ბერტა ზუტენერი ასე აღწერს: „ჩვენ მოშორებულ მცირე სოფელში გადავადით, სადაც მამამისი მღვდელი იყო და სახლი ჰქონდა, რომელშიც მცირე გასამრჯელოს ფასად მიგვიღო... სახლში ავეჯი არ იდგა, „ტახტა“ და რამდენიმე მოსასვენებელი რეკვიზიტი თარგმანს, რომელიც უკვე ითქვა, მოთხრობის თანამად, ავტორი „მდიდრულად გაფორმებული ნიგნის“ საპატიო ეკზემპლარის მფლობელი ხდება. სავარაუდოდ აქ საუბარია არა ფრანგულ თარგმანზე, არამედ 1888 წელს გიორგი ქართველიშვილის მეცენატობით გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე“ მისი ზინის ილუსტრაციებით.



ზუტენერი და მეუნარგია

ბიტი და რეალობა არტურ ზუტენერის მოთხრობაში „ჩემი მეგობარი გუჯა“

ვად მოვიტანეთ... სასადილო ოთახში, სადაც მხოლოდ მაგიდა და სკამები იდგა, ერთად ვსადილობდით ჩვენ, მღვდელი, მისი ვაჟი და ყოფილი ძიძა... მღვდელი ისეთი ხმამაღლა ხერხედა წვინას, რომ მოთამაშე ზვიგენი გვეგონებოდა... ჩვენი ოთახის ქვემოთ, სარდაფში, კომპოსტის ამწილვებდნენ, მისი სუნი კედლის ქრილებში აღწევდა და ჩვენამდე ამოდიოდა. მაგრამ ჩვენი შემართების შეჩერება აღარაფერს შეუძლოდა და ქართული პოემის თარგმნა სწრაფი ნაბიჯებით მიიწევდა წინ. ჩვენს წინ გადაიშალა დაკარგული სამყარო, მეცამეტე საუკუნის... ოქროს ხანის ეპოქა“ (B.Suttner; Memoiren, Berlin 1972, გვ.190).

ძლიერი შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფი არტურ ზუტენერი არა მარტო დეტალურად აღწერს თარგმანის პროცესს, არამედ მის შედეგსაც გვეუწყებს — ის ძვირფასად მორთული, ერთობლივი ნაშრომის გამოცემის მფლობელი ხდება! „გუჯამ თან მოტანილი შეკვრიდან მდიდრულად გაფორმებული ნიგნი ამოიღო და მომანდოდა: — ეს საპატიო ეკზემპლარია, რომელიც პირველად გადადის მკითხველის ხელში. ის რასაკვირველია შენთვისაა განკუთვნილი. როდესაც მოიცლი, გთხოვ პატარა, ლამაზი ნარკვევი დაწერო ამ ნიგნზე!“ (გვ.52).

მოთხრობიდან ცნობილი ხდება, რომ ავტორის პროტოტიპმა ეს სურვილი შეუსრულა და ვრცელი სტატია დაწერა ვეფხისტყაოსანზე. სავარაუდოდ, აქ იგულისხმება ა. ზუტენერის სტატია, „უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“ (პოემის გადათარგმნის გამო ფრანსისკუს ენაზე), რომელიც უშუალო კავშირშია სოფელ ცაიში გატარებულ დღეებთან:

ფაქტია, რომ არტურ ზუტენერმა პოემა მეუნარგიას თარგმანის საშუალებით გაიცინო და სტატიაც მის საფუძველზე დაწერა, რომელიც 1884 წლის ბოლოს ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნდა.

არტურ ზუტენერის თანახმად, მეუნარგიას არა მარტო დაუმთავრებია თარგმნა, არამედ მისი წინასიტყვაობაც დაუწერია, რომელშიც თურმე მთარგმნელის ამოცანებსა და მიზნებზე გაუმახვილებია ყურადღება.

წინასიტყვაობას, ისევე როგორც თარგმანს, ჩვენამდე არ მიუღწევია. თარგმანის ბედი ისეთივე ბურუსითაა და გაუგებრობებითაა მოცული, როგორც მოთხრობაში დახატული თვით მეუნარგიას პიროვნება. ამ ბურუსის ნაწილობრივ მაინც გასაფანტად

ხომ არ შეიძლება იმის თუნდაც თეორიულად დაშვება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული გამოცემა მართლაც არსებობდა... თუ ავტორმა უბრალოდ წინ გაუსწრო სავარაუდო მოვლენას? მაინც რა არის მოთხრობაში მწერლის ფანტაზიის ნაყოფი და რა არის სინამდვილე?

დავეყრდნობი ისტორიულ ფაქტებს: მეუნარგიას ფრანგულ თარგმანს მაღალი შეფასება მისცა ქართულმა საზოგადოებამ!

1884 წელს „დროების“ რედაქციამ, რედაქტორის ივანე მაჩაბლის ინიციატივით შეხვედრა გაუმართა საფრანგეთის ელჩს, სადაც ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა: „რუსთაველი მზუა და მთვარე მეუნარგია იქნება, რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთოვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქვე ჩვენი მოღვაწეთა შორის“ („დროება“, 1884, ნომერი 260).

თვით მეუნარგია ავტობიოგრაფიაში წერდა: „ბევრად ადრე, ვიდრე გიორგი ქართველიშვილის გამოცემა დაიბეჭდებოდა, „ვეფხისტყაოსანი“ ვთარგმნი ფრანგულ ენაზე, ფრანგის ჟიულ მურიეს და ბარონესა ბერტა ფონ ლუტენერის შემწეობით“.

კიდევ უფრო მეტი ბურუსითაა მოცული გერმანული თარგმანის ბედი. როგორც მეუნარგია გვამცნობს, პოემას თარგმნიდნენ ფრანგულიდან გერმანულ ენაზედაც, ცხადია, თეთრი ლექსით (ს. ცაიშვილი, ორი ავსტრიელი მწერალი საქართველოს შესახებ, ჟურნ. „მნათობი“, 1957, გვ.152).

ბერტა ზუტენერი გვამცნობს: „ევროპაში დაბრუნება (1885 წლის) მაისის თვისთვის დაგეგმეთ. რჩებოდა კიდევ სამი თვე, რაც თბილისელი ჟურნალისტის მიერ შემოთავაზებული სამუშაოსთვის გვინდოდა მიგვეძღვნა. კერძოდ, გერმანულად და ფრანგულად უნდა გვეთარგმნა ქართული ეროვნული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“. რადგან ქართულს კარგად ვინ ვფლობდით, ბატონ მ-ს... სიტყვასიტყვით უნდა აეხსნა ჩვენთვის ხელნაწერი, რაც ჯერ ფრანგულად, ხოლო შემდეგ ფრანგულიდან გერმანულად უნდა გვეთარგმნა. განზრახული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ახალი საზეიმო გამოცემა, რისთვისაც მხატვარ ზინის მშენებელი ილუსტრაციები დაეხატა“ (B.Suttner, გვ.190).

თვით მეუნარგია გვაცნობებს, რომ პოემას თეთრი ლექსით თარგმნიდნენ გერმანულ ენაზედაც, „როგორც შევატყე, პოემა ნემეცურ ენაზე უფრო ადვილი სათარგმნი ყოფილა, ქართული ფრაზა ფრანგულ ენაზე უთუოდ უნდა შეიცვალოს როგორმე და ნემეცურად კი პირდაპირ გადადის“- წერდა იონა ნიკო ნიკოლაძეს.

გერმანული თარგმანის მცდელობა იმდენად ცნობილი გამხდარა, რომ არტურ ლაისტი იონა მეუნარგიას ერთ ბარათში თხოვდა: „დაარწმუნეთ ზუტენერი, რომ პოემა ჰექზამეტრით თარგმნოს, სხვანაირად დაიკარგება მისი სიმშვენიერე“ (მრევიშვილი, „უცხოელი სტუმრები საქართველოზე“, გვ. „თბილისი“, 1961, 13 ინვარი).

სამწუხაროდ, გერმანული თარგმანი დაკარგულად ითვლება და ვერც მისი გამოცემა მოხერხდა. უცნობია, დამთავრეს თუ არა ზუტენერებმა დაწყებული საქმე. ამ თვალსაზრისით მოთხრობაში ვპოულობთ ერთ ფრიად განსაკვირვებელ პასაჟს:

„ამ დროს გუჯამ ხელნაწერი აიღო და ღრმად ჩაფიქრდა, შემდეგ ხელით ჰაერში წრე მოხაზა, უცრად გოცებით რაღაც შესძახა და პოეტური შთაგონებით აღსავსე შესტიკულაციით წარმოთქვა: Was Du giebst, das bleibt Dir erhalten, was Du behältst, das ist für ewig verloren... ხომ დიდებულია! ეს რუსთაველის სახელგანთქმული ეპოსიდანაა!“ (გვ. 20) — „რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია!“

გავისხენოთ — მოთხრობაში აღწერილი მოქმედება 1884 წლის დასასრულს და 1885 წლის დასაწყისში ხდება. მოთხრობა გამოქვეყნებულია „კავკასიის შვილების“ პირველ ტომში, რომელიც გამოიცა დრეზდენში 1890 წელს!

არტურ ლაისტმა პირველი გერმანული თარგმანი 1889 წელს დაასრულა და ასევე 1890 წელს გამოქვეყნდა. მაგრამ მან ეს ჩვენთვის კარგად ცნობილი სტროფი სულ სხვაგვარად თარგმნა: Dein bleibt, was andern du machst zum Geschenke, -Verloren ist, was Du für dich bewahrst.

მასასადამე, მოთხრობაში ციტირებული თარგმანი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ზუტენერების ოჯახს! ვინაიდან ეს უკვე 854-ე სტროფია, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ზუტენერებმა თითქმის დაასრულეს გერმანული თარგმანი.

ამდენად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბერტა და არტურ ზუტენერებმა, მეუნარგიას დახმარებით, პირველად თარგმნეს გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“, მთელი ხუთი წლით ადრე, ვიდრე არტურ ლაისტი გამოაქვეყნებდა საკუთარ თარგმანს.

ზუტენერის ისტორიულ მუზეუმში დაცულია 1885 წლის 23 მარტს მეუნარგიასადმი ბათუმშიდან მონერილი ბარათი, რომელშიც ბერტა ფრანგული თარგმანის 3 სტროფს უგზავნის. ეს ფაქტი, ბ. ჰამანის აზრით, იმას მიანიშნებს, რომ ძირითადი მთარგმნელი ბერტა იყო. იქვეა არტურის გამოსამშვიდობებელი ბარათი, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანია არტურის პოლიტიკური მრწამსის ასახვად — მას ზოგჯერ რუსეთის იმპერიის მიმართ ლოიალობას აბრალებენ:

„ჩემო იონას, შენთან ყოფნას არაფერი ჯობს, მაგრამ ჩემს სამშობლოს მტერი უახლოვდება (იგულისხმება რუსეთი, თ.გ.).

წინგურება... მთავრდება... მეცნიერებით... ხელოვნება... კი... კავკასიაში! ჩვენი აქ დარჩენა საშიშია, და ეს შეიძლება შენთვისაც საზიანო აღმოჩნდეს. დემონტაჟი ქნას ჩვენი შეხვედრა!“

ბარონი ზუტენერი ერთ-ერთი ნაწარმოების გმირს უფლებას აძლევს, ქართველების შესახებ საბოლოო დასკვნა გააკეთოს:

„თქვენ ბრწყინვალე მოდგმის ხალხი ხართ! მინდა ჩემი ევროპული „მე“ ჩამოვიშორო და დავემარხო, რათა შემდეგ მკვდრებით აღვდგე როგორც ერთ-ერთი თქვენი თანამემამულე“ („იბერიელი“, გვ. 44). სტუმართმოყვარეობის სფეროში ქართველებმა ევროპელებს გაკვეთილები უნდა ჩავგვიტაროთ (გვ. 59).

ეს სიტყვები კი ამავდროულად მისი შემოქმედების რეზიუმეცაა!

არტურ ზუტენერის შემოქმედება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ევროპა, როგორც კულტურული ფენომენი, ყოველთვის იყო საქართველოში.

სამწუხაროდ, უცნობია ზუტენერების მიერ ნათარგმნი გერმანული და ფრანგული ხელნაწერების ბედი. სავარაუდოდ, ზუტენერებმა ისინი ავსტრიაში წაიღეს.

აუცილებელია მათი მოძიება, თუნდაც იმიტომ, რომ გერმანული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ პირველი უცხოური თარგმანია, შესრულებული არტურ ლაისტის თარგმანის გამოქვეყნებამდე ხუთი წლით ადრე!

სრულიად ცალკე მოსახსენებელია რევაზ გაბრიანი უნიკალური ხელოვნება, რომელიც იმ „წყვილია“, ჩაისახა და აყვავდა და სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მეტი არაფერი უნახავს.

შევეშვით მარიონეტებს და თეატრს გადავავლოთ თვალი: ჭაბუკიანის „ოტელოს“ მიწვევით, ან გეგეჭკორის მიერ ნათამაშები „ჰამლეტი“ მოვიხსენიოთ, მეღვინეთუხუცესის კრეონი „ანტიგონეში“ და „ოტელო“; ან გაბრიანი – თუმანიშვილის „ჩვენი პატარა ქალაქი“ და „დონ ჟუანი“, შემდეგ კი სტურუას სასწაულებრივ სერიას ჩამოვთვლი – „ყვარყვარე თუთაბერი“, „კავკასიური ცარცის ნრე“ და გარდასახვის ხელოვნების ევერესტი „რიჩარდ III“, რომელმაც თეატრალური სამყარო შესძრა და თეატრის მოყვარულნი ავსტრალიიდან და კანადიდან აფრინა რუსთაველის გასტროლებზე ლონდონში.

უდავოდ დიდი მსახიობის ულიანოვის „რიჩარდ III“ ვახტანგოვის თეატრში რამაზ ჩხიკვაძესთან უღრანში დაფეთებულ პიონერს ნაგავდა...

ჩემს ხანგრძლივ და თეატრალური შთაბეჭდილებებით მდიდარ ცხოვრებაში რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძის მიერ შექმნილი შექსპირისეული ბოროტების განსახიერება მიუწვდომელ მწვერვალად დარჩა.

მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩვენი პოზიციის საუნჯეს არცკი შევხებოდვარ, მხოლოდ გოეთეს ნათქვამს გავიხსენებ: „ლექსი კოცნა, რომელსაც ქვეყნიერებას ჩუქნი, მაგრამ კოცნისაგან ბავშვები არ იბადებიან...“

სხენებული წიგნი, ფილმი თუ სპექტაკლი ნაუცბათევად ჩამოვთვალე, ცხადია, ზოგი რამ გამომჩა ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი. მაგრამ ერთი მეტად არათანადროული შეკითხვისათვის ეს ჩამონათვალეც საკმარისია.

ვიდრე არათანადროულ კითხვას დავსვამდე, ბევრის მთქმელ ვითარებაზე მივაქცევ მკითხველის ყურადღებას: ჩამოთვლილი ხელოვანთაგანი არც ერთი არ უკმევდა გუნდურ კომუნიტებს. მიუხედავად ამისა, მათი წიგნები დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა. (ჩემი „იმერული ქორწინების“ საერთო ტირაჟმა მილიონს გადაჭარბა) და ბევრი მწერალი თუ რეჟისორი პრემიით აღინიშნა.

საბჭოეთის აკვარგიაობა სხვებზე ნაკლებად არ განმცდია. თბილისში სტუდენტობისას სუკი ვიყავი ნათრევი სასტიკ დაკითხვაზე საქმეში, რომელსაც დასავლეთის რადიოსადგურებმა შეარქვეს „საქმე დუნაევსკისა და სხვების“ და რომელშიც ჩემს მეგობრებს ხუთ-ხუთი ნელი მიუსაჯეს 1957 წელს!

სამოცდაათიან წლებში მწერალთა კავშირმა ჩამიშალა თორმეტდღიანი მინივეა ბარსელონაში, ნიგის ფესტივალზე, „იმერული ქორწინების“ გამოცემასთან დაკავშირებით. მასხოვს, ჭაბუა მაგულიანებდა: „ამდენს რატომ უთმენო! დაემუქრე – ხვალვე შეყვრი უცხოელ კორესპონდენტებს!..“

შემიძლია წერილმანი უსიამოვნებანიც გავიხსენო, იმ დროს რომ არ ამშვენებდნენ. მაგრამ ობიექტურობის შენარჩუნება უნდა ვისწავლოთ. რაც კარგი იყო, გავიხსენოთ მადლიერებით, რაც არ ვარგოდა, უარყოთ. ჩვენ კი ისედაც გზაბნეულ ახალგაზრდობას ვატყუებთ წარსულის უხეში და გაუთავებელი ლანძღვით.

არათანადროული შეკითხვა კი აი როგორი გამიჩნდა: ნუთუ ხელოვნება მხოლოდ ტოტალიტარიზმის მკაცრად შემორაგვეულ ბაღში ხარობს?

რალა თქმა უნდა – არა. რომ არ შევცდეთ, მოდით, ჩვენს შემთხვევაში ტოტალიტარიზმს ძველი და ნამდვილი სახელი დავუბრუნოთ – სო-

ციალიზმი, და თვალი არ ავარიდოთ იმას, რომ მსოფლიო სოციალიზმისკენ იხრება. თვით ჯორჯ სოროსისგან მაქვს მოსმენილი: „თუ სიმდიდრის გადანაწილების მექანიზმი არ მუშაობს, უთანასწორობა აუტანელი ხდება“.

სოციალური განხეთქილების ინდექსი ყველაზე მდიდარ და ლატაკთა შორის დათვლილია, იგი 10-ს უდრის. ამ საზღვრის გადალახვას სოციალური აფეთქება მოჰყვება. ხომ საინტერესოა, დღევანდელ საქართველოში ინდექსი როგორია?

ამის თაობაზე არაფერი მსმენია. ტელევიზორში მხოლოდ ჩხუბი და აყალ-მაყალი მესმის. ოპოზიცია ყოყლოინობს, გაუფასურებულ რუსულ ფულს აყრის მონინააღმდეგეს, აქაოდა, რუსების მოსყიდულები ხართო. „რუსი“ გინება გახდა ჩვენში, და არც კი აგონდება, რომ ვინცხა პუტინის, ლავროვის და შოიგუს გამო ტოლსტოის, ლერმონტოვის და მაიაკოვსკის ერს შეურაცხყოფენ.

სიღინჯე და თავშეკავება! იმ დროში ნულა დაგებუნდებით, როცა ჩვენი პოლიტიკოსები თუ კომენტატორები შიშველი უკანალის ჩვენებით და პირდაპირ ეთერში დედის გინებით გამოხატავდნენ თავიანთ პოლიტიკურ მრწამსს.

დღევანდელმა მწვევე კონფორტაციამ გამახსენა ჩემს ყურნალში მიღებული ნერილი იუგოსლავიიდან, სადაც ჩვენზე უარესი არეულობა მძვინვარებდა. მოძღვარი მოუწოდებდა მრევლს, შეეწყვიტათ გაუთავებელი ლანძღვა-გინება, მუქარა და ტალახის სროლა და ასეთი სიტყვებით ამთავრებდა შეგონებას: „ჩვენ მხოლოდ სიჩუმეში თუ გავიგონებთ, რომ უფალმა გვაპატია“.

ამ სიტყვებმა გავლენა მოახდინა ჩემზე. მე მივატოვე პოლემიკის უნაყოფო ყანა და განზე გავდექი.

იქნებ ჩვენმა პარლამენტარებმაც დაიოკონ ვნებანი, თუნდაც ნანატრ სტატუსამდე.

მესამე ათასწლეულმა სწრაფად შეცვალა პირობები. ისეთი დრო დაგვიდგა, როდესაც ქართველობას საბედისწერო საფრთხე დაემუქრა. დემოგრაფია ზუსტი მეცნიერებაა, დემოგრაფები კი წინასწარმეტყველებენ, რომ 2050 წლისათვის ჩვენ – ქართველები გადავხდებით ზღურბლს მივადგებით. ნუთუ გამართლდება „გოდორის“ გმირის, ელიზბარის ნათქვამი: „შეიძლება ისიც კი გამოგვიცხადონ, რომ საქართველო საერთოდ ფულიკი კარტოგრაფის მოგონილიაო“.

ამასთან დაკავშირებით ერთ შთაბეჭდევ ისტორიულ ფაქტს ვუაბობ მკითხველს. მეორე მსოფლიო ომიდან იაპონია განადგურებული გამოვიდა, ჰიროსიმათი და ნაგასაკით დამცირებული. ერმა შეიტყო, რა საშიშროება ემუქრებოდა. ათი წლის განმავლობაში მისი მოსახლეობა ჯერდებოდა იჯრაზე თევზ ბრინჯს შუაში ჩანვეთებული სანებლით. ასეთი ეკონომის შედეგად, თავისივე სიმბოლოთი გამოკვეთილებმა, ათი წლის თავზე მათ მსოფლიოს „იაპონიის სასწაული“ მოუვლინეს – ყველაზე წარმატებულ შვიდეულში დაიმკვიდრეს ადგილი.

ცხადია, ჩვენ ვერ გავიაპონელდებით და ერთ თევზ ლობოს, თუნდაც ნიგვზით შეკაზმულს, ვერ დავჯერდებით. ჩვენ სხვაგვარი თვისება გვარგუნა უფალმა. მერაბ მამარდაშვილმა, რომელსაც არაფერი არ ეშლებოდა, ასე დაახასიათა ჩვენი მენტალური ბუნება: „სივრცეს, რომელშიც დავიბადე და აღვიზარდე, თავისებური ნიჭი ახასიათებდა. მე მას დავარქმევედი ცხოვრების, ანუ უკანონო სიხარულის ნიჭს“. თითქმის იგივე დანერა „ქართულ ალბომში“ გამჭრიახმა ანდრეი ბიტოვმა.

რეზო გაბრიანი შემთხვევით კი არ შეარქვა თავის გენიალურ ფანტასმაგორიას „შერეკილები“; მან იცოდა მშობლიური ერის ბუნება და ხასიათი, უყვარდა იგი და ურმითა და ჭაჭის გამოსახდელი ქვაბით

აფრინა ცაში, თან ლამაზი სიმღერა გააყოლა... მოდით, დანიშნულ კატასტროფამდე ხუთ მილიონამდე მაინც გავზარდოთ საქართველოს მოსახლეობა. ეს იქნება ჩვენი ცაში აფრინილი ურემი თავისი ლამაზი სიმღერით.

აუჰ, რამისმორევე შემიტყუა მართლაც რომ არათანადროულმა აზრებმა!

ვუბრუნდები მთავარ სათქმელს. თუ მკითხველს არ დაავიწყდა, ამბავში ორი დიდი მწერალია ჩართული – ოთარ ჭილაძე და რეზო ჭიჭიშვილი. ამბავი კი მოკლე, მარტივი და ტყვადია.

მე და რეზო მისი მანქანით სადღაც მივდიოდით. „გოდორი“ ახალი ნაკითხული მქონდა, ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარე: „კაი ხანია დიდი არაფერი მითარგმნია, მაგრამ ამ წიგნს აუცილებლად ვითარგმნი-მეთქი“. მისმენდა თუ არა, ვერც კი გავიგე; თითქმის უინტონაციოდ, ცოტათი ჩახრინული ხმით ჩაიბუზუნა: „მე მისი არც ერთი სიტყვის არ მჯერა“.

გამიკვირდა. არაფერი მითქვამს, მაგრამ შევფიქრინდი. მერეც ვიფიქრე, ამ, ცოტა არ იყოს, მოულოდნელ შეფასებაზე. ბრიყვი იტყოდა – შურმა ათქმევინაო. ბრიყვი არ გახლდით და კარგად მესმოდა, რომ რეზოს სხვისი შესაშური არაფერი სჭირდა. აქ სულ სხვა კანონზომიერებები მუშაობდნენ – ადამიანური ბუნების და მწერლის ესთეტიკისა.

ბოლოს ასეთ დასკვნამდე მივედი: ოთარ ჭილაძე ოპიზარების ბადალი ოქრომჭედელი იყო თავის საქმეში. პაუსტოვსკის „ოქროს ვარდს“ თუ გავიხსენებთ, ოსტატი მთელი ცხოვრება ოქროს ვარდს ჭედდა და გამოჭედა კიდევ. მაგრამ სუნი არ უდიოდა. რეზო ჭიჭიშვილს კი იმერეთის მინდორში ნანახი საპოვნელა ერჩია.

სტილისტიკურადაც განსხვავდებოდნენ. ჭილაძის რთული ფრაზა დახუნძლულია ეპითეტებით და მეტაფორებით, ასოციაციური გადაძახილები ზუსტი და ამაღლევებელია; მათში ლაიტმოტივები ამოტივტივდება ხოლმე. (ამან ხომ არ მიამსგავსებინა „აველუმი“ ბეთჰოვენის სიმფონიას?)

ჭიჭიშვილის ფრაზა კი მარტივია და სადა, მაგრამ საოცრად ზუსტი, ტყვადი და ინტონაციურად ცოცხალი. თარგმნისას ჭილაძისეული სირთულე უფრო დასაძლევია აღმოჩნდა. საქმე იმაშია, რომ ოთარის პერიოდები ასე თუ ისე ევროპულ მატრიცაზეა აწყობილი, რომელიც დიდმა რუსულმა პროზამ კარგა ხანია ათვისა.

ჭიჭიშვილის პროზა კი შუმი ქართული გამოდგა ნამდვილი „წინანდალივით“.

როგორც თვით ოთარმა აღიარა, „გოდორის“ თარგმანი კონგენიალურია დედანთან. ჭიჭიშვილის მოთხრობებში კი აქა-იქ ვერ გავუტოლდი ავტორს.

ჩემდა სასიხარულოდ და საამაყოდ, საქართველომ ოთარ ჭილაძე მთანმინდის მინას მიაბარა, ვაჟას გვერდით, მოშორებით გრიბოედოვისაგან, რომლის ჩაკეიმ „გოდორის“ ავტორს ხმა შეუერთა განთქმული კომედიის მონოლოგებითა და მწარე რეპლიკებით.

რეზო ჭიჭიშვილი კი ამ თემამაც სულ სხვაგვარად მოგვევლინა: მან „მინის განაწილებაში“ „პანთეონობა“ თავისებურად გააქილიკა, და საყვარელ აიაში განისვენა, მწვანეყვავილაზე.

P.S. 60 წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულს მოთხროვილება გამიჩნდა, მკითხველისათვის გახსენებული ქართულით მიმემართა. გთხოვთ, ენობრივი უმწიკობა მაპატიოთ. თან იმასაც ვიმედოვნებ, რომ ჩემი არათანადროული აზრები ვინმეს შეაფიქრინებს: ყველა მოვლენა უფრო რთული და მრავალმხრივია, ვიდრე დანახვისას გვეჩვენება.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ ამ წერილში მოყოლილი მცირე შემთხვევა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კუთვნილებად იქცა.

ლუკა ლაქიაშვილი

მიდის... გრძობებიც მიდის!.. და სიყვარულიც ლელავს! ამ გრძობით შემკულ გონების ცაზე ცივი ვარსკვლავი ელავს!

მიდის განცდები, მიდის... ცხოვრებაც ფიქრებს ნელავს! არ ვიცი, როგორ ავიხსნა, ეს გულიც მძიმედ ლელავს!..

მიდის ფიქრები, მიდის... და სევდაც ისევ ქრება!.. არ ვიცი, მძიმე ტკივილი... წყენა... თუ მერე რა იქნება!

აზრი ამ ჩემი ყოველი სიტყვის ალბათ რომ ბევრი ფიქრის ბრალია!.. ლექსის იდეით ვარ შეპყრობილი! ჩემში ცივა და... გულში ქარია!

წვიმა დაიწყო, დასველდა ღამე... ცასაც დაეტყო ცრემლების დენა!.. ფიქრები ქრიან წვიმიან ქარში... და იდეებსაც მოუწდათ ფრენა!

წვიმით სველდება საღამოს ქუჩა, წვიმით სველდება გრძობები ჩემში!.. წვიმა აცოცხლებს უხილავ გრძობებს, წვიმა იმკვიდრებს საღამოს ჩემში!

ღამემ მოიცვა ნათელი მხარე, ღამემ მოიცვა ფიქრები ჩემი, ღამე არ მტოვებს, ღამე სულ თან მდევს... და უხილავი ფიქრები შენი!

ფსიქონ ვეზები

ვიძირები... დამეხმარე!.. ფსკერს ვეზები ამ ჭაობში!.. ფსკერს ვეზები! შენ მჭირდები!.. აღარ მინდა ეს ქაოსი!

ამღვრეულმა ამ ცის ფერმა დამიმტვრია ჩემი ნავი, ვით ოცნებამ ქუჩის პირად დამიმატა მძიმე დარდი!

ფსკერს ვეზები, აღარ მინდა... სიკვდილის მაქვს კარი ღია! ვიძირები, ვიძირები... ტალღამ ნავი დამიმტვრია!

ვის ვჭირდები?1 არც არავის!.. მარტო მე ვარ... მარტო, ზღვაში... სატრფოს გრძობა ჩემი ვანდე... მან გამცვალა ვიღაც სხვაში?!

აღარ მინდა... აღარ მინდა!.. აქ ცის მნათობს ხედავ ვარსკვლავს! ამ სამყაროს, ამ ცხოვრებას და ჩემს სხეულს ზღვაში ვკარგავ!

სახლი აშენდა თოვლიან მთაში და დღემდე ელის, რომ ვინმე შევა! თუმცა სურველი არა ჩანს დღემდე და მას დაეწყო კედლების ნგრევა!..

იყო დრო, მაშინ, როცა ცხოვრობდნენ და სახლსაც ჰქონდა თავისი ფერი, მაგრამ დღეს უკვე აღარავინ ჰყავს... და ფანჯრის რაფებს მოელო მტკვრი!

სახლი ძველია, მაგრამ არ იმჩნევს, რომ მარტო არის და ვინმეს ელის! და თან არ იცის, თუ რა გრძობაა, რომ მომავალში დრო მოვა ნგრევის!

სახლი აშენდა თოვლიან მთაში და დღემდე ელის, რომ ვინმე შევა! მაგრამ მსურველი არა ჩანს დღემდე... და მას დაეტყო კედლების ნგრევა!

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მატრიაშვილი
ფინანსური მენეჯერი ქატიკან დამატრიაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბელა ბეჟალისანი, მზია პარპაძაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური პოლდემარ ჰანსკი

„ლიტერატურული საქართველოს“
საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი,
GE43BG000000161665862

გაზეთის პოლიგრაფიული გაბეჭდვა
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57
ISSN 2720-8540
9 772720 854003